

თავ გურჯულაძე

ჰიპოტაქსის საკითხები
ქართულში

თბილისი

2014

Tbilisi State University Arnold Chikobava Institute of Linguistics

Tea Burchuladze

Questions of Hypotaxis in
Georgian

Tbilisi

2014

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

თეა ბურჭულაძე

ჰიპოტაქსის საკითხები
ქართულში

თბილისი

2014

მონოგრაფიაში „ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში“ გაანალიზებულია რთული ქვეწყობილი წინადადების აგებულებისა და შედგენილობის საკითხები, მიმოხილულია წინადადებათა შეკავშირებისა და დაქვემდებარების საშუალებები, დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაციის საკითხები და სხვ.

წიგნი განკუთვნილია ლინგვისტების, სკოლის მასწავლებლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

რედაქტორი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თ. ვაშაკიძე

რეცენზენტი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მ. სუხიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რ. რატიანი

© თსუ არნ. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თ. ბურჭულაძე

ISBN 978-9941-10-921-8

წინასიტყვაობა

წინადადების კვლევა სინტაქსის, როგორც გრამატიკის ერთ-ერთი დარგის, ძირითადი საკითხია. ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა წინადადების სტრუქტურის სიღრმისეული ძიება. ქართულ ენათმეცნიერებაში საკმაოდაა გაშუქებული როგორც მარტივი, ისე რთული წინადადების სტრუქტურისა და გენეზისის საკითხები(არნ.ჩიქოვავა, გ.როგავა, კ.დონდუა, შ.ძიმიგური, ფ.ერთელიშვილი, ა.დავითიანი, ლ.კვაჭაძე, ლ.კვანტალიანი, რ.ჭიკაძე, ლ.გეგუჩაძე). კვლევის შედეგად მიღებულია უაღრესად ფასეული დებულებები და დასკვნები, რომელთა გათვალისწინებითაა შევეცადეთ შეგვესწავლა რთული ქვეწყობილი წინადადების ისეთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები, როგორცაა: დამოკიდებული წინადადების ადგილი ჰიპოტაქსში, რთული ქვეწყობილი წინადადების დაქვემდებარების საშუალებანი, უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქციები (1.შემადგენელ კომპონენტთა აზრობრივი დამოკიდებულება; 2. მთავარი წინადადების შემასმენლის მოდელი და დამოკიდებული წინადადებების მიმართება მასთან), დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის საკითხები.

საანალიზო მასალად გამოვიყენეთ ოც ათეულამდე ქართველი მწერლის თხზულებათა ტექსტები. წინამდებარე ნაშრომი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა მონოგრაფიული შესწავლის ცდაა. ბუნებრივია, კვლავაც გაგრძელდება მუშაობა აღნიშნულ საკითხებზე. ყველა საქმიან შენიშვნას მაღლიერებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ შემდგომი კვლევისას.

რთული ქვეწყობილი წინადადების რაობის საკითხები

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აგებულების მიხედვით წინადადებათა სამ ტიპს გამოყოფენ: მარტივს, შერწყმულსა და რთულს. ამათგან საკუთრივ რთულ წინადადებაში ორი ჯგუფი ვლინდება: რთული თანწყობილი (პარატაქსული -- ბერძ. parataxis) და რთული ქვეწყობილი (ჰიპოტაქსური -- ბერძ. hypotaxis) წინადადებები. საკომუნიკაციო მნიშვნელობით სამივე ჯგუფის წინადადება ერთმანეთის ტოლფასია. ისინი ემსახურებიან აზრის შეტყობინებას, მაგრამ განსხვავებული აქვთ ლოგიკურ გრამატიკული სტრუქტურა, ამიტომაც სხვადასხვაგვარია მათი საკლასიფიკაციო ნიშნებიც. რთულ წინადადებად მიიჩნევა ისეთი სინტაქსური ერთეული, რომლის კომპონენტებად ერთმანეთთან სინტაქსური კავშირით დაკავშირებული წინადადებები გვევლინება.

ჩვენი კვლევის საგანია რთული ქვეწყობილი წინადადება. ის წინადადებათა შედგენის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ქვეწყობა ჰქვია წინადადებათა ისეთი სახის დაკავშირებას, როცა მასში შემავალი წინადადებები ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად (სინტაქსურად) არ არიან თანასწორნი: ერთი გაბატონებულია, მეორე კი მასზეა დაქვემდებარებული. მაშასადამე, **ქვეწყობის, დაქვემდებარების საშუალებით მიღებულ წინადადებას რთული ქვეწყობილი წინადადება ეწოდება** (კვაჭაძე 1996: 353-354).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გვაქვს გაბატონებული წინადადება ანუ მთავარი და მასზე დაქვემდებარებული დამოკიდებული წინადადება. იმ წინადადებას, რომელიც ახსნილია მთლიანად ან მისი რომელიმე წევრის მიხედვით, მთავარი წინადადება ეწოდება, ხოლო იმ წინადადებას, რომელიც ხსნის მთლიანად მთავარს ან მის რომელიმე წევრს, დამოკიდებული წინადადება ჰქვია.

ზოგადად, რთული წინადადების წარმოქმნა ადამიანის აზროვნებისა და მეტყველების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ნებელია. იგი ენის სინტაქსური წყობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მაუწყებელია (კვაჭაძე 1996: 357), ამიტომ მართებულად ვარაუდობენ, რომ რთული წინადადება ისტორიულად გაცილებით გვიან შემუშავდა, ვიდრე მარტივი წინადადება. პარატაქსი ანუ წინადადებათა თანწყობა ტიპობრივია უფრო სასაუბრო მეტყველებისათვის, ჰიპოტაქსი კი -- წერილობითისათვის. იგი ყალიბდება და სინტაქსურ ნორმად იქცევა ენის განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ცნობილია, რომ ჰიპოტაქსი პარატაქსისაგანაა მიღებული (მიღების გზების შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ). რთული დაქვემდებარებული წინადადება ამიტომაცაა დღესაც კი ბევრი ენისათვის უცხო. ჩვენს სინამდვილეში ამის საილუსტრაციოდ, მაგალითად, აფხაზურ-ადიღური და დაღესტნური ენებიც კმარა. ჰიპოტაქსი აქ ზოგანაა, ისიც ჩანასახის სახით. მათ როლს (ფუნქციას) აქ ასრულებენ ზმნის აბსოლუტივის, მიმღეობისა თუ სხვა ინფინიტური წარმოებანი. ესენი მხოლოდ თავისი შინაარსით თუ ეტოლებიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაებს, ფორმით კი -- არა, რადგან არ გვაქვს მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები თუ მიმართებითი ზმნიზედები, რომლებიც გამოიყენებიან რთულ დაქვემდებარებულ წინადადებათა ასაგებად (ბურჭულაძე 2003: 204).

ა. მეიეს თვალსაზრისით, საერთოინდოევროპულ ენაში დაქვემდებარება საერთოდ არ თამაშობს დიდ როლს. თანაც მიმართებითი სიტყვები და კავშირები, რომლებიც დაქვემდებარების ძირითად საშუალებას წარმოადგენენ, დროთა განმავლობაში განახლდებიან ხოლმე, როგორც ამას სხვადასხვა ინდოევროპულ ენათა ისტორია აჩვენებს. ა. მეიე აღნიშნავს, რომ ინდოევროპულ ენებში არ არის რაიმე ნაწილაკის არავითარი კვალი, რომელიც ორი წინადადების შეკავშირებას ემსახურებოდა. ნაწილაკები, რომლებიც დიალექტებში ისტორიულადაა დამოწმებული, აღნიშნავენ ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლას. უფრო ძველ პერიოდში ისინი ასრულებდნენ შემდეგ ფუნქციას -- ამხვილებდნენ ყურადღებას გამოყოფილ სიტყვაზე, მაგრამ ისე, რომ ეს სიტყვა იდგა წინადადების დასაწყისში, ხოლ ნაწილაკი მის შემდეგ. ამით თითქოს ნაწილაკი მიუთითებდა ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლას (Meie 1938: 375).

აბოლუტურად არაა განსხვავება რამდენიმე სიტყვის შეკავშირებას, ან წინადადების შიგნით სიტყვათშეკავშირებასა და ორ სხვადასხვა წინადადების შეკავშირებას შორის (Meჩე 1938: 376).

ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება დამოკიდებული წინადადების საშუალებით, ინდოევროპულში სხვადასხვა სახელური ფორმებით აღინიშნება. ერთი მხრივ, თითოეული ზმნური ფუძის პირიანი ფორმების გვერდით მოიპოვებოდა მიმღობა. ის არის სახელური ფორმა, მაგრამ ასევე ითავსებს იმ დამატებას, როგორც იმავე ფუძის პირიანი ფორმები, რომელსაც ის მიეკუთვნება. მაგალითად, რთული წინადადება გამოიხატება ასე: ჩამოვიდა ოლიმპოს მწვერვალიდან, მრისხანებდა რა გულით (Meჩე 1938: 377).

ა. მეიეს აზრით, ყველა ტიპის დამოკიდებული წინადადეგიდან მხოლოდ მიმართებითი წინადადება შეიძლება დარწმუნებით ჩაითვალოს ინდოევროპულის კუთვნილებად. სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებას, მათ შორის პირობით წინადადებას, ყველა დიალექტში აქვს თავისი განსაკუთრებული ფორმები. ავტორის ვარაუდით, წინადადებების კავშირი საჭიროებისამებრ მიუთითებდა წარმოთქმის განსაკუთრებულ მანერაზე (Meჩე 1938: 380).

სლავურ ენებში დაქვემდებარების სინტაქსი მარტივია, რადგან აქ არ არსებობს ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია თხრობითი და კავშირებითი კილოს სხვადასხვაგვარ გამოყენებასთან (Meჩე 1951: 390). ამიტომაცაა მიჩნეული, რომ ჰიპოტაქსი ლოგიკური აზროვნების განვითარების უფრო მაღალი დონის მაჩვენებელია. ის მეტწილად ნიშანდობლივია განვითარებული სალიტერატურო ენისათვის. სწორედ ამას ადასტურებს თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ენა წინადადების გრამატიკული (სინტაქსური) ბუნებითა თუ სტრუქტურით.

რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთობა ანალოგიურია იმისა, რაც გვაქვს სიტყვათა დაქვემდებარებით შეკავშირებაში, სადაც ერთი სიტყვა მთავარია, მეორე კი მასზე დამოკიდებული, წამყვანი სიტყვის ამხსნელი. არნ. ჩიქობავა შენიშნავდა, რომ შესიტყვება სიტყვათა დამოკიდებულებას გულისხმობს. ამიტომაც ყოველ შესიტყვება

ში არის, სულ მცირე, ორი სიტყვა: ერთი გაბატონებული, დომინანტი და მეორე -- მასზე დამოკიდებული, დეპენდენტი. მათი ურთიერთობა ორ სახეს იღებს -- შეთანხმებასა და ძაროვას. მაგალითად: მზის შუქი, ტყის ჰაერი, წყაროს წყალი, აგურის შენობა, ხის სახლი... მოყვანილ მაგალითებში ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი (მზის, ტყის, აგურის, ხის, წყაროს...) მართულია, მთავარ სიტყვაზეა დამოკიდებული, ხოლო შუქი, ჰაერი, წყალი, შენობა მთავარი სიტყვებია, მმართველი. რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც ანალოგიური ვითარებაა, როგორც აღვნიშნეთ -- გვაქვს მთავარი და მასზე დამოკიდებული წინადადებები. მაგალითად: „მერე იქ მივიდა, სადაც ახალმიღებული ზესადგარები ელაგა“ (ფანჯ., გვ. 305); „არსად ისე არ ხარშავენ ყავას, როგორც ბათუმში“ (დუმბ., გვ. 110); „მე სატევარს მაინც არ დავტოვებ, სულ რომ საყვედურებით ამავსოთ“ (გოთ., გვ. 383); „ქალი კი მხოლოდ მაშინაა სანდო, როცა უყვარხარ“ (ჭილ., გვ. 112). დასახელებულ წინადადებებში პირველი წინადადება მთავარია, გაბატონებული (მერე იქ მივიდა; არსად ისე არ ხარშავენ ყავას; მე სატევარს მაინც არ დავტოვებ; ქალი კი მხოლოდ მაშინაა სანდო), ხოლო მეორე კი მასზე დაქვემდებარებულია (როგორც ბათუმში; სადაც ახალმიღებული ზესადგარები ელაგა; სულ რომ საყვედურებით ამავსოთ; როცა უყვარხარ).

ზოგჯერ მკვეთრი ზღვარის დადება რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს შორის მნელდება (კვაჭაძე 1996: 356), რადგან მათი ნაწილების აზრობრივი მიმართება ხან ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ მხოლოდ კავშირების მიხედვითაა განსხვავება ამ ორი ტიპის წინადადებას შორის -- თუ მაჯგუფებელი კავშირი აერთიანებს მასში შემავალ ორ წინადადებას, ის თანწყობილია. ხოლო, თუ მაქვემდებარებელი კავშირით ხდება წინადადებათა შეერთება ან უკავშირობა, მაშინ ისინი ქვეწყობილი წინადადებები არიან. მაგალითად: „დიდებულებმა არ ინდომეს თავათ გამოდგომა, რის გამოც ცხენდაცხენ ვერ მიყვებოდნენ“ (გამს., გვ. 19); „...არც მიწერის დროს და არც მერე არ მომწონებია, რის გამოც მოშალეს კიდეც“ (აკაკი, გვ. 440). მოყვანილი ტიპის წინადადებები თანწყობილი სტრუქტურის წინადადებად ასე გადმოიცემა: დიდებულებმა არ ინდომეს თავად გამოდგომა

და ამის გამო ცხენდაცხენ ვერ მიყვებოდნენ; არც მიწერის დროს და არც მერე არ მომწონებია და ამის გამო მოშალეს კიდეც. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის. ეს ისეთ შემთხვევებში გვაქვს, როცა თანწყობილი წინადადება ისეთი შინაარსის წინადადებებისაგან შედგება, როცა წინა მოქმედებითაა გამოწვეული მეორე წინადადების შინაარსი, ანუ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობაა გადმოცემული. დასახელებულ წინადადებებშიც ასეა, წინადადების პირველი კომპონენტის გათვალისწინებითაა მეორე კომპონენტის აზრი გასაგები. ეს ისეთი სტრუქტურაა, როცა რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები არ არიან ერთმანეთის მიმართ თანასწორნი.

რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზისისა და შესწავლის ისტორიისათვის

რთული წინადადების შესახებ თეორია ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასაწყისში. ცნობილი სლავისტების მიერ გარკვეულია, რომ, მაგალითად, რუსულ ენაში დამოკიდებული წინადადება წარმოშობილია კითხვითი წინადადების საფუძველზე. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი ერთი კომპონენტის კითხვითი წინადადების (resp. დამოკიდებული წინადადების) კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნისართები გადაიქცნენ დამოკიდებული წინადადების კავშირებად, მიმართებით ნაცვალსახელებად და მიმართებით ზმნისართად (როგავა 1948: 365). ზოგი ავტორი რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შორის სტრუქტურულ სხვაობას კრიტიკულად აფასებს, ზოგი კი უარყოფს მათ შორის არსებითი სხვაობის არსებობას. მაგალითად, მ. პეტერსონი სრულიად გამორიცხავს განსხვავებას რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს შორის (Петerson 1923: 32). მკვლევარმა ყველა კავშირი ერთ სიბრტყეზე დააყენა იმ თვალსაზრისით, რომ, ზოგადად, ყველა კავშირის ფუნქციაა გარკვეული ურთიერთობის დამყარება წინადადებებს შორის. მისი თვალსაზრისით, ეს ფაქტორი აგებულების თვალსაზრისით არ ცვლის სურათს. ამ შეხედულებას კატეგორიულად უარყოფს პემკოვსკი, რომელსაც მიაჩნია, რომ ჰიპოტაქსში კავშირი მჭიდროდ მიემართება დამოკიდებულ წინადადებებს და მასთან ერთად ქმნის ერთ აზრობრივ მთლიანობას (Пемковский 1935: 411).

აგებულების თვალსაზრისით, თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი სტრუქტურა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: წყობაზე, ინტონაციაზე და საკავშირებელ საშუალებებზე. ამათგან უმთავრესია წინადადებათა ურთიერთმიმართებისა და წევრთა შეკავშირების საკითხები. სწორედ რთულ წინადადებაში შემავალი კომპონენტების ერთმანეთთან მიმართებით განსხვავდება თან

წყობა ქვეწყობისაგან. თანწყობის შემთხვევაში თითოეული წინადადება დამოუკიდებელი მნიშვნელობისაა და ისე ქმნიან ერთ მოლიანობას. ისინი ცალ ცალკე მოიაზრებიან დამოუკიდებელ წინადადებად. ქვეწყობისას კი ეს შეუძლებელია. ჰიპოტაქსში ერთი წინადადების მეორეზე დაქვემდებარება, დამოკიდებულება წარმოჩენილი. მთავარი წინადადების აზრი ხომ იხსნება და განიმარტება დამოკიდებული წინადადებით, რაც სწორედ **საკავშირებელი საშუალებებითა და სპეციფიკური სტრუქტურით** ხდება შესაძლებელი. ესაა არსებითი განსხვავება პარატაქსსა და ჰიპოტაქსს შორის. ამ თვალსაზრისს აძლიერებს უკავშირო ქვეწყობილი წინადადება, სადაც კავშირი არ არის, მაგრამ დაქვემდებარება სახეზეა. უფრო მეტიც, შესაძლოა, აქ არა მარტო კავშირი, არამედ საკორელაციო სიტყვაც არ იყოს, მაგრამ წყობა მაინც ჰიპოტაქსურია:

„ალექსანდრე უმალ მიხვდა, საით დრეკავდა სიტყვას გიორგი“ (გოთ., გვ. 121); „არცერთ ვანელს არ მოუვიდოდა აზრად, სარკმელი მხოლოდ ზღვის საცქერლად გამოელო“ (ჭილ., გვ. 10); „გრძნობდა, დათმობაზე წავიდა“ (რობ., გვ. 11); „თამადას ესმოდა, რა გრიალ გრიალით წამოვიდა კვარცხლბეკიდან მისი დედა და დაენარცხა მიწას“ (ლეონ., გვ. 144); „ვიცი, ჩემი დღე დათვლილია“ (ილია, გვ. 139); „შეხედე სხვებს, როგორ ხმარობენ დროს და რარიგადა ცხოვრობენ“ (აკაკი, გვ. 324).

დასახელებულ უკავშირო წინადადებებში დამოკიდებული წინადადების მთავარზე დაქვემდებარება ცხადია. კავშირიანი წინადადების მსგავსად, აქაც მთლიანი აზრის აღქმა ორივე კომპონენტის გარეშე შეუძლებელია. როგორც ჩანს, ჰიპოტაქსში გადამწყვეტია არა მხოლოდ კავშირებისა და კორელატების საშუალებით წინადადებათა ურთიერთმიმართება, არამედ აგებულია. ამით განსხვავდება რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები ერთმანეთისაგან. საკორელაციო სისტემა და სპეციფიკური კავშირები ერთ ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ჰიპოტაქსისა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ჰიპოტაქსი საკავშირებელი საშუალებებითაც განირჩევა პარატაქსისაგან და კავშირთა ერთ სიბრტყეზე დაყენება არ უნდა იყოს მართებული. რასაკვირველია, კავშირის ფუნქცია არის გარკვეული ურთიერთობის

დამყარება წინადადებებს შორის, მაგრამ სხვაობა მათ შორის ისაა, რომ პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ წინადადებებში კავშირი განსხვავებული მიმართებით აერთებს წინადადებებს. მთავარი სხვაობა კი დაქვემდებარებითი დამოკიდებულებაა. კერძოდ, რთულ თანწყობილ წინადადებაში **მაჯგუფებელი, მაგალკეებელი და მაპირისპირებელი** კავშირები აერთებს ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად **თანასწორ წინადადებებს**, რომლებიც ცალცალკე აღებულნი დამოუკიდებელი შინაარსისა არიან. ხოლო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში **მაქვემდებარებელი კავშირები** თუ **მიმართებითი სიტყვები** გრამატიკულად ერთიმეორის მიმართ **არათანასწორ წინადადებებს** აკავშირებს.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ჰიპოტაქსის გენეზისის საკითხი. გ. როგავას აზრით, რთული ქვეწყობილი წინადადება **კითხვითი წინადადებისაგან** მომდინარეობს: „ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვით წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) უკვე დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი“ (როგავა 1948: 365). მკვლევრის შეხედულებით, ასეთი აგებულების არაა რთული თანწყობილი წინადადება, მისი კავშირებიც არსებითად განსხვავდება ქვეწყობილი წინადადების კავშირებისაგან, რომლებიც თავის მხრივ მომდინარეობენ კითხვითი სიტყვებისაგან. ამიტომ მიაჩნია მკვლევარს, რომ სწორედ ეს ფაქტორი ქმნის ამ ორი ტიპის რთულ წინადადებათა შორის არსებითი ხასიათის ენობრივ სხვაობას (როგავა 1948: 365 366).

ირკვევა, რომ ყოველი სახის დამოკიდებული წინადადება მომდინარეობს კითხვითი წინადადებისაგან. შემეერთებელ კავშირებად ასეთ წინადადებებს მხოლოდ კითხვითი წინადადების აღმნიშვნელი საშუალებები აქვს გამოყენებული, განსაკუთრებით კი კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები, რომელთაც შემდგომ დაერთო სათანადო ნაწილაკები **ესე, იგი, იგი-ცა**. ეს ნათლად ჩანს ძველ ქართულში (როგავა 1948: 366).

კ. დონდუას მიაჩნია, რომ რთული ქვეწყობილი წინადადების საბოლოო ჩამოყალიბებასა და მკვეთრად გამოყოფას მწერლობამ შეუწყო ხელი. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს და

მოკიდებული წინადადების ერთ სახეზე - ესაა ასიმილაცია (ატრაქცია). საკითხი ეხება მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ასიმილაციას -- დამსგავსებას ბრუნვაში. მეცნიერისთვის საყურადღებოა „რეგრესული ასიმილაციის“ მაჩვენებელი კონსტრუქცია, სადაც დამოკიდებული წინადადება „შეჭრილია“ მთავარ წინადადებაში. ჩვეულებრივ, ასეთი კონსტრუქციისას მთავარი წინადადების ქვემდებარე „ანგარიშს უწევს“ მხოლოდ თავის შემასმენელს. ასევე დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავარი წინადადების ქვემდებარე უთანხმდება მის უშუალოდ მომდევნო მიმართებით ნაცვალსახელს (დონდუა 1940: 335). ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის ატრიბუტს. მისამართი ნაცვალსახელი ერთსა და იმავე დროს მისამართ სიტყვასაც უნდა კუთვნებოდა და საკუთრივ დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც. ეს კი მიუთითებს შემდეგზე -- მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის შეთანხმება ბრუნვაში ირიბი მაჩვენებელია იმისა, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადების გამოყოფის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულია (დონდუა 1940: 335-336).

ნ. ბასილაია იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დამოკიდებული წინადადება კითხვითი წინადადებისაგან მომდინარეობს (ბასილაია 1955: 180).

ფ. ერთელიშვილი არ ეთანხმება გ. როგავას თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველი სახის დამოკიდებული წინადადება მომდინარეობს კითხვითი წინადადებისაგან. მკვლევრის თვალსაზრისით, „ის გარემოება ხომ თავისთავად გვიბიძგებს მოსაზრებისაკენ, რომლის მიხედვით, რაკი დამოკიდებული წინადადება მთავარს მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების საშუალებით უკავშირდება და მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები კი იგივე კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, ამიტომ დამოკიდებული წინადადებაც კითხვითისაგან მომდინარეობს?“ (ერთელიშვილი 1962: 210). მისი აზრით, კითხვითი ნაცვალსახელებისათვის კითხვითობის გამოხატვა არ ყოფილა მათი ერთადერთი ფუნქცია. კითხვითობის პარალელურად ეს ნაცვალსახელები და ზმნიზედები განუსა

ზღვრელობითი შინაარსის შემცველი ნაცვალსახელებიც იყვნენ. მიმართებით სიტყვებად არა ეს კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია გამოყენებული, არამედ ნაცვალსახელები და ზმნიზედები, რომლებიც ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა კითხვითი და მეორე შემთხვევაში განუსაზღვრელობითი შინაარსისანი ყოფილიყვნენ. თვალსაზრისის გასამყარებლად გაანალიზებულია ვინ, რა, რომელი, სადა ფორმები, რომლებიც ძვ. ქართულიდან მოყოლებული შეიძლებოდა გამოგვეყენებინა კითხვითის, განუსაზღვრელობითისა და მიმართებითის მნიშვნელობით. მიმართებითად ხმარების ფუნქცია მეორეული ჩანს და განუსაზღვრელობით შინაარსს უნდა ემყარებოდეს (ერთელიშვილი 1962: 311 212).

ავტორი წარმოგიდგენს საყურადღებო დასკვნას: „დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით მთავარ წინადადებაში ისაზღვრება, ზუსტდება ცალკეული სიტყვის (არსებითის, საწყისის, ნაცვალსახელის, ზმნა შემასმენლის) მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. სიტყვის მნიშვნელობის, აზრის უფრო ზუსტად და სრულყოფილად გამოთქმის საჭიროებით ჩანს შეპირობებული დამოკიდებული წინადადების წარმოშობა. და, თუ დამოკიდებული წინადადების გენეზისის საკითხი დაისმის დღის წესრიგში,... კვლევა განსაზღვრების სპეციფიკისა და გენეზისის ძიების მიმართულებით უნდა წარიმართოს“ (ერთელიშვილი 1962: 214).

ჰიპოტაქსის გენეზისისა და განვითარების საკითხს შ. მიძიგური განიხილავს კავშირის კატეგორიასთან მიმართებით. მისი თვალსაზრისით, რთული ქვეწყობილი წინადადების კონსტრუქცია აღმოცენებულია თანწყობის კონსტრუქციების საფუძველზე. პარატაქსული შეხამებანი წინადადებათა საფუძველია ჰიპოტაქსის კონსტრუქციისათვის. მკვლევრის აზრით, ეს განსაკუთრებით ჩანს თვით კავშირთა ეტიმოლოგიებიდანაც: ქართული კავშირები ზმნიზედურ ნაცვალსახელური წარმოშობისაა. ეს კი იმას მოწმობს, რომ ეს სიტყვები თავდაპირველად (პარატაქსის პერიოდში) ცალკეულ წინადადებათა წევრებს წარმოადგენდნენ. წინადადებები ერთმანეთთან ლოგიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან და გრამატიკული საშუალებების ნაცვლად სინტაქსური და

კავშირება განხორციელებული იყო რიტმომელოდიკის საფუძველზე (ძიმიგური 1989: 441-442). მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ „პირობითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქცია გამომუშავებულია კითხვითი სიტყვის შემცველი წინადადებისაგან, რომელიც თავდაპირველად დამოუკიდებელ კითხვით წინადადებას წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში ეს კითხვითი სიტყვა კარგავს „მორფოლოგიურ თავისთავადობას“, სინტაქსური კავშირი ხდება და ამით ქვეწყობის კონსტრუქცია მუშავდება (ძიმიგური 1942: 13). შემდგომ პერიოდში შ. ძიმიგური ამ აზრს ავითარებს არა მხოლოდ პირობით, არამედ სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათა წარმოქმნის შესახებაც. მისთვის ყველგან დასაბამი კონსტრუქციაა პარატაქსული წყობა ორი წინადადებისა, რომელთაგან ერთი კითხვით წინადადებას წარმოადგენდა (ძიმიგური 1973: 452-456).

მაშასადამე, სამეცნიერო ლიტერატურაში ჰიპოტაქსური წინადადების გენეზისის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. რუსულ ლიტერატურაში არსებული შეხედულების მსგავსად, მიჩნეულია, რომ ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შედეგს. შეერთების საფუძველზე კი კითხვით წინადადებას დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი (გ. როგავა). სხვა შეხედულებით, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის შეთანხმება ბრუნვაში ირიბი მაჩვენებელია იმისა, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადების გამოყოფის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა (კ. დონდუა). არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ სიტყვის მნიშვნელობის, აზრის უფრო ზუსტად და სრულყოფილად გამოთქმის საჭიროებით ჩანს შეპირობებული დამოკიდებული წინადადების წარმოშობა. კვლევა განსაზღვრების სპეციფიკისა და გენეზისის მიმართულებით უნდა წარიმართოს (ფ. ერთელიშვილი). ჰიპოტაქსის გენეზისი განიხილება კავშირის კატეგორიასთან მიმართებითაც. აღნიშნულია, რომ რთული ქვეწყობილი წინადადების კონსტრუქცია აღმოცენებულია თანწყობის კონსტრუქციის საფუძველზე (შ. ძიმიგური).

ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, რომ დამოკიდებული წინადადების

ყველა სახე ერთი ხნოვანებისა არ არის: ზოგი მათგანი უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ზოგიც – უფრო გვიან. მათი წარმომავლობაც არ უნდა იყოს ერთგვარი (კვანჭაძე 1996: 394). გარდა ამისა, ირკვევა, რომ ქართული ენის რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზის ბევრი რამ აქვს საერთო სხვა ენების ამავე ტიპის წინადადებათა გენეზისთან, ანუ საერთო კანონზომიერებასთან უნდა გვეკონდეს საქმე.

საინტერესოა რთული ქვეწყობილი წინადადების შესწავლის საკითხი ძველ ქართველ გრამატიკოსებთან.

ქართული ენის ძველ გრამატიკებში XVII საუკუნიდან დაწყებული ლექსითხზულება, ანუ სინტაქსი, გამოიჯნულია მორფოლოგიისაგან. მოძღვრება წინადადების შესახებ უკვე ანტონ I-თან გვხვდება (კვანტალიანი 1993: 77-80). იგი განიხილავს სრულსა და უსრულ წინადადებებს. მაგალითებიდან ჩანს, რომ ავტორს არასრულ წინადადებად მიაჩნია რთული წინადადების გარკვეული ნაწილი – ერთ შემთხვევაში ცალკე აღებული დამოკიდებული წინადადება, მეორე შემთხვევაში მისი კომპონენტი (კიზირია 1997: 8): რომელმან ყოველი სჯული დაიმარხოს და სცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანამდებ (ბაბუნაშვილი 1970: 199). ანტონი რთული წინადადების ორ ტიპს – თანწყობილსა და ქვეწყობილს არ განარჩევს, მაგრამ ზოგადად კი მსჯელობს შეკავშირების ორი ძირითადი სახის – „თანად შერთვის“ და „დამოკიდულ ყოფის“ შესახებ. იგი კავშირთა დაჯგუფებისას მიუთითებს, რომელი კავშირები ემსახურებიან დაქვემდებარებას.

გაიოზ რექტორის გრამატიკაში ყველაფერი ისეა, როგორც ანტონის გრამატიკაში. თუმცა მან განასხვავა, დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვი, მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები და ამით რთული წინადადების სახეებად დაყოფას ბიძგი მისცა. გარდა ამისა, ის პირველი გრამატიკოსია, რომელმაც რთული წინადადების სინტაქსი გრამატიკაში შემოიტანა (კვანტალიანი 1990: 172-173).

გაიოზ რექტორის განმარტებით, რთულია წინადადება, თუ ორი პიროვანი ზმნა უკავშირდება ერთმანეთს კავშირით, ნაცვალსახელით ან სხვა საშუალებით. წინადადების მთავარ წევრად მას ზმნა (ე. ი. შემასმენელი) მიაჩნია (ნიკოლაიშვილი 1970:

27): „...ჰრთული არს, ოდეს ორნი მარტივნი სიტყვანი, ესე იგი არს ორნი პიროვანნი ზმნანი, გარდაებმიან ურთიერთისადმი ანუ კავშირითა, ანუ კტლამოდებითა ნაცტდა სხტტბითა. მაგალ.: მე ვჰსწერ და შენ აღმოიკითხე; იგი უჰმარ არს, რომელიცა თვთ თავ სა თვსსა სასჯელსა...“ (გ. რექტორი 1910: 142).

წინადადებათა სიმარტივე-სირთულე და სტილისტური ნა-
ირფეროვნება წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ გაიოზმა აღნაქ-
ვისი (ანუ სინტაქსი) დაყო სამ სახედ: 1. მარტივი, ანუ კანონიერი,
ანუ საზოგადო; 2. ჯელოვნებითი, ანუ რიტორული; 3. უბტსიტყტ
აობითი, ანუ შტტწნიერსიტყტაობითი (ნიკოლაიშვილი 1970: 25).

იოანე ქართველიშვილმა წინ წასწია წინადადების სტრუქ-
ტურული ტიპების კვლევა იმით, რომ რთულ წინადადებაში
გამოყო უმთავრესი და დამოკიდებული კომპონენტები და სცადა
ზოგი „დამატებული“ წინადადების ფუნქციური დახასიათება
(კვანტალიანი 1990: 174).

სოლომონ დოდაშვილმა „შემოკლებულ ქართულ ღრამმა-
ტიკაში“ მარტივი და რთული წინადადებები იმგვარადვე განსა-
ზღვრა, როგორც იოანე ქართველიშვილმა. რთულად ჩაითვალა
ერთგვარი ქვემდებარეების შემცველი წინადადებაცა და რთული
ქვეწყობილი წინადადებაც პლატონ იოსელიანის ნაშრომში „პი-
რტტლ დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა“ - რთუ-
ლი წინადადება განხილული არ არის (კვანტალიანი 1990: 174).

საფრანგეთში, მონთობანს, გამოცემული „გრამატიკის“ ავ-
ტორი მიუთითებს, რომ დაქვემდებარებულ წინადადებას აერ-
თებს მთავართან მიმართებითი ნაცვალსახელი და კავშირების
გარკვეული ჯგუფი. ავტორმა გამორიცხა დაქვემდებარებიდან
ე. წ. მაერთებელი კავშირები, რაც უთუოდ მისი დამსახურებაა
(კვანტალიანი 1990: 176).

ავტორი ლოგიკური წინადადების სახეებს განიხილავს. გა-
მოყოფს **შემთხვევით** წინადადებასაც, რომელიც ორგვარია: გან-
საზღვრებითი და განმარტებითი. აღნიშნულია, რომ განსა-
ზღვრებითი წინადადება სხვა წინადადების აზრს განსაზღვრავს.
მისი მოკვეცა შეუძლებელია ფრაზის აზრის შეცვლის გარეშე.
განმარტებითი წინადადება კი, ავტორის აზრით, ავსებს სხვა წი-
ნადადებას (ჩხუბიანიშვილი 1966: 206 207).

თ. ჟორდანიას „ქართულ გრამმატიკაში“ ნათლადაა წარმოდგენილი მსჯელობა რთული წინადადების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ დამოკიდებული წინადადება შეიძლება განსაზღვრავდეს არამთავარ წევრებსაც. თუ დამატებითი წინადადებები „შესმენილის გარემოებებს“ საზღვრავენ, მაშინ იწოდებიან ასე: დამატებითი წინადადება გარემოებითი. ასეთი ხუთია: ადგილობითი, სამიზეზონი, დროებითი, ხატმოქმედებითი. ამას უმატებს სათუო ანუ პირობით დამატებით დამოკიდებულ წინადადებას. განხილულია ე. წ. გაერთებული დამოკიდებული წინადადება, რომელშიც ერთ მთავარ წინადადებას მიემართება ერთნაირი ფუნქციის მქონე რამდენიმე დამოკიდებული.

ს. ხუნდაძის გრამატიკაში გამოყოფილია იმდენი სახის და მოკიდებული წინადადება, რამდენიც არის წინადადების II ხარისხის ნაწილი. ამას ემატება პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც ფუნქციით ყველაზე ახლოს არიან დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასთან და ამიტომაც ავტორს ისინი ერთად აქვს განხილული (კვანტალიანი 1990: 176-177). ყურადღებაა გამახვილებული დროთა შეთანხმებაზე ქვეწყობილ წინადადებაში.

მ. ჯანაშვილის „ქართულ გრამმატიკაში“ აღნიშნულია, რომ მნიშვნელობის მიხედვით პერიოდების დაყოფა დამოკიდებულ წინადადებათა სახეებს მიჰყვება. ავტორმა ის ლექსთწყობასთან ერთად ისევ გრამატიკის „დამატებაში“ შეიტანა.

არ. ქუთათელაძე რთული წინადადების ორ ჯგუფს გამოყოფს: 1. გაერთებული (ერთგვარწევრებიანი); 2. შეერთებული. ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც თანწყობას, ისე ქვეწყობას. ავტორმა ასევე გამოყო თავი წინადადება და იმდენი სახის დამოკიდებული, რამდენი ამხსნელი სიტყვაცაა წინადადებაში. თავი წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელიც თავის თავად იპყრობს საკუთარ აზრს და რომელზედაც არის დამოკიდებული სხვა წინადადება. წინადადება, რომელიც ხსნის თავი წინადადების რომელიმე სიტყვას, იწოდება დამოკიდებულ წინადადებად. გამოყოფილია შემდეგი დამოკიდებული წინადადებები: 1. განმარტებითი (ანუ განსაზღვრებითი); 2. დამატებითი; 3. გარემოებითი (ქუთათელაძე 1888: 9-11).

ი. ნიკოლაიშვილთან და ი. სიხარულიძესთან გამოყოფილია რთული წინადადებები. ილია სიხარულიძემ, სხვათაგან განსხვავებით, ერთგვარშემასმენლიანი შერთული წინადადება ცალკე გამოყო. მან რთულ წინადადებად მიიჩნია რთული შეკავშირებული და რთული დამოკიდებული წინადადებები (კვანტალიანი 1990: 178-179).

ვრცელი ანალიზი ჰიპოტაქსისა იწყება XX ს-ის 40 იანი წლებიდან (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ნ. მარი, მ. ბრიერი, ჰ. ფოგტი, გ. დეეტერსი...) და გრძელდება დღემდე.

რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელი ნაწილები

ჰიპოტაქსური წინადადება, როგორც აღინიშნა, შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან. დამოკიდებული წინადადება მთავარზეა დაქვემდებარებული. ზოგადად დაქვემდებარება კი სხვადასხვა საშუალებითა და ხერხით ხორციელდება -- აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნული მახასიათებლებითაა გამოხატული, ზოგი კი შინაგანი ნიშნითაა წარმოდგენილი (კვაჭაძე 1996: 383).

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დაქვემდებარებისას გამოიყენება: მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი ზმნიზედები და მიმართებითი ნაცვალსახელები. მაგალითად: „ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა ეზოში, რომ ბელურებიც კი შეკრთნენ ხეებზე“ (დუმბ., გვ. 11); „ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, როცა მამამზე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა“ (გამს., გვ. 15); „სადაც ღარი იყო, იქ მხარდამხარ ჩადგნენ ხელჩადებული მხლებლები“ (გოთ., გვ. 206); „მეორე დღესვე ხელმეორედ აყვირდებოდა, რადგან გულუხვი თეიმურაზი დადებულ პირობას ვერ ასრულებდა“ (ჯავ., გვ. 17); „ვინც თავისი ერისა და მატიანის გარეშე მცონარად ცხოვრობს, იგი ყველაფრის ღირსია“ (გოთ., გვ. 384); „რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ისეთი ბელადისა, რომელიც ყველაზე ადრე გარბის ბრძოლის ველიდან“ (ჯავ., გვ. 117); „არც მან იცოდა სიმღერის ფასი, ვისაც შავთვალემა მაღალსა და მისი ექვსი ქალიშვილისათვის ერთხელ მაინც არ მოესმინა“ (ჭილ., გვ. 10).

ამათგან მაქვემდებარებელი კავშირი დამოკიდებული წინადადების მთავართან მხოლოდ გადაბმის, მისი დაქვემდებარების საშუალებაა, რადგან ის არ არის წინადადების წევრი. მიმართებითი სიტყვა კი წინადადების ერთ ერთი წევრიცაა და ამავდროს მაქვემდებარებელი კავშირის როლსაც ასრულებს, ე. ი., ის წევრ-კავშირია (კვაჭაძე 1996: 384). მაგალითად, „სწორედ ის სასახლე იყო, სადაც შარშან დღეისწორს სრულიად საქართველოს „დიდ გარიგებას“ ჩაუყარა საფუძველი“ (გოთ., გვ. 484); „მე ვარ

ლევან ხიდაშელი და ვთქვი ის, რაც ვიგრძენი“ (ფანჯ., გვ. 273); „ალექსანდრე სადაც იჯდა, იქვე დახვდა განთიადს“ (გოთ., გვ. 496). პირველსა და მესამე წინადადებაში **სადაც** არის როგორც კავშირი, ასევე ადგილის გარემოება. მეორე წინადადებაში კი **რაც** არის როგორც კავშირი, ასევე პირდაპირი დამატება. ან კიდევ: „მაგრამ არიან ისეთი სიტყვებიც, რომელნიც გამოთქმისაგან შეიბლალებიან ხოლმე“ (გამს., გვ. 312); „ცოდვია ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ., გვ. 59); „ეს კაცი ის არ უნდა ყოფილიყო, რაც ეხლა არის“ (ილია, გვ. 137); „ფიქრით განსაკუთრებით იყო ხაზგასმული ის სამი ადგილი, სადაც ვერხოვენსკისა და მამამისის შეხვედრაა აღწერილი“ (რობ., გვ. 63); „შენ აასრულე, რასაც გიბრძანებენ“ (აკაკი, გვ. 307); „შენც ისა ხარ, ვისიც მოლოდინი ჩემს სულსა ჰქონია“ (ილია, გვ. 218); „ვისაც კი თქვენებურს შეხვდებოდნი, თქვენს ამბავს ვკითხავდი“ (ილია, გვ. 79); „ვისაც თვალი დაადგა, ყველანი მოიწონა“ (ჯავ., გვ. 24) (დაწვრილებით მისამართი სიტყვისა და მაქვემდებარებელი კავშირების შესახებ ქვემოთ).

რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ წინადადებაში ხშირად მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც გვავარაუდებინებს დამოკიდებულ წინადადებას. ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, რომელთა ზოგად მნიშვნელობასაც აკონკრეტებს და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებული წინადადების მისათითებელ სიტყვებს, რომლებიც მთავარშია, **საკორელაციო სიტყვები** ჰქვია (კვაჭაძე 1996: 384 385). კორელაცია ნიშანდობლივია ქვეწყობის კონსტრუქციისათვის, თანწყობილი ტიპის სტრუქტურას იგი არ ახასიათებს. ზოგადად, კორელაციის სისტემა მტკიცედაა ჩამოყალიბებული ქართულ სალიტერატურო ენაში – ძველი ქართული სამწერლობო პერიოდიდან მოყოლებული დღემდე: „რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრული იყოს იგი ცათა შინა“; „ევედრებოდა მას რომელი-იგი იყო პირველი ეშმაკული...“ (ძიძიგური 1989: 323). ჰიპოტაქსური სტრუქტურის წინადადებებში ხშირია კორელაციის შემცველი წინადადებები: „ისეთი რა საქმე გაქვს, რომ ორი ოდეს კვირაც ვეღარ მოიცადე შენს მამულში?“ (ჯავ., გვ. 29); „ისკუპა ისე მკვირცხლად ქალმა, ისე, როგორც ნადირობის დროს ეს ჩვე

ულია ფხოვეში“ (გამს., გვ. 195); „რადგან **ეგეთი** თვინიერი და დამჯერი ხარ, ყურის აწევით დავკმაყოფილდები“ (დუმბ., გვ. 44); „სიტყვასა და ფიცს კი შაჰ აბასისათვის **ისეთივე** ფასი ჰქონდა, როგორც აბანოს ქოშებს“ (გოთ., გვ. 86); „**ჯერ ისე** მხრებგაშლილი წავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოსებს ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატები“ (გამს., გვ. 350). მოყვანილ მაგალითებში საკორელაციო სიტყვებია: **ისეთი, ისე, ეგეთი, ისეთივე...** საკორელაციო სიტყვა თავისთავად გვავარაუდებინებს დამოკიდებული წინადადების არსებობას. ის მოითხოვს მთავარ წინადადებაში ნათქვამის მნიშვნელობის ახსნას, განმარტებასა თუ დაზუსტებას. ამის გარეშე მთლიანი წინადადების აზრი დაუმთავრებელი და გაუგებარია: „მე **ის** ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე“ (გამს., გვ. 278); „ინგას ზუსტად **ისეთი** ხრიალი აღმოხდა ყელიდან, როგორც ერთი წლის წინ აფთიაქში“ (დუმბ., გვ. 27); „ყველაფერი ისევ **ისე** იყო, როგორც სამი წლის წინათ დატოვა“ (ფანჯ., გვ. 179); „ქარისას **ის** უნდოდა, რაც დაამშვენებდა“ (ჭილ., გვ. 39). ცხადია, დამოკიდებული წინადადების გარეშე მთავარი წინადადება აზრობრივად დაუმთავრებელია. მე ის ფერები მიყვარდა – **რომელი** ფერები? სწორედ საკორელაციო სიტყვის ამხსნელი და დამაზუსტებელია დაქვემდებარებული წინადადება – **ის ფერები**, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე. ან კიდევ: ინგას **ისეთი** ხრიალი აღმოხდა ყელიდან. **ისეთი** – როგორი? ამის ცნობას დამოკიდებული წინადადება გვაწვდის: **როგორც ერთი წლის წინათ აფთიაქში**.

ასევე იყო ძველ ქართულსა და საშუალ ქართულშიც: „და **რომელი** შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრული იყოს **იგი** ცათა შინა“; „მაშინ, **რომელთა** სლვაჲ ედვა, ერთობით მიიწინეს **ყოველნი** შატბერდს ძიებად წმიდისა მის“; „ევედრებოდა **მას რომელ-იგი** იყო პირველი ემმაკუელი“; „რამეთუ **რომელსა** აქუნდეს, მიეცეს **მას** და მიემატოს“; „შევედით წალკოტსა შინა ეგეთსა, რომელ არა დგა წალკოტი სწორი მისი ქუეყანასა ზედა!“ (ამირ., გვ. 94);

² აქ და შემდეგ ძვ. ქართულის მასალა მოგვყავს ა. კიზირიას ნაშრომიდან „რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“.

„ასეთი სიდიდე და სიფართოე ქონდა ტახტის თავსა, რომე ოთხასი კაცი დაჯდებოდა“ (რუსულდ., გვ. 77); „ მან დიაცმან უძღვნა ერთი შესამოსელი ეგეთი, რომელისა მსგავსი კაცისა თვალისაგან არა ნახულა რა“ (ამირ., გვ. 120).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სხვადასხვა სახის კორელატებს (დიძიგური 1989: 323-364). ესენია:

ქვემდებარული კავშირების კორელატები { ის
იგი
ეს
ყოველი
ყველა

დამატებითი კავშირების კორელატები { რაც
ვინც
რომელიც
(რაჟოდენ - ძვ.
ქართულში)

განსაზღვრებითი კავშირების კორელატები { ის
რომელიც
(იგი, ის, იმას,
იმავ, იმ ძვ.
ქართულში)

სივრცითი კავშირების კორელატები { იქ (იქით, იქითკენ)
ყველგან
(მუნ, მუნით,
მუნითკენ · ძვ.
ქართულში)

დროულობის კავშირების კორელატები

მაშინ/მაშინვე
მეყსეულად
მყის
მანამ
(მუნ(თ)ქუესვე, მას
ჟამსა, მუნითგან,
მარამდი(ს),
მანამდი(ს) · ძვ.
ქართულში)

მიზეზობითი კავშირების კორელატები

ამად
ამისთვის/მისთვის
ამით/მით
ამიტომ/მიტომ

მიზნითი კავშირების კორელატები

ამისთვის
რა(დ)თა (ძვ.
ქართულში)

ვითარებით შედეგობრივი კავშირების
კორელატები

ასე/ისე
იმდენი
(ასრე/ისრე, ეზომი
საშ. ქართულში)

ვითარებით შედარებითი კავშირების
კორელატები

ისე
ისეთი
ეგრე
(ეგრეცა, ეგრეწთ,
ეგრეწთვე, ეგრეწთ·
ცა, ესრე, ესრწთ,
ესრეთ - ძველ და
საშ. ქართულში)

პირობითი კავშირების კორელატები

{ მაშინ
მაშინვე
(მაშ(ა) -- ძვ. და საშ.
ქართულში)

გამორიცხვითი კავშირების კორელატები

{ მაინც
მაშინ(აც)
მაშინცა (საშ.
ქართულში)

როგორც ჩანს, ზოგი კორელატი შეიძლება შეგვხვდეს სხვა დასხვა სახის დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითად, დრო ულობის კავშირის **მაშინ** გამოიყენება ასევე გამორიცხვითი კავშირის კორელატად. ქვემდებარული კავშირის კორელატი **ის** გვხვდება განსაზღვრებით კავშირებთანაც, **ისე** დასტურდება ვითარებით შედეგობრივი კავშირის კორელატად და ასევე ვითარებით შედარებით კორელატადაც:

„მთელი ქვეყანა მტრად რომ გადამეკიდოს, **მაშინაც** არავის დაგითმობ“ (ყაზბ., გვ. 27) -- გამორიცხვითი; „...თუ **ის** მიმინო, **რომელსაც** გაჩენის დღიდგან კაცის ხელი არ მოჰხვედრია“ (ილია, გვ. 17) -- განსაზღვრებითი; „მისი **ისე** ეშინოდათ, როგორც სულთამხუთავისა“ (აკაკი, გვ. 430) -- ვითარებით-შედარებითი.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მთავარ წინადადებაში არ არის საკორელაციო სიტყვა, მაგრამ შინაარსობრივად შესაძლებელია აღვადგინოთ: „ამ ქვეყანამ და თეიმურაზ ხევისთავმა **[ისე]** შეიძულეს და შეიზიზღეს ერთმანეთი, როგორც კერპმა მამამ მოიძულა უძღები შვილი“ (ჯავ., გვ. 37); „ცნობა **[ისე]** აღვიქვი, როგორც ყაჩაღების შემოსევა, რადგან ციგანიცა და ჩაჩანიც ეშმაკისა და გაღლეტილის სინონიმებია აგრეთვე გურიაში“ (დუმბ., გვ. 133); „როცა დრო მოვიდა, **[მაშინ]** მთებიდან მოულოდნელად კბილებამდე იარაღში ჩამსხდარი ხუთი ჯივაშვილი ჩამოვარდა“ (ჯავ., გვ. 48); „მე მიყვარს **[ისეთი]** ქართული სუფრა, სადაც მგოსანი შეზარხოშებულ ანგელოზად გადაიქცევა და გულში წინასწარმეტყველთა ღველფს გაიღვივებს“ (ჯავ., გვ. 411); „როცა წყალი კუკარაჩას მკერდამდე მისწვდა, **[მაშინ]** შვებით ამოვისუნთქეთ“

(დუმბ., გვ. 42); „სანამ მისი ქმარ-შვილი პირველად წავიდოდა უიმისოდ სასახლის გალავანში, [მანამდე] სახიდან ღიმილი არ მოშორებია“ (ქილ., გვ. 41).

მსგავსი ვითარებაა ძველსა და საშუალო ქართულში (ბურ-ქულაძე 2007: 15-16): „რომელი დაეცეს ლოდსა მას, შეიმუსროს“; „რომელთა ჰრწმენა ქრისტჳსი, უკუანა შეუდგეს მას“; „რომელნი-იგი შეკრებული იყვნეს, ჰკითხვიდეს და იტყოდეს“ (კიზირია 1969); „გახელებულ იყო, რომელ სიკუმტითა ავსა კარგისაგან ვერ გამოარჩევდა“ (ვისრ., გვ. 19); „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, და-კარგულია“ (ვეფხ., გვ. 21); „ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა“ (ვეფხ., გვ. 21); „ზავისთვისნ ტახტი მძიმე და მაღალი დაადგმევინა სახელმწიფო, რომე მის უშვენიერესი არა იქნებოდა რა“ (ამირან., გვ. 93); „მივეყ იმ სისხლსა და მიველ, სადაც ვეშაპი მოეკლა“ (რუსუდ., გვ. 169).

შდრ. აღდგენილ ფორმებს: რომელი დაეცეს ლოდსა მას, [ის] შეიმუსროს; რომელთა ჰრწმენა ქრისტჳსი, [იგინი] უკუანა შეუდგეს მას; რომელნი-იგი შეკრებული იყვნეს, [იგინი] ჰკითხვიდეს და იტყოდეს; [ისე] გახელებული იყო, რომელ სიკუმტითა ავსა კარგისაგან ვერ გამოარჩევდა; რასაცა გასცემ, [ის] შენია...; ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის [ის], ვინცა დაიყბედნა; ზავისთვისნ [ისეთი] ტახტი მძიმე და მაღალი დაადგმევინა სახელმწიფო, რომე მის უშვენიერესი არა იქნებოდა რა; მივეყ იმ სისხლსა და მიველი [იქ], სადაც ვეშაპი მოეკლა.

უფრო ხშირად ისეთი ტიპის ჰიპოტაქსურ წინადადებებში არ ჩანს საკორელაციო სიტყვა, როცა ადგილის მიხედვით ჯერ დამოკიდებული წინადადებაა და მას მოსდევს მთავარი წინადადება. როდესაც დამოკიდებული წინადადება კავშირით იწყება, მაშინ საკორელაციო სიტყვას ითხოვს სტრუქტურა, რომ აზრობრივად უფრო გამართული იყოს:

როგორც კერპმა მამამ მოიძულა უძღები შვილი, ამ ქვეყანამ და თეიმურაზ ხვეისთავმა ისე შეიძულეს ერთმანეთი; როგორც ყაჩაღების შემოსევა, ეს ცნობა ისე აღვიქვი, რადგან ციგანიცა და ჩაჩანიც ეშმაკისა და გალლეტილის სინონიმებია აგრეთვე გურია ში. მამსადამე, მსგავსი წყობის წინადადებებში უფრო მყარია საკორელაციო სიტყვის არსებობა, მის არსებობას უფრო მოითხოვს,

ვიდრე მთავარი წინადადებით დაწყებულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ჰიპოტაქსური წინადადეგის მთავარ ნაწილში არ არის კორელატი და ასეთად ვერც აღვადგენთ ან ვივარაუდებთ რომელიმე სიტყვას (კვაჭაძე 1996: 385): „ვახშამი რომ გაათავეს, მარგო ისევ ურემზე ავიდა და მიწვა“ (ჯავ., გვ. 65); „სადამოებით თეიმურაზი კვლავ კოშკის თავზე ადიოდა და იქიდან დიდხანს გასცქეროდა დასავლეთს, სადაც სურამის ქედი გაწოლილიყო“ (ჯავ., გვ. 95); „უკვე ბინდდებოდა, სასაფლაოდან რომ გამოვედი“ (დუმბ., გვ. 122); „როცა ხარაჩოებიდან ძირს ჩამოვედი, ჭრუტა თვალებით მიღიმოდა მოხუცი“ (გამს., გვ. 12). ვფიქრობთ, რომ მოყვანილ წინადადებებში სავარაუდოდ კორელატის აღდგენა ხელოვნურია, თუმცა სტრუქტურულად გვაქვს მთავარი და მასზე დამოკიდებული წინადადებები, ე. ი. ჰიპოტაქსური წყობა. ცხადია, რომ საკორელაციო სიტყვა ყოველთვის არაა მთავარი ნიშანი ქვეწყობილი წინადადებისა. ის ერთ-ერთი გარეგნული დამახასიათებელი ნიშანია ჰიპოტაქსისა და არა აუცილებელი და უმთავრესი. მთავარი სწორედ წინადადების სტრუქტურაა — მასში შემავალი მთავარი და დამოკიდებული წინადადებები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისეთ წინადადებებში, რომლებშიც არაა კორელატი და ვერც აღვადგენთ, მთავარი წინადადება უფრო დამოუკიდებელია აზრობრივად, ვიდრე ის წინადადებები, რომლებშიც არის ან იგულისხმება საკორელაციო სიტყვა (კვაჭაძე 1996: 386). რა თქმა უნდა, კორელატური სიტყვა დამოუკიდებლობის ხარისხს ამყარებს, ის არაა „სრულად დამოუკიდებელი“ სიტყვა, სრულად არ აფიქსირებს აზრს, მიაწინებს, რომ ეს აზრი ფიქსირდება დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითად, წინადადებაში **ვახშამი რომ გაათავეს, მარგო ისევ ურემზე ავიდა და მიწვა** მთავარი წინადადებაა **მარგო ისევ ურემზე ავიდა და მიწვა**. თუ გამოვაცალკევებთ მას დამოკიდებული წინადადებისაგან, ის მაინც ინარჩუნებს დამოუკიდებელ, აზრობრივად სრულ მნიშვნელობას. მთლიანი აზრის გასაგებად ასეთ შემთხვევებში დაქვემდებარებული წინადადება (ვახშამი რომ გაათავეს) დამატებით ნიუანსს, ინფორმაციას გვაწვდის მხოლოდ. ამიტომაც კორელაციური სიტყვის არმქონე მთავარი წინა-

დადება მეტად დამოუკიდებელია შინაარსობრივად, ვიდრე კორელატინი წინადადება. შევადაროთ ასეთ წინადადებებს: „მიზეზი კი მაშინ არის ნატიფი, როცა შენიანის სისხლითაა შეღებილი და არა მოწინააღმდეგისა“ (ქილ., გვ. 163); „სადაც ღარი იყო, იქ მხარდამხარ ჩადგნენ ხელჩაკიდებული მსლებლები“ (გოთ., გვ. 206); „მეც ისევე აღარა მაქვს სიცოცხლის წყურვილი, როგორც დამხვრჩალს წყაროს წყლის წყურვილი“ (ჯავ., გვ. 405); „თავის სიცოცხლეში ისე არ შეჰხარბებია გიორგის სხვისი, როგორც ეს ირმის ჯოგი, ეს ირმის ჯოგი და შორენა“ (გამს., გვ. 83).

მოყვანილი რთული ქვეწყობილი წინადადებების მთავარი წინადადებები დაუსრულებელია აზრობრივად და გაუგებარი დაქვემდებარებული წინადადების ცნობის გარეშე. ამის პირობას სწორედ მთავარ წინადადებაში არსებული საკორელაციო სიტყვები წარმოადგენს, რომლებიც ითხოვს ინფორმაციის ახსნასა თუ დაზუსტებას. მაგალითად, წინადადებაში „მიზეზი კი მაშინ არის ნატიფი, როცა შენიანის სისხლითაა შეღებილი და არა მოწინააღმდეგისა“ მთავარი წინადადების აზრი **მიზეზი კი მაშინ არის ნატიფი** დასრულებულია და გასაგები მხოლოდ დამოკიდებული წინადადებით -- როცა შენიანის სისხლითაა შეღებილი და არა მოწინააღმდეგისა. ან კიდევ -- წინადადებაში „სადაც ღარი იყო, იქ მხარდამხარ ჩადგნენ ხელჩაკიდებული მსლებლები“ მთავარი წინადადება **იქ მხარდამხარ ჩადგნენ ხელჩაკიდებული მსლებლები** მოითხოვს იმის ახსნას, თუ სად ჩადგნენ მსლებლები. მთავარ წინადადებაში არსებული საკორელაციო სიტყვა **იქ** თავისთავად მოითხოვს იმის ახსნას, თუ **სად** მოხდა მოქმედება (**სადაც ღარი იყო**). ცხადია, მსჯელობა ეხება ისეთ ქვეწყობილ წინადადებასაც, სადაც არ არის კორელატი, მაგრამ შესაძლებელია მისი აღდგენა.

მამასადამე, ჰიპოტაქსურ წყობაში ხშირად გვაქვს ორ-ორი სიტყვა, რომელთაგან ერთი მთავარ წინადადებაშია, მეორე კი დამოკიდებულში. ესაა საკორელაციო სიტყვა და დაქვემდებარებული კავშირი, რომლებიც ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს აკავშირებენ ერთმანეთთან:

ისე	--	რომ
ისეთი	--	როგორიც
ისეთი	--	რომ
მაშინ	--	როცა
იქ	--	სადაც
ისევე	--	როგორც
ის	--	ვინც
ის	--	რომელიც
იმისათვის	--	რომ --
იმიტომ	--	რომ
ისე // ისევე	--	როგორც/ვით
ის	--	რაც
იმდენი	--	რამდენიც
მანამდე	--	სანამ
ისე	--	თითქოს
ისეთი	--	თითქოს
იმდენად	--	რამდენადაც
იმდენჯერ	--	რამდენჯერაც
მაშინ	--	თუ

„ერთი **ისე** დაიჭიხვინა, **რომ** ფანჯრის მინები ააწკარუნა“ (ჯავ., გვ. 49); „ახლა კი, კეთილი ინებე და ამიტანე **ისეთი**, **როგორიც** ვარ“ (ფანჯ., გვ. 388); „თავიდანვე **ისეთი** ძალღული ერთგულემა, ხელმარჯვეობა და მუყაითობა გამოიჩინა, **რომ** ქანცმილეული პეტრე მალე ხელში ჩაიგდო და მისი მაგივრობაც დაიმკვიდრა“ (ჯავ., გვ. 15); „ყოველი საგანი **მაშინ** იწყებს წაქცევას, **როცა** წონასწორობას დაჰკარგავს იგი“ (გამს., გვ. 317); „ადამიანი ზოგჯერ **იქ** იპოვის ბედს, **სადაც** არ ეძებს“ (ჯავ., გვ. 55); „სენაკში ყველაფერი **ისევე** იყო, **როგორც** ბერდიდის დროს“ (გოთ., გვ. 58); „ცოდვამ **ის** კაცი, **ვინც** ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ., გვ. 58); „**ვინც** შეგიშინებია, **ის** შეაშინე“ (ფანჯ., გვ. 354); „კედლებს **იმიტომ** არ ანგრევდნენ მასალის წასაღებად, **რომ** ძელის დულაბზე რკინის წერაქვიც კი ჩლუნგდება და ილუნება“ (ჯავ., გვ. 88); „ჭემმარიტად არაფერი **ისე** არ ნუსხავს ადამიანს, **როგორც** დაძაბული სიჩუმე და მოლოდინი“ (გოთ., გვ.

8); „რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ისეთი ბელადისა, რომელიც ყველაზე ადრე გარბის ბრძოლის ველიდან“ (ჯავ., გვ. 117); „ქარისას ის უნდოდა, რაც დაამშვიდებდა“ (ქილ., გვ. 39); „ასეც ცხოვრობდა მანამდე, სანამდე სიბერე და უძლურობა ორმოცსაფეხურიან სარდაფში ჩალალავდა“ (ქილ., გვ. 285); „ისე ჩავუარე ორივეს, თითქოს გუშინ არაფერი არ მომხდარიყო“ (დუმბ., გვ. 95); „ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს აკლდამაში იჯდა და აღდგომას ელოდა“ (გოთ., გვ. 331); „მისი მოსვლა იმდენად მოულოდნელი არ იყო, რამდენადაც გაუგებარი“ (დუმბ., გვ. 17).

ჩვეულებრივ, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში რა შინაარსისაც არის მიმართებითი ზმნიზედა, მას კორელატად ამავე შინაარსის ზმნიზედა შეესატყვისება. მაგალითად, ადგილის გარემოებისას -- ადგილისა, დროის გარემოებისას -- დროისა და ასე შემდეგ... მაგრამ გვხვდება სხვაგვარი შემთხვევებიც. საქმე ეხება განსაკუთრებით რომ კავშირს, რომელიც პოლისემანტიკურია. დამოკიდებული წინადადება, რომელიც ამ კავშირს შეიცავს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი საკავშირებელი სიტყვა აღმოჩნდება მთავარ წინადადებაში, სხვადასხვა ტიპისა შეიძლება იყოს (ერთელიშვილი 1962: 222):

„უკვე ბინდდებოდა, სასაფლაოდან რომ გამოვედი“ (დუმბ., გვ. 122) -- დროის გარემოებითი; „ამას რომ ეკითხებოდა თავს, იქვე დაუძლეველ დაბრკოლებას აწყდებოდა“ (რობ., გვ. 55) -- დროის გარემოებითი; „მამულზე რომ ობოლი დადგება, იმას გამარჯვებაო“ (ლეონ., გვ. 105) -- დროის გარემოებითი; „წელში რომ გაიმართა, ორი ყვითელი ლაქა დაინახა“ (ქილ., გვ. 472) -- დროის გარემოებითი; „ჩემი კნიაზი ისე არ გაღარიბდება, რომ ჯაყოს ვერ დავუხვდებოდე“ (ჯავ., გვ. 11) -- ვითარების გარემოებითი; „თავიდანვე ისეთი ძალღური ერთგულება, ხელმარჯვეობა და მუყაითობა გამოიჩინა, რომ ქანცმილეული პეტრე მალე ხელში ჩაიგდო“ (ჯავ., გვ. 15) -- განსაზღვრებითი დამოკიდებული; „კედლებს იმიტომ არ ანგრევდნენ მასალის წასაღებად, რომ ძელის დულაბზე რკინის წერაქვიც კი ჩლუნგდება და ილუნება“ (ჯავ., გვ. 88) -- მიზეზის გარემოებითი.

დასახელებულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების ტიპზე მიგვანიშნებს საკავშირებელი სიტყვა (იქ,

მაშინ, ისე, ისეთი, იმის გამო...) და არა რომ კავშირი (მისი პოლისემანტიკურობის გამო). ის ამის უნარს მოკლებულია. ხოლო, როცა საკავშირებელ სიტყვასთან მისი ფარდი კავშირია, მაშინ დამოკიდებული წინადადების რომელობას ორივე გამოხატავს – საკორელაციო სიტყვაცა და კავშირიც. როდესაც გამოტოვებულია საკავშირებელი სიტყვა და ის მხოლოდ ივარაუდება, მაშინ სწორედ მისი შესაბამისი მიმართებითი სიტყვა მიუთითებს დამოკიდებული წინადადების ტიპზე: „როცა მუქარა და ხალხის სახელი არ გასჭირდა, [იქ] ახმახი ჯაყო გაბავშვდებოდა, გაკრავდებოდა და აცრემლდებოდა“ (ჯავ., გვ. 48); „თუ გამომაღექი – [მაშინ] შენს ძმასაც ვაპატიებ ყველაფერს“ (გოთ., გვ. 643); „ვინც დამძიმებულია ცოდვების სიმძიმით, [მას] ჯოჯოხეთში ისვრიან ხელუკულმა, საზამთროსავით“ (ლეონ., გვ. 280); „ვისაც ჯერ არ ეძინა, [ის] გრძნობდა, როგორ შერთვოდა გული საგანთა სიმშვიდეს“ (რობ., გვ. 42).

თუ მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვა არის, მაშინ ჩვეულებრივ დამოკიდებულშიც არის ხოლმე მაქვემდებარებელი კავშირი ან წევრ-კავშირი. თუმცა შესაძლოა შეგვხვდეს ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც (კვაჭაძე 1996: 386): მთავარში წარმოდგენილია მისათითებელი ნაცვალსახელი ან ზმნი ზედა, დამოკიდებულ წინადადებაში კი შეიძლება არ მოიპოვებოდეს კავშირი ანუ წევრ-კავშირი. ასეთ შემთხვევებში ჰიპოტაქსური წყობის წინადადების ნაწილთა შეერთების გარეგნული ნიშანი მხოლოდ კორელატია. მაგალითად: „ისეთ სურნელს აფრქვევდა, ვაჟკაცს წააბარბაცებდა“ (ჭილ., გვ. 12); „ისე მოულოდნელად დაადგნენ თავზე, გამოქვაბულიდან გამოხტომაც კი ვეღარ მოასწრეს“ (ჭილ., გვ. 239); „თუ გამომაღექი – შენ ძმას ვაპატიებ ყველაფერს“ (გოთ., გვ. 643). პირველსა და მეორე წინადადებებში გამოტოვებულია რომ კავშირი, მეორეშიც ასევეა, ხოლო მესამე წინადადებაში იგულისხმება მაშინ წევრ-კავშირი.

ჰიპოტაქსურ წინადადებაში საკორელაციო სიტყვები თავისუფლად არ მონაცვლეობენ, მათი შეხამება დამოკიდებულ წინადადებასთან ნებისმიერი არ არის (ერთელიშვილი 1962: 223). მაგალითად, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში კორელატად ვერ გამოვიყენებთ დროის ზმნიზედას, ან მიზეზის გარე

მოებით დამოკიდებულ წინადადებაში -- ადგილის გარემოებას და სხვ.

რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელი წინადადებები სხვადასხვა სტრუქტურის წინადადებით მიიღება:

1. მთავარი წინადადებაცა და დამოკიდებულებაც მარტივი წინადადებითაა წარმოდგენილი (ცხადია, ერთმანეთთან მაქვემდებარებელი კავშირითა თუ სხვა საშუალებებით დაკავშირებული):

„ნატას თვალწინ დაუტრიალდა უმაგალითო ომი, რომელშიც ძმები ერთმანეთს ხოცავდნენ“ (როზ., გვ. 42); „ისე რბილად გამოთქმულიყო ქვაზე, როგორც თავათ ღმერთს არ მოჰგონებია მისი მოცემა“ (გამს., გვ. 282); „ახლა კი დარწმუნდა ღვინჯუა, რომ ქვეყნის შერყეულობა მოხდა“ (ლეონ., გვ. 125); „თინა კი სწორედ იმედის ის ნატამალი იყო, რომელსაც ორივე წყალწაღებულებით მოჰკიდებოდნენ“ (ჟილ., გვ. 400).

2. მთავარი წინადადება წარმოდგენილია მარტივი წინადადებით, ხოლო დამოკიდებული -- შერწყმული წინადადებით (სხვადასხვა სახის ერთგვარი წევრებით):

„არც მან იცოდა სიმღერის ფასი, ვისაც შავთვალემა მალალოსა და მისი ექვსი შვილისათვის ერთხელ მაინც არ მოესმინა“ (ჟილ., გვ. 10); „კედლებს იმიტომ არ ანგრევდნენ მასალის წასაღებად, რომ ძველს დულაბზე რკინის წერაქვიც კი ჩლუნგდება და იღუნება“ (ჯავ., გვ. 88); „არც ეს მოსწონდა: ყველაფერს იოლად აღწევენ და შრომის ფასი არ იციანო“ (ფანჯ., გვ. 242); „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცაღა დარჩენოდა იმედად“ (ჟილ., გვ. 338); „მზეს თუ როდისმე საქართველო გაუთბია და გაუნათებია, იმის დროს ყოფილა“ (ილია, გვ. 161); „რაც გინახავს, გსმენია, მიხვედრილობარ, გონებაში ჩაგრჩენია, ამას სულ ერთიანად რას ეძახი?“ (ილია, გვ. 150).

3. მთავარი წინადადება წარმოდგენილია შერწყმული წინადადებით, ხოლო დამოკიდებული -- მარტივით:

„მინამ ცხენები ჩამოგვივიდოდა, დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა“ (ილია, გვ. 176); „სიტყვასა და ფიცს კი შაჰ-აბასისათვის ისეთივე ფასი ჰქონდა, როგორც აბანოს ქოშებს“ (გოთ., გვ. 86); „თუკი თინა ფარნაოზის

შემოტყუებას შესძლებდა, მაშინ ეს ტამარი მათთვის და მათი შვილებისათვის ყველაზე გამძლე და საიმედო თავშესაფარი უნდა ყოფილიყო“ (ჟილ., გვ. 480); „როცა ეს გაიგო სასახლეშიაო, მისვე ამოიხრბა, მერმე თვალეზი მოიფშვნიტა და სთქვა“ (გამს., გვ. 122); „საცა სიყვარული არ არის, იქ არც მეგობრობაა, არც ოჯახი, არც საზოგადოება და არც სახელმწიფო (ჯავ., გვ. 96); „ამ ქვეყანამ და თეიმურაზ ხევისთავმა თანდათან ისე შეიძულეს და შეიზიზღეს ერთმანეთი, როგორც კერპმა მამამ მოიძულა უძლები შვილი“ (ჯავ., გვ. 37).

4. მთავარი წინადადებაცა და დამოკიდებული წინადადებაც შერწყმული წინადადებითაა გადმოცემული:

„საცა მუქარა და ხალხის სახელი არ გასჭრიდა, იქ ახმაზი ჯაყო გაზავშედებოდა, გაკრავდებოდა და აგრემლდებოდა“ (ჯავ., გვ. 48); „სადაც ძალასა და წინააღმდეგობას გრძნობდა, განს უვლიდა, ჩქარობდა“ (გოთ., გვ. 80); „ისევ ავხედე და ახლა დავინახე: თვალეზში შიში ჩასდგომოდა და ტუჩებიც წნორის ფოთოლივით უთრთოდა“ (ჯავ., გვ. 480); „ამიტომაც ისიც ისე მშვიდად და არხეინად შედიოდა ხანში, როგორც თეიმურაზი მარგოს საწოლში: სიყვარულის იალქნების ურხევლად, ფრთამოტეხილი ბატივით, უგემური ზღაზვნით და ნელთბილი ცოხნით“ (ჯავ., გვ. 34).

5. მთავარი წინადადება შერწყმული წინადადებითაა გადმოცემული, დამოკიდებული – რთული თანწყობილი წინადადებით:

„კვლავ გადახედა სამთავროს მოედანს და ხედავს: სამი მხედარი მოჰქრის, სამს სამი მოჰყავს, მერმე მთელი რაზმეული გამოჩნდა“ (გამს., გვ. 27); „როდესაც ისევ ინათა და ამზის მომტანი არავინ გამოჩნდა, მაშინვე გატენა თოფი, ცხენის ნალები გასინჯა და მოსართავებს გაწყეტამდე მოუჭირა“ (იოს., გვ. 88); „დათო მიხვდა და იფიქრა, რომ მოწინააღმდეგე ცაცია იყო და ყურადღება მარცხენა ხელზე გადაიტანა“ (ფანჯ., გვ. 566).

6. მთავარი წინადადება რთული თანწყობილი წინადადებითაა გადმოცემული, დამოკიდებული – შერწყმული წინადადებით:

„დაიწყო ციცაბოები და ისე საშინლად დაალო პირი უფსკრულეზმა, ქანცგაწყვეტილები წინ ძლივს მილასლასებდნენ,

მიზლაზნებოდნენ“ (იოს., გვ. 21); „კითხვა დავიწყე და მან ისეთ-ნაირად აცქიბა ყური, ყველა შეატყობდა სიამოვნებას და ყურადღებას“ (დუმბ., გვ. 38).

7. მთავარი წინადადება მარტივი წინადადებითაა გადმოცემული, ხოლო დამოკიდებული -- რთული თანწყობილი წინადადებით, ან პირიქით: მთავარი წინადადება გადმოცემულია რთული თანწყობილი წინადადებით, ხოლო დამოკიდებული -- მარტივი წინადადებით:

„უბედურება ის არის, რომ ზედმა ჩვენს ბუნებას არ დააცალა და სხვა ქურქი ჩაგაცვა“ (ჯავ., გვ. 114); „როგორც კი გაუსწორდებოდნენ ოჩანის ციხეს, ზეგანზე ამოვიდოდა ჯარი, სხვები კი აღმართებს შეჰყვებოდნენ ფიცხლავ“ (გამს., გვ. 75); „როგორც შეეფერებოდა ნასწავლ თავადიშვილს, თეიმურაზს მუდმივი ბინა ტფილისში ჰქონდა, ხოლო ნაშინდარი მეწველ ფურად და აგარაკად იყო გადაქცეული“ (ჯავ., გვ. 17); „ვისაც ჩემი დანახვა არ სიამოვნებს, თავი ქვას უხლია, ერთ დღეს გაწყვეტილხართ ყველანი“ (ქილ., გვ. 497); „უხერხული დუმილი რომ დაერღვია, ერთმა ჯგუფმა სიმღერა წამოიწყო, მაგრამ უგუნებობა სიმღერაშიც შეიმჩნეოდა“ (რობ., გვ. 30); „მე მინახავს, რომ იმათში ზვერი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დედაკაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდათ“ (ილია, გვ. 129).

როგორც აღინიშნა, ჰიპოტაქსური კონსტრუქცია პოლიპრედიკატული ერთეულია. მასში რამდენი პრედიკატიცაა, იმდენივე კომპონენტიცაა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა ჰიპოტაქსს აკლია პრედიკატი. ასეთ ქვეწყობას პირობითად შევეცდით უწოდებენ (კვანტალიანი 1990: 7). კვეცისას გაუჩინარდება ხან ერთ-ერთი კომპონენტის მხოლოდ პრედიკატი, ხან მთელი კომპონენტი, ან კიდევ ჰიპოტაქსის ნაწილები ისე შეერწყმიან ერთმანეთს, რომ შედეგად მივიღებთ ნაჰიპოტაქსარ გამარტივებულ კონსტრუქციას. ამის საფუძველი ეკონომიის პრინციპია. ენა ცდილობს, სადაც შესაძლებელია, აირიდოს განმეორება, დაამოკლოს ნაწილები და ისე შეამკიდროოს ისინი, რომ გაგებინება არ დაზარალდეს.

განიხილავენ კვეცის ძირითად შემთხვევებს: 1. რამდენიმე კომპონენტთან წინადადებაში იკვეცება როგორც მთავარი კომპო-

ნენტი, ისე დამოკიდებულები. კვეცისას მთავარი კომპონენტი ან სულ იკარგება, ან პრედიკატს კარგავს: „კესომ ეს უეცარი კითხვა იწყინა თუ რა, დიდხანს პასუხი არ გასცა“; 2. ორ თანადამოკიდებულ კომპონენტს შორის შეიძლება დაიკარგოს მთავარი კომპონენტი, თუ პირველ დამოკიდებულში იგივე ან სინონიმური მნიშვნელობის ზმნაა წარმოდგენილი, ან კიდევ – პირველი ზმნის მიხედვით ადვილად აღსადგენია მთავარში ნავარაუდები პრედიკატი: „თუ ვინმემ იცის იმათი ამბავი, თევდორაანთ მეღანომ უნდა იცოდესო“; 3. მთავარ წინადადებაში პრედიკატი აღარ არის და მხოლოდ ის სიტყვებია დარჩენილი, რომლებიც გამოტოვებული ზმნის წინ ივარუდება, ე. ი. აქტუალიზებულია. ამგვარი უპრედიკატო მთავარი ნაწილი ადვილად ერწყმის წინამავალ დამოკიდებულს: „თუ ვინმე გაძლებს მაგათთან, – ისევ იმგვარივე ხასიათის ქალი, თორემ მეოჯახე, მშვიდობიანი, ღვთისნიერი ქმნილება უკიდურესად გაწვალებულია და წამებული“; 4. იკვეცება პირობითი დამოკიდებული, რომელშიც ნაგულისხმევია „ყოფნა“ ზმნა, რის შედეგადაც ვიღებთ ასეთ კონსტრუქციებს: **მე რომ არა, შენ რომ არა, ის რომ არა** (კვანტალიანი 1990: 7-23).

შეკვეცილ რთულ წინადადებათა პარალელურად საშუალო ქართულში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა აგებულების მიხედვით წინადადება ზედმეტად დატვირთულია, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ დატვირთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინადადებები სინტაქსური თვალსაზრისით ხელოვნურადაა გადატვირთული, საჭიროების გარეშე: „მისის გამოისობით ხალხით მოგნახეთ, მოგიყვანეთ, დაგსვით ტახტზე, თვარა, თუ ის არ გვგონებოდი, მართალს თქმა უნდა, ჩვენის ნების უღირს ტყვეს არ გავაბატო ნებდით, მაგრამ თურმე ღმერთს სახელმწიფოდ ნდომიხარ და ყოველთვის განსაცდელით გამოუცდიხარო, შენში გმობა და ზაკვა ვერა უპოვნია რა და შენნი საყვარელნიც შენვე მოგისხა კარსაო და აზომი დიდება და ხელმწიფობა მის განსაცდელთა მოთმენისა ბუჯაფად მოგვცაო“ (რუსუდ.). ასეთი ტიპის წინადადებები შეიძლება დაიყოს რამდენიმე რთულ თანწყობილ, ქვეწყობილ ან შერწყმულ წინადადებად. ვფიქრობთ, ენის განვიითარების უფრო შემდგომ საფეხურზე მოხდა სამწერლობო ენაში

სინტაქსური თვალსაზრისით რთულ და მრავალფეროვან მოვლენათა სინთეზი. ამიტომაც ენა საჭიროებისამებრ უპირატესობას ანიჭებს ეკონომიის გზას და შემდეგ ეტაპზე ქართულში უკვე რთულ წინადადებათა სინტაქსური წყობა გამარტივებული და დახვეწილი გვაქვს (ბურჭულაძე 2006: 26-27).

თანამედროვე ქართული პროზის ენაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ძირითად აზრობრივ ერთეულს (მეტ-ნაკლებად „დასრულებულ აზრს“) ტექსტის გარკვეული ფრაგმენტი წარმოადგენს და არა მისი შემადგენელი ნაწილი – წინადადება. აზრობრივი მიმართებები წინადადებათა შორის ხშირად მაკავშირებელი სიტყვებით არ გამოიხატება (კვარაცხელია 2007: 47).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ჰიპოტაქსურ წინადადებაში არის წინადადებათა შემადგენლობაში მყოფ შემასმენელთა მწკრივისა და დროის მიმართების საკითხი. რთული წინადადების ნაწილებს შორის გარკვეული მიმართების დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს ზმნის დროისა და კილოს (მწკრივის) ფორმების შერჩევას. ხშირად ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია გამოყენებული. მიჩნეულია, რომ რთული წინადადების მეორე ნაწილში მწკრივის ფორმათა გამოყენებას განსაზღვრავს პირველ ნაწილში ნახმარი ზმნის ფორმა. ე. ი., რთული წინადადების ნაწილებში მწკრივის ფორმათა გამოყენება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება (კვაჭაძე 1996: 319).

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა სპეციალურმა ანალიზმა მწკრივთა შესაძლებელ კომბინაციათა თვალსაზრისით დაადასტურა, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა დროისა და მწკრივის არჩევანი ნებისმიერი, თავისუფალი არ არის. ყველაზე ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი იმავე მწკრივშია, რომელშიც დამოკიდებული წინადადებისა. რთული ქვეწყობილი წინადადების ასეთ ტიპში მოვლენების ერთდროულობა, ერთჟამიერობაა გამოხატული ორ წინადადებას შორის: რა დროცაა გამოხატული მთავარ წინადადებაში, დამოკიდებულშიც მოქმედება იმავე დროისა და მწკრივის ფორმითაა გამოხატული. ასევე ხშირია ისეთი ჰიპოტაქსური წყობის წინადადებები, რომლებშიც სხვადასხვა დროითა და მწკრივითაა გამოხატული მოქმედება მთავარსა და დამო

კიდებულ წინადადებებში, ე. ი., გვაქვს: 1. მოვლენების ერთდროულობა; 2. მოვლენების არაერთდროულობა. შესაბამისად, ასეთი შემთხვევები მაშინ გვაქვს, როცა მთავარ წინადადებაში მოქმედება გამოხატულია ერთი გარკვეული დროის და, შესაბამისად, მწკრივის ფორმით, მაგრამ დამოკიდებულში სხვა მწკრივის ფორმით წარმოდგენილი შემასმენელი გვხვდება. ამ თვალსაზრისით ორივე ტიპის წინადადებაში გრამატიკული მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, სტრუქტურა მთავარი წინადადებით იწყება თუ დამოკიდებულთ.

რაკი დაქვემდებარებული წინადადებით მთავარში გამოხატული აზრი ზუსტდება, ივრცობა, ამიტომ შესაძლებელია, რომ მოქმედება განვითარდეს სხვა დროითა და მწკრივით, ისე, როგორც ამას მოითხოვს აზრი, სათქმელი.

მოვიყვანოთ შესაბამის მაგალითებს:

1. მოვლენათა ერთდროულობა

აწმყო – აწმყო

(მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა შემასმენლები აწმყოს მწკრივით არიან წარმოდგენილნი)

ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა (ლეონ., გვ. 210); შენ თუ შვილი გყავს, იმიტომაც დაბტუნაობ ასკინკილით გარე გარე (ჭილ., გვ. 461); რაღა ის რევილუცია, რომელიც ასე ძნელი გასაგებია? (რობ., გვ. 32); სადაც სარწმუნოება არ არის, იქ ხომ არც სიყვარულია (ჯავ., გვ. 98); ადამიანს სძულს ყოველივე, რაც არ ეხერხება და არ ძალუმს (ჯავ., გვ. 115); ვინც თავისი ერისა და მატთანის გარეშე მცონარად ცხოვრობს, იგი ყველაფრის ღირსია (გოთ., გვ. 384); თქვენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ იმას, რომ ანტისაბჭოთა აზრებს არ გამოთქვამთ (რობ., გვ. 113); ქალი კი მხოლოდ მაშინ არის სანდო, როცა უყვარხარ (ჭილ., გვ. 112); ქალს მხოლოდ ასე შეუძლია თავის დაცვა, როცა სხვა არავინა ჰყავს ქომაგიო (ჭილ., გვ. 234); ვისაც ხალხი არ ჰყავს, იმას არც ღმერთი გააჩნია (რობ., გვ. 60); რა მშვენიერია იმის დანახვა, როგორ ბრუნდება მერცხალი თავის ძველ

ბუდეში (რობ., გვ. 20); მეც ვიცი, ვინც **ზრმანდებით** (აკაკი, გვ. 312); რათ **მინდა** შენი გარეგანი თვალსატყუარი დიდკაცობა მშინ, როდესაც დამალული გრძნობა-გონება **იჩაგრება** და სულს **აჩიავებს?** (აკაკი, გვ. 325); მასწავლებელი რომ კარგად **გისხნით**, ეს ცხადად **სჩანს** (აკაკი, გვ. 414).

უწყვეტილი · უწყვეტილი

(მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენ-ლები უწყვეტლის მწკრივით არიან წარმოდგენილნი)

რაც უფრო **იზიზღებდა** აიეტს, მით უფრო **ეშინოდა** მისი (ჭილ., გვ. 198); **ხედავდა** ოსტატი, ისეთივე უხეში ხაზები **გამოჰყავდა** მის ხელში საჭრეთელს, როგორც „მეჯადაგე ოსტატებს“ **სჩვევოდა** ეს (გამს., გვ. 280); მამის მონაყოლი სრულებითაც არ **ჰგავდა** იმ ზღაპრებს, სამი ქალი მორიგეობით რომ **უყვებოდა** (ჭილ., გვ. 492); ვინც ასეთთა რიცხვს არ **ეკუთვნოდა**, ამ წუთს ძალიან **ხარობდა** (რობ., გვ. 79); საღამოობით თეიმურაზი კვლავ კოშკის თავზე **ადიოდა** და იქიდან დიდხანს **გასცქეროდა** დასავლეთს... (ჯავ., გვ. 95); ვინც კი ცუდი სიმთვრალე **იგოდა**, მისთვის სამუდამოდ **იკეტებოდა** შავთვალემა მალალოს სახლი (ჭილ., გვ. 11); ამას რომ **ეკითხებოდა** თავს, იქვე დაუძლეველ დაბრკოლებას **აწყდებოდა** (რობ., გვ. 55); მაგრამ მართლა ქათმები **იყვნენ** ისინი, ვისაც სასახლე ქათმებად **თვლიდა?** (ჭილ., გვ. 524).

წყვეტილი · წყვეტილი

(მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენ-ლები წყვეტილის მწკრივით არიან წარმოდგენილნი)

ვისაც თვალი **დაადგა**, ყველანი **მოიწონა** (ჯავ., გვ. 24); ისეთი სიჩუმე **ჩამოვარდა** ეზოში, რომ ბელურებიც კი **შეკრთნენ** (დუმბ., გვ. 11); მერე იქ **მივიდა**, სადაც ახალამოღებული ზესადგარები **ელაგა** (ფანჯ., გვ. 305); სწორედ ის სასახლე **იყო**, სადაც შარშან დღეისწორს სრულიად საქართველოს „დიდ გარიგებას“ **ჩაეყარა** საფუძველი (გოთ., გვ. 484); ქალიშვილმა ისე **ჩაუარა**, თითქოს ქუჩაში კაცის ნაცვლად ხე **იდგა** (დუმბ., გვ. 62); მაგრამ ბედნიე-

რება მაშინ გათავდა, როცა მონადირის მიერ პატარძლის წინ მგელხარ აძუნძულდა მწყემსურად (ლეონ., გვ. 116); თავიდანვე ისეთი ძალღური ერთგულება, ხელმარჯვება და მუყაითობა გამოიჩინა, რომ ქანცმილეული პეტრე მალე ხელში ჩაიგდო და მისი მაგივრობაც დაიმკვიდრა (ჯავ., გვ. 15); იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც ვერ იქნა, ვერ ჩამოიგლიოჯა (ჯავ., გვ. 37); როცა დრო მოვიდა, მთებიდან მოულოდნელად კბილება-მდე იარაღში ჩამსხდარი ხუთი ჯივაშვილი ჩამოვარდა (ჯავ., გვ. 148); ერთი ისე დაიჭიხვინა, რომ ფანჯრის მინები ააწკარუნა (ჯავ., გვ. 49); როცა ეს გაიგო სასახლეშიაო, მყისვე ამოიოხრა, მერმე თვალები მოიფშვნიტა და სთქვა (გამს., გვ. 22); როცა ჩემი გადაწყვეტილება შინ განვაცხადე, დედაჩემმა ერთი ისეთი იკივლა, მეზობლები შეყარა (ფანჯ., გვ. 209); ახლა კი დარწმუნდა ღვინჯუა, რომ ქვეყნის შერყეულობა მოხდა (ლეონ., გვ. 125); ბათულას სიკვდილმა ისე იმოქმედა, რომ თავის უკანასკნელ ცხვარზე აიღო ხელი (ლეონ., გვ. 176).

ხოლმეობითი -- ხოლმეობითი

(მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენ-ლები ხოლმეობითის მწკრივით არიან წარმოდგენილნი)

თუ ლაპარაკში მამაკაცი შეესწრებოდათ, მყისვე ჩაჩუმდებოდნენ (ლეონ., გვ. 269); მარგოს რომ თვალს მოჰკრავდა, თოვლივით დადნებოდა, თეფშვივით გაიბადრებოდა და ფეხქვეშ გაეშლებოდა (ჯავ., გვ. 256); კედელს რომ ამოიყვანდა, უცერივ ზემოდან ჩამოსძახებდა (ლეონ., გვ. 98); როცა დაჰპატიებდნენ, ჯერ თავაზიან მადლობას ეტყოდა, მერე დაატანდა (ლეონ., გვ. 241); თუ ვინმე გაჰხედავდა და თეიმურაზს კამათს აუტეხავდა, ის ქალადის ჩრჩილი მოპირდაპირეს უმაღლ ავტორებისა და ციტატების სეტყვით გააბრუებდა (ჯავ., გვ. 20); საცა მუქარა და ხალხის სახელი არ გასჭრიდა, იქ ახმახი ჯაყო გაბავშვდებოდა, გაკრავდებოდა და აცრემლდებოდა (ჯავ., გვ. 48); ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ამას ლიტერატურულ განყოფილებაშიც შეიგნებდნენ (რობ., გვ. 13); თუ ვინმე შემთხვევით აწყენინებდა, იტყოდა

(ლეონ., გვ. 56); კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსმახებდა (ლეონ., გვ. 98).

მყოფადი – მყოფადი

(მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენლები მყოფადის მწკრივით არიან წარმოდგენილნი)

ხვალ დილას აჰყევი იმ ხარაჩოებს და ისეთ რამეს გიჩვენებ, რაც შთაგონებით ადგავსებს უთუოდ (გამს., გვ. 11); თუ სულ არ ეჩინები, თავისთავად არას მოიფიქრებენ (აკაკი, გვ. 303); თუ ვერ გავიმარჯვებთ, სახელოვნად მაინც დავიხოცებით (აკაკი, გვ. 311); წყალში ჩასვლას რომ დააპირებს, გველი მწვანე შხამს იქვე წამოანთხევს (აკაკი, გვ. 372).

II კავშირებითი -- II კავშირებითი

(მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენლები II კავშირებითის მწკრივით არიან წარმოდგენილნი)

ვინც ხმალში ჭკრიტოს ბედნიერი გამარჯვება, იმანვე შეირგოს და ალალი იყოს (გოთ., გვ. 206); როგორც დედამიწას მზის სხივი არ მოუშალოს, ისე შენი სახელი არ მოგვიშალოს ღმერთმა (ლეონ., გვ. 91); თუ რამეს მიაგნოს, იმავე წუთში მაცნობოს (ფანჯ., გვ. 307).

I თურმეობითი -- I თურმეობითი

(მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენლები I თურმეობითის მწკრივით არიან წარმოდგენილნი)

მრავალი ქორწილი ჩაშლილა მხოლოდ მისთვის, რომ მღვდელს სასიძო ან საპატარძლო არ მოსწონებია (ლეონ., გვ. 215); ვინც თავის მიწა წყალს არ მოჰშორებია, ეგ იმას ვერ უცვნია (ილია, გვ. 178); გარეჯელ მკითხავს ეთქო, რომ არც რქა მოსტებია და არც არაფერიო (ილია, გვ. 65); კარგი გიქნიათ, რომ მკითხავისთვის დაგიჯერებიათ და თელეთში სალოცავად წასულხართ (ილია, გვ. 117).

II თურმეობითი -- II თურმეობითი
(მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემას-
მენლები II თურმეობითის მწკრივით არიან წარმოდგენილნი)

იქავ რომ მცოდნოდა თვალმაქცობას ითამაშებდნენ, იქნებ
არც წამოვსულიყავ (ილია, გვ. 229).

II. მოვლენათა არაერთდროულობა

აწმყო -- მყოფადი

(მთავარი -- აწმყო, დამოკიდებული -- მყოფადი -- მთავარი
მყოფადი, დამოკიდებული -- აწმყო)

აბა ის რა კაცია, ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს (ლე-
ონ., გვ. 243); იქ იხილავ ჯიქთახანუმსაც, რომელსაც ისევე უყვარს
თავის მშობელი, ვით შენ შენი სამშობლო (ჭილი., გვ. 206); ადამი-
ანი ზოგჯერ იქ იპოვის ბედს, სადაც არ ეძებს (ჯავ., გვ. 55); მე მი-
ყვარს ქართული სუფრა, სადაც მგოსანი შეზარხოშებულ ანგე-
ლოზად გადაიქცევა და გულში წინასწარმეტყველთა ღველფს გა-
იღვივებს (ჯავ., გვ. 411); რადგან ეგეთი თვინიერი და დამკერი
ხარ, ყურის აწევით დავკმაყოფილდები (დუმბ., გვ. 44); ცოდვაა
ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან
(დუმბ., გვ. 58); თუ მოვინდომებთ, ეს არც ისე ძნელი საქმეა
(ფანჯ., გვ. 323); ვერასოდეს ვერ დავიფიწყებ რაჟდენას შემოხედ-
ვას, ისევე, როგორც დღემდე არ მასვენებს გნოლა ხარის თვალის
ღრუბელი (ლეონ., გვ. 49); ხალხს ჰგონია, ისევ გამოვლენ სამარი-
დან, თოფსა და ხმალს კიდევ იხმარებენ (ლეონ., გვ. 83); ვინც და-
მძიმებულა ცოდვების სიმძიმით, ჯოჯოხეთში ისვრიან ხელუ-
კულმა, საზამთროსავით (ლეონ., გვ. 280); იგი არასოდეს იბარებს,
როდის მოვა (დუმბ., გვ. 66); რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც
სხვას უზამო (აკაკი, გვ. 413); ზოგან, სადაც ცული ვერ გამოდგება,
იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე (აკაკი, გვ. 322); ვინც
გვერდით ამომიდგება, გინდ მტერი იყოს, გინდ მოყვარე, ჩემია
ნად მიმაჩნია (აკაკი, გვ. 448).

აწმყო · უწყვეტელი

(მთავარი - აწმყო, დამოკიდებული - უწყვეტელი - მთავარი - უწყვეტელი, დამოკიდებული - აწმყო)

კედლებს იმიტომ არ ანგრევდნენ მასალის წასაღებად, რომ ძველს დულაბზე რკინის წერაქვიც კი ჩლუნგდება და იღუნება (ჯავ., გვ. 88); იქ ქრისტიანობა ისე არ ჰხარობდა, როგორც ვაშლზე დამყნული მუხა არ ჰხარობს (ჯავ., გვ. 97); მე ისა ვარ, წიგნებს რომ გიკითხავდით (ლეონ., გვ. 9); მე იმიტომ ვსვამ, რომ წუხელ პაპაჩემი მეხვეწებოდა სიზმარში (ლეონ., გვ. 113); მეტყველება ამბობდა: სალის კლდეებით არის დამაგრებული საქართველო (ლეონ., გვ. 87); ბუხრის საკვამურის ბოლზე ყნოსვით ვიგებ, ვის სახლში დღეს რა კერძი და შეჭამადი იხარშებოდაო (ლეონ., გვ. 97); ვინ იცის, რას ფიქრობდა (ლეონ., გვ. 278).

აწმყო · წყვეტილი

(მთავარი - აწმყო, დამოკიდებული - წყვეტილი - მთავარი წყვეტილი, დამოკიდებული - აწმყო)

ისეთი რა საქმე გაქვს, რომ ორიოდე კვირაც ვედარ მოიცადე შენს მამულში? (ჯავ., გვ. 29); კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა (ლეონ., გვ. 32); ვინ უთხრა, დღესაც არ ვიცი (ლეონ., გვ. 14); ეს გველმა პირველ ადამიანებს დაუშალა, რადგან თვითონ არის სიკვდილის მატარებელი (რობ., გვ. 18); მივედი და რაც მე ვნახე, იმის სრულად გადმოცემა შეუძლებელია (დუმბ., გვ. 120); მძიმე დროება იყო, მაგრამ ქართულ მიწას არასოდეს ტოვებს წყალობა (რობ., გვ. 127); ვილაც ოხერმა და ცოდვილმა ამბავი მოუტანა რებეკას: შენი ქმარი სვანეთისუბნელ ანგელინას ყვარობსო (დუმბ., გვ. 32); მართლა, სად იყო ამდენი ხე ტყე, რაც ამ წყალს მოაქვს? (აკაკი, გვ. 394); მერე როგორ გაბედე, რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდად იხსენიებ? (აკაკი, გვ. 322).

აწმყო · I თურმეობითი

(მთავარი - აწმყო, დამოკიდებული - I თურმეობითი - მთავარი - I თურმეობითი, დამოკიდებული - აწმყო)

ვისაც ჩემი დანახვა არ სიამოვნებს, თავში ქვა უხლია, ერთ დღეს გაწყვეტილხართ ყველანიო (უხლია და გაწყვეტილხართ I თურმეობითის ფორმებია, თუმცა სემანტიკა მომავლისა (მყოფადისა) აქვთ – იხალონ (II კავშ.) და გაწყდით (ბრძანებითი ფორმა წყვეტილისა) (ჭილ., გვ. 487); ვისაც სიყრმეში არ გაუხარნია, ვისაც ბავშვობაში სიჭაბუკე წამოსწევია, ხოლო სიჭაბუკეში შუაკაცობის ტვირთი, მას მარადყამს თან დაჰყვება გაცდენილი სიყრმისა და სიჭაბუკის დარდი (გამს., გვ. 96); ქვეყანაზე არ დაბადებულა ჯერ ისეთი ქალი, რომელიც იყოს ისეთი კაპრიზიანი, როგორიც არის ავტომობილის მანქანა (რობ., გვ. 29); ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია (აკაკი, გვ. 321); რაც ბუნებასა და საუკუნეებს არ შეუბორცებია, მისი შეწებება ტყუილია (აკაკი, გვ. 325); სადაც ამდენი უმანკო სული ამოგიწყვეტიათ, მე რაღა დასატოვებელი ვარ? (აკაკი, გვ. 344); დღეს, რომ არ დამიმსახურებია, მისთანა პატივისცემაში და სიყვარულში ვარ საქართველოში (აკაკი, გვ. 448); შენის თვალით გინახავს ეგ ყველა, რასაც ამბობ? (აკაკი, გვ. 446); მისი შიშით, რომ ნამდვილ მარგალიტზე თაღლითი მეტია, ნამდვილი მარგალიტი ვის დაუგმია? (აკაკი, გვ. 438); რაც აქ არის მოყვანილი ამ წიგნში, მის მეტი პუშკინს არა დაუწერია რაო? (აკაკი, გვ. 421).

აწმყო – II კავშირებითი

(მთავარი – აწმყო, დამოკიდებული II კავშირებითი – მთავარი – II კავშირებითი, დამოკიდებული – აწმყო)

იქ, სადაც ლომის ტოტი ველარა სთესავს, მელიის კუდმა უნდა მოიმკოსო (აკაკი, გვ. 322); ეს ღმერთმა ადღეგრძელოს მომავალი ხევისთავი და ყაფლანიშვილი, რადგან ორივე გვარი ამ თაობაში სწყდება (ჯავ., გვ. 27).

აწმყოს კავშირებითი – მყოფადი

(მთავარი – მყოფადი, დამოკიდებული – აწმ. კავშირებითი)

ქვეყნიური გონება ცამდისაც რომ უწევდეს, მაინც ვერ მისწვდება ღვთის განგებას (აკაკი, გვ. 312).

წყვეტილი - უწყვეტელი

(მთავარი - წყვეტილი, დამოკიდებული -- უწყვეტელი - მთავარი - უწყვეტელი, დამოკიდებული - წყვეტილი)

როცა ხარაჩოებიდან ძირს ჩამოვედი, ჭრუტა თვალებით მიღიმოდა მოხუცი (გამს., გვ. 12); ჯერ ისე მხრებგაშლილი წავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოსებს ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატნი (გამს., გვ. 350); ნატას თვალწინ დაუტრიალდა უმაგალითო ომი, რომელშიც ძმები ერთმანეთს ხოცავდნენ (რობ., გვ. 39); ჩამოჯდა და თვალი მოავლო ბინდიანს, ტენიანსა და ობიან ოთახს, რომელიც თავის მდგმურებივით სევდიანად, ქუშიანად და ნაღვლიანად გამოიყურებოდა (ჯავ., გვ. 14); უკვე ბინდდებოდა, სასაფლაოდან რომ გამოვედი (დუმბ., გვ. 22); რადგან კონსტანტინე უწინდებურად აღარ ერიდებოდა ხალხს, აქაც დიდი ღრეობა მოუწყვეს თავადებმა (გოთ., გვ. 173); ალექსანდრე უმაღლესი მიხვდა, საით დრეკავდა სიტყვას გიორგი (გოთ., გვ. 121); სახე ისე გვექონდა ნიგვზის ნაკის შხეფებისაგან ჩაშავებული და დაჭორფლილი, ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით (გვერდით ფორმით უწყვეტელია, წყვეტილი არა აქვს, თუმცა შინაარსობრივად აქ წყვეტილს უდრის!) (დუმბ., გვ. 15); ვისაც რა ეხერხებოდა და ან რა ემარჯვებოდა -- იმას მიმართა (აკაკი, გვ. 301).

წყვეტილი -- მყოფადი

(მთავარი -- წყვეტილი, დამოკიდებული -- მყოფადი - მთავარი - მყოფადი, დამოკიდებული -- წყვეტილი)

თუ ჯერ ჯერობით ბევრი არაფერი გამოვიდა, ხვალ და ზეგ გამოვა (ჯავ., გვ. 118); ტალახს ვეღარ ჩამოვირეცხავ, რადგან სხვამ ჩამოწმინდა (ჯავ., გვ. 427); მე პროფესორ გორდელაძეზე ისეთი თვისებებით ვიყავი ძლიერი, რომელსაც იგი ვერასოდეს ვერ შეიმენს (ვიყავი ფორმით უწყვეტელია, თუმცა ასრულებს წყვეტილის ფუნქციასაც!) (ფანჯ., გვ. 359); თუ ფილმის ეფექტურად დადგმა მოხერხდა, მიზანი მიღწეული იქნება (რობ., გვ. 9).

წყვეტილი -- II თურმეობითი

(მთავარი -- წყვეტილი, დამოკიდებული -- II თურმეობითი
-- მთავარი -- II თურმეობითი -- დამოკიდებული -- წყვეტილი)

რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურმგნილის ჯაგრით ჰქონდა (უწყვეტელი წყვეტილის მნიშვნელობით) მოსილი, თითქოს ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულყო (ჯავ., გვ. 10); ყველანი თანახმანი იყვნენ, ოღონდ რამე შეცვლილიყო, თუნდაც უარესობისაკენ (ჭილ., გვ. 28); იმდენ ადგილას გადამსკდარიყო ხორცი, შეხვევას აზრი არ ჰქონდა (უწყვეტელი წყვეტილის ფუნქციით) (ჭილ., გვ. 174); სხვა გზა არ იყო, კიდევ ერთხელ უნდა შეჰგუებოდა ბედს (ჭილ., გვ. 203); არც ის იცოდა (უწყვეტელი წყვეტილის ფუნქციით), რა უნდა გაეკეთებია (აკაკი, გვ. 310).

წყვეტილი -- II კავშირებითი

(მთავარი -- II კავშირებითი, დამოკიდებული -- წყვეტილი)

რომ არ დამპატიეხ, მაინც დავლიო? (ლეონ., გვ. 112); ვინც პირველი მიხვდა ამას, უთუოდ უნდა მოიკლას თავი (რობ., გვ. 64).

წყვეტილი - III კავშირებითი

(მთავარი III კავშირებითი, დამოკიდებული - წყვეტილი)

ისე ჩავუარე ორივეს, თითქოს გუმინ არაფერი მომხდარიყოს (დუმბ., გვ. 95).

უწყვეტელი -- მყოფადი

(მთავარი - უწყვეტელი, დამოკიდებული - მყოფადი მთავარი - მყოფადი, დამოკიდებული -- უწყვეტელი)

ცხენი ისე მიაქროლებდა ქალს, როგორც ირემი გადაიწყობს რქებს სირბილისას (რობ., გვ. 20); ბავშვი ისე არ გაეტირება თავის

დედას, როგორც ჩორეხი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას (ლეონ., გვ. 203).

უწყვეტელი -- ხოლმეობითი

(მთავარი -- უწყვეტელი, დამოკიდებული -- ხოლმეობითი -- მთავარი -- ხოლმეობითი, დამოკიდებული - უწყვეტელი)

მეორე დღესვე ხელმეორედ აყვირდებოდა, რადგან გულ-უხვი თეიმურაზი დადებულ პირობას ვერ ასრულებდა (ჯავ. გვ. 17); ისეთ სურნელს აფრქვევდა, ვაკვაცს წაახარბაცებდა (ჭილ., გვ. 12); ექვიც არ ეპარებოდა, ახალი მეფე ძველ ადგილს შეინარჩუნებდა (ჭილ., გვ. 200); რაღაც განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდა, ახალი ინჟინერი ცვლაში როდის გავიდოდა (ფანჯ., გვ. 243).

უწყვეტელი - I თურმეობითი

(მთავარი -- უწყვეტელი, დამოკიდებული -- I თურმეობითი -- მთავარი -- I თურმეობითი, დამოკიდებული - უწყვეტელი)

მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამ-ლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე (გამს., გვ. 278); ეტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია (ილია, გვ. 136).

უწყვეტელი -- II თურმეობითი

(მთავარი -- უწყვეტელი, დამოკიდებული -- II თურმეობითი -- მთავარი II თურმეობითი, დამოკიდებული -- უწყვეტელი)

ამას ამბობდა იგი, ვისაც ასეთი ფაქიზი გული დაჰყოლოდა (გამს., გვ. 278); თუ ბედისწერა ისევ არ აპამპულეზდა, მაშინ მაინ-დამაინც რაღა ამ მღვიმეში უნდა შეეფარებინა თავი შავთვალემა მალალოს თხას? (ჭილ., გვ. 475); მასპინძლები ცდილობდნენ, როგორმე გაეხალისებინათ განწყობა (რობ., გვ. 31); ის მხოლოდ ისე, როგორც მოურავის რიგი და წესი მოითხოვდა, ისე იჩარჩებოდა, რომ მისი კიჟინა გაეგონათ და ერთგულებაში ჩამოერთმიათ (აკა-

კი, გვ. 310); ხევში წყალი გოლვისაგან ისე მიღებულიყო, რომ ძლივსლა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ (ილია, გვ. 283).

უწყვეტელი - III კავშირებითი
(მთავარი - III კავშირებითი, დამოკიდებული - უწყვეტელი)

ლევანი ღუმელთან ახლა ისე ტრიალებდა, თითქოს მე-ფოლადე ყოფილიყოს (ფანჯ., გვ. 246).

I თურმეობითი - წყვეტილი
(მთავარი - I თურმეობითი, დამოკიდებული - წყვეტილი - მთავარი - წყვეტილი, დამოკიდებული - I თურმეობითი)

მაშინაც კი, როცა თეიმურაზს მართლა ლუკმა პურიც არ ჰქონდა, მარგოსგან ასეთი დაშხამული სიტყვები არ გაუგონია (ჯავ., გვ. 149); ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, როცა მამამზე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა (გამს., გვ. 15); არც ერთ მამაკაცს არ გაუგია, რა ფიცი დასდეს ქალებმა (გოთ., გვ. 214); ლევანმა კორესპონდენტს წერილი ისე დააწერინა, არც ერთი მეფოლადე არ გამორჩენია (ფანჯ., გვ. 261); ჩვენ ღმერთს მაღლი შევწირეთ, რომ არც დირექტორი, არც ინსპექტორი და არც სხვა ვინმე არ შემოგვსწრებია (აკაკი, გვ. 423); რაც რამ უთქვამს ჩემთვის, დღევანდლამდინ სიზმარივით დამახსოვდა (ილია, გვ. 62); კიდევაც დააპირა, ფრთხილად სიტყვა გაეტარებინა: სიტკბო და სიყვარული არ მომიკლა, შრომა და გულსმოდგინებაო (ლეონ., გვ. 38).

II თურმეობითი - ხოლმეობითი
(მთავარი - II თურმეობითი, დამოკიდებული - ხოლმეობითი - მთავარი - ხოლმეობითი, დამოკიდებული - II თურმეობითი)

დედისთვის არ უნდა გაეგებინებინა, თორემ ისეთ წიოკობას ატებდა, ქვეყანას შეუყრიდა (კილ., გვ. 478); თუკი თინა ფარნაოზის შემოტყუებას შესძლებდა, მაშინ ეს ტაძარი მათთვის და მათი შვილებისათვის ყველაზე გამძლე და საიმედო თავშესაფა

რი უნდა ყოფილიყო (ჭილ., გვ. 480); ხუთი ბატი რომ მიგებარე-
ბინა, ექვსს დაჰკარგავდა, დაბმულ ვირს ვერ მოუვლიდა (ლეონ.,
გვ.96).

ხოლმეობითი – I თურმეობითი

(მთავარი – ხოლმეობითი, დამოკიდებული -- I თურმეობი-
თი -- მთავარი · I თურმეობითი, დამოკიდებული ხოლმეობითი)

ახლაც ვერ დავარწმუნებდით მარიტას, რომ მის მიერ ხალი-
ჩაზე ამოქსოვის ღირსი ლექსი ჯერაც არ დამიწერია (ლეონ., გვ.
187); სანამ მისი ქმარ-შვილი პირველად გავიდოდა უიმისოდ სა-
სახლის გალავანში, სახიდან ღიმილი არ მოშორებია (ჭილ., გვ. 41).

ხოლმეობითი – წყვეტილი

(მთავარი – ხოლმეობითი -- დამოკიდებული – წყვეტილი ·
მთავარი წყვეტილი, დამოკიდებული – ხოლმეობითი)

ჯაყო თხუთმეტი წლისა ძლივს იქნებოდა, როცა მისი ბიძა
ქშელა ჯავის ხეობიდან დედაბუდიანად დაიძრა და ავთანდილ
ხევსთავს შეეხიზნა (ჯავახ., გვ. 15); ერთი კი ცხადი იყო: უკან
ვერასოდეს ვეღარ შემოადგამდა ფეხს (ჭილ. წვ. 127); ახალი კი-
თხვა წამოიჭრა: ვინ გამოვიდოდა სიტყვით (რობ., გვ. 80).

I თურმეობითი · II თურმეობითი

(მთავარი – I თურმეობითი, დამოკიდებული · II თურმეო-
ბითი · მთავარი · II თურმეობითი, დამოკიდებული · I თურმე-
ობითი)

შენ ანაფორა იმიტომ კი არ გაგიხდია, რომ დღევანდელ
ცხოვრებას შეჰგუებოდი, არამედ იმიტომაც, რომ ქრისტეს მცნე-
ბასაც გადასცდენიხარ (ჯავ., გვ. 97); ისე რბილად გამოთქმული-
ყო ქვაზე, როგორც თავად ღმერთს არ მოჰკონებია მისი მოცემა
(გამს., გვ. 282); იარაღიც არ ამიყრია, რომ ვაჟკაცისათვის სირ-
ცხვილი არ მეჭმია (აკაკი, გვ. 349).

I თურმეობითი – მყოფადი

(მთავარი -- I თურმეობითი, დამოკიდებული -- მყოფადი -- მთავარი -- მყოფადი, დამოკიდებული -- I თურმეობითი)

სანამ სასოება არ წარკვეთიათ კახელებს, ჩვენც უნდა მივეშველოთ (აკაკი, გვ. 311); რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია (აკაკი, გვ. 321); ვისაც კი მაღლი ჰქონია და სიკეთე, უმუშავნია, დაუთესნია, სულ ყველაფერი მაშინ მომწიფდება და მოიკრივება (ილია, გვ. 175); თუ მზის შუქი წყაროს აამღვრევს, მამ ჩვენს სიყვარულსაც ჩვენი გული აუმღვრევია (ილია, გვ. 191).

I თურმეობითი -- II კავშირებითი

(მთავარი -- II კავშირებითი, დამოკიდებული -- I თურმეობითი)

ვისაც ღმერთი არ გინახიათ, მოდით და ნახეთ მუსათწყაროში (ნახეთ იქნება II კავშირებითი. ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ გვქონდა, ნახეთ ზმნას აქვს მყოფადის შინაარსი, იმიტომ რომ ბრძანებითობის სემანტიკა ახლავს, თორემ ფორმით წყვეტილია!) (ლეონ., გვ. 185).

I თურმეობითი – III კავშირებითი

(მთავარი -- III კავშირებითი, დამოკიდებული -- I თურმეობითი)

ხოლო ერთხელაც ისე არ გაუწმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრევოდეს, გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულყოფოს (ილია, გვ. 248).

II თურმეობითი -- I ხოლმეობითი

(მთავარი -- I ხოლმეობითი, დამოკიდებული -- II თურმეობითი)

სოფლის ბავშვი რომ ყოფილიყო, რას მიხვდებოდა (აკაკი, გვ. 371); მინამ მე წამოვდგებოდი, დათიკო ცხენიდან ძირს დაეცე-

მულიყო (ილია, გვ. 214).

მყოფადი - II კავშირებითი

(მთავარი - მყოფადი, დამოკიდებული - II კავშირებითი - მთავარი - II კავშირებითი, დამოკიდებული მყოფადი)

როგორც სანგარში ჯარისკაცი ჯარისკაცს ვერ უღალატებს, ისე მეტალურგიულ ქარხანაში მეფოლადემ მეფოლადეს არ უნდა უღალატოს (ფანჯ., გვ. 262); ხვალ ინათებს თუ არა, თეთრ მთაში უნდა წავიდეთ (ლეონ., გვ. 109); მე სატევარს მაინც არ დავტოვებ, სულ რომ საყვედურებით ამავსოთ! (გოთ., გვ. 383); ახლაც ისე ვერ შევხედავ იორს, რომ გული არ ამიჩქროლდეს (ლეონ., გვ. 7).

სამეცნიერო ლიტერატურაში მწკრივთა შესაძლო შეფარდებაზე დაყრდნობით დროთა თანამიმდევრობის შესახებ გამოტანილია საყურადღებო დასკვნები:

1. ყველა სახის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები ერთმანეთს უფრო ხშირად ერთი დროის ფარგლებში ეთანხმებიან. ამასთან, ყველაზე გავრცელებულია წარსულ დროში შეთანხმება. ასეა ყველა ტიპის დაქვემდებარებულ წინადადებაში, გარდა მიზნის გარემოებითი ქვეწყობილი წინადადებისა, სადაც ჭარბობს მომავალ დროში შეთანხმების მაგალითები.

2. შესაძლოა მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს შეეფარდონ სხვადასხვა დროის ფარგლებშიც. ასეთ შემთხვევებში უმეტესად დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების დრო უსწრებს მთავარი წინადადების ზმნით ნავარაუდევ დროს. გამონაკლისია მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელშიც დამოკიდებული წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედების დრო აუცილებლად მომდევნო უნდა იყოს მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების ნებისმიერ დროსთან მიმართებით.

3. ერთსა და იმავე მწკრივს სხვადასხვა პოზიციაში და სხვადასხვა მწკრივთან ურთიერთობისას შესაძლოა განსხვავებული

მნიშვნელობა ჰქონდეს (გეგუჩაძე 1983: 164).

შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ განხილულ მასალაში ყველაზე ხშირია ისეთი წინადადებები, რომლებშიც მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენლები წარსული დროითა და უწყვეტლის მწკრივით არიან წარმოდგენილი (უწყვეტელი -- უწყვეტელი). ასევე ხშირია **წყვეტილი** – **წყვეტილი** მიმართება. არანაკლებადაა ახლანდელი დროით წარმოდგენილი ჰიპოტაქსური წინადადების შემასმენლები **აწმყო** – **აწმყო** თანამიმდევრობით. სიხშირის მიხედვით ამ თანამიმდევრობას მოსდევს მომავალი დროით წარმოდგენილი მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები მყოფადის მწკრივით (მყოფადი -- მყოფადი). რაც შეეხება სხვა მწკრივების თანაფარდობას, როგორც მაგალითებიდან ჩანს, განსაკუთრებით იშვიათია III სერიის მწკრივთა თანამიმდევრობა. დანარჩენი მწკრივები მეტ ნაკლებადაა დადასტურებული.

რთულ კონსტრუქციათა სხვადასხვა სახეობის შესწავლისას გაირკვა ზოგადი კანონზომიერებანი მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა. მაგალითად, დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელთა მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის; ერთსა და იმავე მწკრივს სხვადასხვა პოზიციაში და სხვადასხვა მწკრივთან ურთიერთობისას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული დროულ-კილოური მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზმა ეს ძირითადი დებულებები ძალაში დატოვა (გეგუჩაძე 2005: 76).

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დადასტურებულია მწკრივთა შეუძლებელი კომბინაციები. შეზღუდვა მინიმალურია განსაზღვრებით და ვითარების გარემოებით დამოკიდებულთან რთულ ქვეწყობილ წინადადებებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი ახსნილია კონსტრუქციის სპეციფიკით -- მიზნის გარემოებით დამოკიდებული ქვეწყობილი წინადადებისათვის ნიშანდობლივია ის, რომ დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელით გადმოცემული დრო შემდგომია მთავარი წინადადების ზმნით გამოხატულ ნებისმიერ დროსთან მიმართებით, რაც თვალსაჩინოა ზმნა შემასმენელთა თვით ერთი დროის ფარ

გლებში შეფარდების დროსაც კი (გეგუჩაძე 2005: 77). ირიბი და-
მატებით დამოკიდებულიან წინადადებაში აწმყოს მწკრივთან აკ-
რძალულ შეფარდებას მხოლოდ მყოფადის კავშირებითი ქმნის,
მაშინ, როცა აწმყოს კავშირებითთან შეუძლებელ კომბინაციათა
რიცხვი გაცილებით მეტია (11 შესაძლო მწკრივიდან მხოლოდ
ორია შესაძლებელი: აწმყოს კავშირებითი - აწმყო და აწმყოს კავ-
შირებითი - მყოფადი). ერთი და იგივე მწკრივი სხვადასხვა სა-
ხის წინადადებაში შეგუების განსხვავებულ უნარს ამჟღავნებს
(გეგუჩაძე 2005: 79). აკრძალვათა დიდი ნაწილი საერთოდ კავში-
რებითი კილოს გადმომცემ მწკრივებზე მოდის. ძალზე იშვიათია
იგი რთული ქვეწყობილი წინადადების ამა თუ იმ ნაწილშიც.
მთავარში კი მიზნის გარემოებით დამოკიდებულიან წინადადე-
ბაში გვხვდება, ხოლო დამოკიდებულში - პირობითსა და და-
თმობითში. ე. ი. ძალზე იშვიათი, მაგრამ შესაძლო შეფარდებე-
ბია. ასევე თითქმის შეუთავსებელი ჩანს კომბინაცია მყოფადი -
მყოფადის ხოლმეობითი. იგი მხოლოდ მიზეზის გარემოებით
დამოკიდებულიანში დადასტურდა. როცა მთავარ წინადადებაში
წყვეტილის მწკრივით გადმოცემული ზმნა შემასმენელი გვაქვს,
დამოკიდებულში აკრძალვა ძირითადად კავშირებითი კილოს
გადმომცემ მწკრივებზე მოდის. ზოგადად მწკრივთა ამკრძალავი
თუ შემზღუდველი თვისება, ამა თუ იმ მწკრივის დროულ კი-
ლოური მნიშვნელობა ძალიან ხშირად კონტექსტითაა პირობა-
დებული (გეგუჩაძე 2005: 80-82).

დამოკიდებული წინადადების ადგილი ჰიპოტაქსში

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების ადგილი მყარი არ არის. ის შეიძლება წინ უსწრებდეს მთავარ წინადადებას, მოსდევდეს მას, ან მთავარ წინადადებაში იყოს მოქცეული (კვაჭაძე 1996: 395). განვიხილოთ ცალ ცალკე მისი პოზიცია:

1. დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს: „ამ დარბაზის კარი ისევე მასიურია, როგორც რომანოვების ყოფილი დინასტია“ (რობ., გვ. 57); „ჩემმა შმობლებმაც მიტომ დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავ კნეინასთან“ (აკაკი, გვ. 425); „ახლა ზა-ზა სწორედ იმისათვის იყო დაღუპული, ვისთვისაც სწადდა თავისი სიცოცხლე“ (გოთ., გვ. 458); „თინა კი სწორედ იმედის ის ნატამალი იყო, რომელსაც ორივე წყალწადებულებით მოჰკიდებოდნენ“ (ჭილ., გვ. 338); „რაღაც განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდა, ახალი ინჟინერი ცვლაში როდის გავიდოდა“ (ფანჯ., გვ. 243); „ჩამოჯდა და თვალი მოავლო ბინდიანს, ტენიანსა და ობიან ოთახს, რომელიც თავის მდგმურებივით სევდიანად, ქუშიანად და ნალვლიანად გამოიყურებოდა“ (ჯავ., გვ. 14); „ჩემ დროს ახალგაზრდის მიერ პაპიროსის მოწევა საზოგადოებაში დაახლოებით ისე ფასობდა, როგორც ახლა ნარკომანობა“ (დუმბ., გვ. 46).

2. დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს: „როცა დრო მოვიდა, მთებიდან მოულოდნელად კბილებამდე იარაღში ჩამსხდარი ხუთი ჯივაშვილი ჩამოვარდა“ (ჯავ., გვ. 48); „ეს ორმის ნახტომი რომ არ იყოს, ცხოვრება ჩალად არ ეღირებოდაო“ (ლეონ., გვ. 47); „ვისაც ჩემი დანახვა არ სიამოვნებს, თავი ქვას უხლია, ერთ დღეს გაწყვეტილხართ ყველანიო“ (ჭილ., გვ. 487); „როგორც კი გაუსწორდებოდნენ ოჩანის ციხეს, ზეგანზე ამოვიდოდა ჯარი, სხვები აღმართებს შეჰყვებოდნენ ფიცხლავ“ (გამს., გვ. 75); „რადგან კონსტანტინე უწინდებურად აღარ ერიდებოდა ხალხს, აქაც ერთი დიდი ღრეობა მოუწყვეს თავადებმა“ (გოთ., გვ. 173); „ვისაც კი თქვენებურს შევხვდებოდი, თქვენს ამბავს ვკი-

თხავდი“ (ილია, გვ. 79); „სადაც ამდენი უმანკო სული ამოგიწყვეტათ, მე რაღა დასატოვებელი ვარ?“ (აკაკი, გვ. 344); „როდესაც ხელები მუხლებზე დაიწყო, შეამჩნია, რომ ხელებიცა და მუხლებიც ორივე ოდნავ მაინც უთრთოდა“ (დუმბ., გვ. 27).

3. დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოქცეული: „მამინაც კი, როცა თეიმურაზს მართლა ლუკმა პურიც არ ჰქონდა, მარგოსგან ასეთი დამხამული სიტყვები არ გაუგონია“ (ჯავ., გვ. 149); „ერთადერთი, რაც ცოტა, სულ ცოტა მაკავშირებს ცხოვრებასთან, ეს არის ამ ტაძრისდამი სიყვარული წარუბოცელი“ (გამს., გვ. 10); „ციციკორეს, როგორც ყოველ ქართველ კაცს, სახელი ყველაფერს ერჩივნა“ (ლეონ., გვ. 171); „ყველას, ვისაც კი მოესურვებოდა, შეეძლო იმ ბაღში პირის ჩატკბარუნება“ (ჭილ., 492); „ის, რასაც მაშინ დედები ხუმრობად თვლიდნენ, მისთვის ხუმრობა არ იყო“ (ჭილ., 400); „ხალხს, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმადლებია, საშიშია“ (აკაკი, გვ. 321); „ზამთრობით, როცა ვაშლის გორა დაეყრებოდა ჩვენს ძირა ოთახებში, ჩემთვის იმაზე საყვარელი არა იყო რა“ (ლეონ., გვ. 7).

ძველსა და საშუალ ქართულშიც დამოკიდებული წინადადების ადგილი ფიქსირებული არ არის: იგი ან წინ უსწრებს მთავარს, ან მოსდევს მას, ან კიდევ მთავარ წინადადებაშია მოქცეული. ამათგან უფრო გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, რომლებშიც დამოკიდებულ წინადადება წინ უსწრებს ან მოსდევს მთავარს (ბურჭულაძე 2007: 29-30):

„თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა“ (რუსთ., გვ. 37); „სადაცა ნახის, დახოცნის ლომ-ვეფხი მოშამბნარენი“ (რუსთ., გვ. 78); „ის ხელმწიფე ისევ ჯდა, როგორც წინაზე მენახა“ (რუსუდ., გვ. 141); „ესრეთ შეიყვარეს, ვითამცა ყოველთა შვილი ყოფილიყო“ (ამირან., გვ. 37); „სადაცა ზრმანება მისი მოვიდა, ყოველგან ავის-მოქმედობა ამოაგდო“ (ვისრ., გვ. 63); „ოდეს ჩვენცა მივედით, იგი კაცნი ჩვენ შეკრულნი ვნახენით“ (ამირან., გვ. 7); „რაცა ჩემგან გენახოს ჩემთა შმოზელთა სულისა დაურვება, ისევე შენ უკეთ დამიურვე“ (რუსუდ., გვ. 144).

იშვიათადაა საშუალ ქართულში ისეთი შემთხვევებიც, როცა დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაშია მოქცეული. მაგ.: „ესე კაცი, რომელ ქალაქსა შინა არს, დიდად მარცხი

არის მტერისათვის“ (ამირან., გვ. 39); „დიდებულნი, ვინცა მას წინაშე იყვნეს, შეჭირვებითა ყველანი კბილთა იღრქენდეს და იტყოდეს“ (ვისრ., გვ. 21); „ჩვენ ეს მოგვიხსენებია და თქვენ, რომელი შევინოდეს ჭაბუკობასა თქვენსა და ხელმწიფობასა თქვენსა უჯობდეს, იგი ქენითო“ (რუსუდ., გვ. 118).

ძველ ქართულშიც დამოკიდებული წინადადების წყობა სხვადასხვაა, მისი ადგილი თავისუფალია. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შინაარსია გადმოცემული და როგორია შეერთების საშუალებანი. მაგალითად, როდესაც კავშირად გამოყენებულია **რომელ** და **რამ** ნაცვალსახელები, დამოკიდებული წინადადება შეიძლება თავშიც იყოს და ბოლოშიც, მაგრამ უფრო ხშირად მაინც პირველი ადგილი უკავია. ხოლო დამოკიდებული წინადადების პრეპოზიციის შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს წინადადებაში სიტყვათა წყობას (კიზირია 1969: 45):

„**რომელმან უვარ-მყის მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათადასა**“; „**რომელ-იგი შენ აღაშენე, მათ მოაოჯრეს**“; „**რამ არს მიზეზი თქუენ ყოველთა აქა მოშრომისამ, მაუწყეთ**“; „**ნუმცა ვინ უწყის, რამეთუ მოვიდა დედაკაცი კალოსა ამას**“; „**უბრძანა მეფემან, რამთა წამოჰკიდონ ქედსა ქვამ და ჩააგდონ იგი მდინარესა**“; „**არა უწყოდა იაკობ, რამეთუ რაქელ, ცოლმან მისმან, წარმოიპარნა იგინი**“; „**მოილო, რომელ-იგი მოაქუნდა ძღუენი, და მიუძღუნა ესავს**“; „**აწ არა უწყი, თუ ვითარ ვყო მე გლაზაკმან ამან და რომელსა შეუდგე, არამედ მე გევედრები შენ ღმერთისათვის**“; „**მე გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიამ ჩემი, და ბჭენი ჯოჯობეთისანი ვერ ერეოდინ მას**“.

ჰიპოტაქსურ წინადადებაში შემავალი წინადადებების ადგილს, წყობას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ურთიერთმიმართების დასამყარებლად. თუმცა მთავარი თუ დამოკიდებული წინადადების ადგილების შეცვლა ხშირ შემთხვევაში არ იწვევს არსებით, ძირეულ ცვლილებას სინტაქსური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. თუ დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს და მას შევუცვლით პოზიციას – გადავსვამთ მთავარი წინადადების შემდეგ, ამით დაქვემდებარება არ იცვლება და კვლავ შენარჩუნებულია:

„ვისაც თვალი დაადგა, ყველანი მოიწონა“ (ჯავ., გვ. 24) -- ყველანი მოიწონა, ვისაც თვალი დაადგა; „რაც უფრო იზიზღებდა აიეტს, მით უფრო ემინოდა მისი“ (ქილ., გვ. 198) -- მით უფრო ემინოდა მისი, რაც უფრო იზიზღებდა აიეტს; „თუ ლაპარაკში მამაკაცი შეესწრებოდა, მყისვე ჩაჩუმდებოდნენ“ (ლეონ., გვ. 269) -- მყისვე ჩაჩუმდებოდნენ, თუ ლაპარაკში მამაკაცი შეესწრებოდა; „მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ“ (ილია, გვ. 269) -- რასაც ვამბობ, მე კარგად ვიცი; „ფიქრით განსაკუთრებით იყო ხაზგასმული ის სამი ადგილი, სადაც ვერხოვენსკისა და მამამისის შეხვედრაა აღწერილი“ (რობ., გვ. 63) -- სადაც ვერხოვენსკისა და მამამისის შეხვედრაა აღწერილი, ფიქრით ის სამი ადგილი განსაკუთრებით იყო ხაზგასმული; „შენ აასრულე, რასაც გიბრძანებენ“ (აკაკი, გვ. 307) -- რასაც გიბრძანებენ, შენ აასრულე; „კარგი ანეკდოტი იქნებოდა, ცოტა გრძელი რომ არ იყოს“ (რობ., გვ. 38) -- ცოტა გრძელი რომ არ იყოს, კარგი ანეკდოტი იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევებში გასათვალისწინებელია წინადადების შინაარსიც, კერძოდ, რაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი -- იმაზე, რაც გამოხატულია დამოკიდებული წინადადებით თუ იმაზე, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი? თუ აქცენტი დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატულ შინაარსზეა, მაშინ უპირატესობა ენიჭება წყობის დამოკიდებული წინადადებით დაწყებას. ხოლო, თუ ყურადღებას ვამახვილებთ მთავარით გამოხატულ სათქმელზე, მაშინ წინადადებაც მისით იწყება.

რაც შეეხება ისეთ წყობას, როცა დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაშია, ვფიქრობთ, რომ ეს პოზიცია მაშინ გამოიყენება, როცა ძირითადი მნიშვნელობა გადმოსაცემი შინაარსისა გადატანილია მთავარ წინადადებაზე, მასში გამოხატულ მოქმედებაზე. ხოლო დამოკიდებული წინადადება ამ შემთხვევაში დამატებით ნიუანსს აღნიშნავს. მაგალითად, წინადადებაში „ყველას, ვისაც კი მოესურვებოდა, შეეძლო იმ ბაღში პირის ჩატკბარუნება“ (ქილ., ვ. 492), აქ მთავარი სათქმელი არის „ყველას შეეძლო იმ ბაღში პირის ჩატკბარუნება“, ხოლო ვისაც კი მოესურვებოდა დამატებითი ინფორმაციის შემცველია. ის თითქოს ჩართულივითაა. ვფიქრობთ, რომ დამოკიდებული წინადადების ასეთი წყობა ბევრად მოკლებულია თავისთავადობას და მხო-

ლოდ დამატებით ელფერს სძენს მისამართ სიტყვას, ვიდრე ეს სხვა პოზიციანია. როცა ის მთავარი წინადადების თავშია ან მოსდევს მას, მეტი სინტაქსური დატვირთვა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მთავარ წინადადებაში მოგვეპოვება საკორელაციო სიტყვა, მიმართებითი სიტყვები... ასეთ შემთხვევებში აუცილებელიცაა მთავარი წინადადების ახსნა დამოკიდებულთ, რომ აზრი დასრულებული იყოს: „რამდენიც შეძლოთ, იმდენი დაამზადეთ“ (აკაკი, გვ. 304) -- აქ გაუგებარი იქნებოდა მთავარი წინადადების აზრი, რომ არ იყოს დამოკიდებული წინადადება (რამდენიც შეძლოთ). ან კიდევ: „კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა“ (ლეონ., გვ. 41) -- აქაც დაუსრულებელია და გაუგებარია მთავარი წინადადებით (კაციც ის არის) გადმოცემული სათქმელი დამოკიდებული წინადადების გარეშე (ვინც ქვაფენილი გამოიგონა). ისინი შინაარსობრივად ერთმანეთს ავსებენ, რასაც ვერ ვიტყვით ისეთ ჰიპოტაქსურ წყობაზე, რომელშიც დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაშია. როგორც აღინიშნა, ასეთი წყობისას დამოკიდებული წინადადება დამატებით შინაარსს იძენს. თუ ასეთ წინადადებას გადავაკეთებთ, მაშინ დამოკიდებული წინადადება ხნის და აზუსტებს მთავარს და აუცილებლადაცაა საჭირო, დამოკიდებული მიემართება მისამართ სიტყვას და არა მთელ წინადადებას: „ის, რასაც მაშინ დედები ხუმრობად თვლიდნენ, მისთვის ხუმრობა არ იყო“ (ჭილ., გვ. 400) -- რასაც მაშინ დედები ხუმრობად თვლიდნენ, ის მისთვის ხუმრობა არ იყო; „მაშინაც კი, როცა თეიმურაზს მართლა ლუკმა პურიც არ ჰქონდა, მარგოსგან ასეთი დაშხამული სიტყვები არ გაუგონია“ -- როცა თეიმურაზს მართლა ლუკმა პურიც არ ჰქონდა, მარგოსგან მაშინაც კი ასეთი დაშხამული სიტყვები არ გაუგონია.

მთავარი და დამოკიდებული წინადადების წყობა ხშირად მყარია, ასეთ შემთხვევებში შეუძლებელია მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ადგილის შეცვლა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნულია, რომ მნიშვნელობა ენიჭება როგორც დამოკიდებული წინადადების ტიპსა და მის სინტაქსურ ფუნქციას, ასევე დამოკიდებულის მთავართან შეერთების საშუალებას. ასეა, მაგალითად, ისეთ წინადადებაში, რომელშიც დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება რთული კავშირებით: **იმიტომ**

რომ, ასე რომ, ისე რომ. რთული კავშირებით დამოკიდებული მთელ წინადადებას მიემართება. ასეთი დამოკიდებული წინადადება ყოველთვის მთავარი წინადადების შემდეგაა: „ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა ყოველთვის ესმის“; „გიორგი გვერდზედ დაწვინათ, ასე რომ პირისახე კესოსაკენა ჰქონდა“ (კვაჭაძე 1996: 396-397).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მყარია დამოკიდებული წინადადების ადგილი უკავშირო შეერთებისას. თუ დამოკიდებული წინადადება დროზე მიუთითებს, მაშინ ის ყოველთვის მთავარი წინადადების წინაა, ხოლო თუ მიზეზზე მიგვანიშნებს, მაშინ ის მოსდევს მას (კვაჭაძე 1996: 397): „კაცი დაბარბაცდა: ქალის მზერაში წამით ამორძალი შეამჩნია“ (რობ., გვ. 23) -- კაცი დაბარბაცდა, **რადგან/იმიტომ, რომ** ქალის მზერაში წამით ამორძალი შეამჩნია; „სხვას ვერასა იქ: შენი ნება შენს ხელთ არ არის“ (ილია, გვ. 177) -- სხვას ვერასა იქ, **რადგან/იმიტომ, რომ** შენი ნება შენს ხელთ არ არის. რაც შეეხება თვალსაზრისს, რომ, როცა უკავშირო შეერთებისას დამოკიდებული წინადადება დროს გამოხატავს, ის მთავარი წინადადების წინაა, მართლაც აქ წყობა მყარია და ვერ შევცვლით: „გავაფრთხილე, არ შეისმინა მაშინაც“ (ლეონ., გვ. 32); მაგრამ, როგორც კი აღვადგენთ კავშირს **როცა**, წყობა ისეთივე მყარი აღარ არის და შეცვლა მაინც შესაძლებელია: წყალში ჩავაგდე -- წყლად იქცა, ცეცხლში ჩავაგდე -- ხმად გადაიქცა. ივარაუდება **როცა** კავშირის აღდგენა -- როცა წყალში ჩავაგდე, წყლად იქცა; როცა ცეცხლში ჩავაგდე, ხმად გადაიქცა. თუმცა პირიქითაც შესაძლებელია: წყლად იქცა, როცა წყალში ჩავაგდე; ხმად გადაიქცა, როცა ცეცხლში ჩავაგდე. ან კიდევ: გავაფრთხილე, არ შეისმინა მაშინაც (ლეონ., გვ. 32) - როცა გავაფრთხილე, არ შეისმინა მაშინაც // არ შეისმინა მაშინაც, როცა გავაფრთხილე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ არამყარი რიგის დროს წინადადება სტილისტიკურად უფრო გამართულია. აზრი მეტად ნათლად და ბუნებრივად გადმოიცემა, როცა დამოკიდებულ წინადადებას ვიყენებთ მთავრის შემდეგ. სხვაგვარადაა სიტუაცია, თუ მისი დასმა მთავარი წინადადების წინ ლოგიკური მახვილით ან ამა თუ იმ პირის მეტყველების თა-

ვისებურების ჩვენებით არ არის გამოწვეული (ბასილაია 1991: 326).

როდესაც დამოკიდებული წინადადების ადგილი მყარი არ არის და შეიძლება მისი ადგილის შენაცვლება, ჰიპოტაქსური წინადადების შემადგენელი ნაწილები ერთნაირი სინტაქსური და სტილისტიკური ღირებულებისა არ არის. ასეთ შემთხვევაში ნაწილების განლაგების რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან უპირატესობა ერთ ერთს ეძლევა (კვაჭაძე 1996: 397). ვფიქრობთ, რომ ხშირად აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, თუ რაზე ამხვილებს მთქმელი ყურადღებას -- მთავარში გამოხატულ შინაარსზე თუ დამოკიდებულზე -- რაზეც კეთდება აქცენტი (დამოკიდებულზე თუ მთავარზე), წინადადებაც იმით დაიწყება.

სამწერლობო ენაში იშვიათად დასტურდება მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა ისეთი პოზიციური მიმართება, როცა მთავარი კომპონენტი მოთავსებულია დამოკიდებულში: „ვერა ჰპოვებ, **დავიჯერებ**, იყო თურმე უჩინარი“ (ვეფხ., გვ. 46); „წა, მაგრა მომხვდეს, **რაღა ვქნა**, თუ სიშორისა გრძელობა!“ (ვეფხ., გვ. 48); „მზემან არ დაგწვენ, **იგოდით**, დაგყარენ გაუგვალებლად“ (ვეფხ., გვ. 143); „ავი და კარგი გარჩევით, **ვხედავ**, რომ ახლოს გიწყვიტა“ (დავით., გვ. 362); „რასაც ახლა ვამბობ, **ვგონებ**, ამაზედაც მხვდეს გინება“ (დავით., გვ. 388).

ასეთ შემთხვევებში ტექსტი, მისი შინაარსია გასათვალისწინებელი. მაგალითად, ვნახოთ ასეთი წინადადება -- „ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი“ (ვეფხ., გვ. 46). მთლიანი ტექსტი ასეთია:

„სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი სამებნარი;

ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბნარი;

ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი,

კოკობი და უფურჭვნელი ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი“.

მთლიანი ტექსტის მიხედვით მთავარი აქცენტი იმაზეა, რომ უცხო მოყმე მოძებნონ და იპოვონ. უპირველესი მიზანი ისაა, რომ დადასტურდეს მისი არსებობა. ამის შემდეგაა ის ნიუ ანსი, რომ ვერ პოვნის შემთხვევაში თინათინი დაიჯერებს უცხო მოყმის უჩინარობას. ამიტომაც, რაკი ის ნაკლებმნიშვნელოვანია, მთავარი წინადადება (დავიჯერებ) მოქცეულია შუაში. მთავარი აქ ის ფაქტია, რომ **თუ ავთანდილი ვერ იპოვის უცხო მოყმეს, მა**

შინ ქალი დაიჯერებს მის არარსებობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქვეყნობილი წინადადების კომპონენტთა ეს თავისებური პოზიცია საგანგებოდაა შესწავლილი სამწერლობო ძეგლების მიხედვით და მითითებულია, რომ ამგვარი წყობა დამახასიათებელია უფრო ხშირად პოეზიისათვის. ასეთ შემთხვევებში წინადადების კომპონენტთა შეერთება უმეტესად უკავშირობს. ამ ტიპის წყობაში მთავარი წინადადება გადმოცემულია ძირითადად ერთი სიტყვით -- ზმნით, რომელიც უმთავრესად გამოხატავს გრძნობას, ფიქრს, ცოდნას. აღნიშნულია, რომ ამგვარი კონსტრუქცია ხელშესახებად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, შემდგომი დროის ძეგლებსა და თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც. ეს უმეტესად სტილური ხერხია, სალიტერატურო ტრადიციით განმტკიცებული და უცხო არ ჩანს ქართული წინადადების ბუნებისათვის (კვანტალიანი 1974: 83 85).

ჰიპოტაქსურ წინადადებათა კვლევისას ერთ ერთი საგულისხმო საკითხია მთავარი კომპონენტის გადასვლა დამოკიდებულში. ეს პროცესი ორგვარად მიმდინარეობს: 1. მთავარი წინადადება ერწყმის დამოკიდებულს და ვიღებთ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას მთავრის გარეშე; 2. მთავარი წინადადება გადადის დამოკიდებულში, რის შედეგადაც ჰიპოტაქსი მარტივდება (კვანტალიანი 1986: 120). გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, როცა თუ კავშირიან პირობით დამოკიდებულს მოსდევს **თორემ** კავშირიანი პირობით შედეგობითი: თუ მოხვალ დილით, თორემ საღამოს შინ არ ვიქნები; თუ დაეხმარება, თორემ ხელს არ შეუშლის. აღნიშნულია, რომ პირობითი და პირობით შედეგობითი დამოკიდებული წინადადებები, ჩვეულებრივ, ცალ ცალკე უნდა მიემართებოდნენ მთავარს, რომელიც უმეტესად მათ შორის თავსდება: „თუ რამ დამეჭიროს, **მიშველეთო**, თორემ თქვენთვის იყავითო წასვლის დრომდი“ (კვანტალიანი 1986: 121). **თუ დაეხმარება, თორემ ხელს არ შეუშლის** ტიპის წინადადებაში მთავარი წინადადება არაა, მაგრამ ერთმანეთს აზრობრივად სწორად უკავშირდებიან. ორი ერთნაირი ფუნქციის მქონე დამოკიდებულის დაქვემდებარებითი შეკავშირება შეუძლებელია. სრული კონსტრუქციის მთავარ კომპონენტში აღდგება იგივე ზმნა, რაც პირობით დამოკიდებულშია: თუ მოხვალ, **დილით მოდი**, თო-

რემ სალამოს შინ არ ვიქნები.

მაქვემდებარებელი კავშირის დაკარგვის ტენდენცია ინტენსიურად საშუალო ქართულში დაიწყო (ექვსი თვეა, ერთმანეთი არ გვინახავს; ახლა მესამე წელი სრულდებოდა, გაცილებული იყვნენ). ქვეწოვის რღვევა მხოლოდ იმით კი არ გამოიხატა, რომ მაქვემდებარებელი კავშირისაგან გათავისუფლდა კონსტრუქცია, არამედ იმითაც, რომ მთავარი კომპონენტის პოზიცია შეირყა. იგი შეიძლება შეგვხვდეს დამოკიდებული წინადადების წინ, შემდეგ და მასშიც. ესაა ჰიპოტაქსის დახვეწის, გამარტივების ის ძლიერი ტენდენცია, რომელმაც მოდალური ზმნების შემცველ ქვეწოვაში ორპრედიკატიანი სახეობა მოგვცა (კვანტალიანი 1986: 123).

რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტთა დაქვემდებარების საშუალებები

რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირების ძირითადი საშუალება საგანგებო სიტყვებია: მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი სიტყვები: მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები (კვაჭაძე 1996: 384).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სხვადასხვა ტიპის მაქვემდებარებელ კავშირებს. ესენია: სივრცითი, დროულობის, მიზეზობითი, მიზნითი, პირობით-შედეგობითი, გამორიცხვითი, ვითარებით-შედეგობითი, ვითარებით-შედარებითი, ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი (ძიმბიგური 1989: 55).

სივრცითი კავშირები

სივრცით კავშირებში მოიაზრება ადგილის აღმნიშვნელი კავშირები, რომელთაც ლოკალობის ფუნქცია აქვთ. ისინი მონაწილეობენ ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში: **სადაც**, **საიდანაც**, **საცა** (ძველსა და საშუალ ქართულში გვხვდებოდა: სადა, სადა-იგი, სით, სითცა-სითაც, ვინამ, ვინამცა, რომ):

„**სადაც** ღარი იყო, იქ მსარდამხარ ჩადგნენ ხელჩაკიდებული მხლებლები“ (გოთ., გვ. 206); „სწორედ ის სასახლე იყო, **სადაც** შარშან დღეისწორს სრულიად საქართველოს „დიდ გარიგებას“ ჩაეყარა საფუძველი“ (გოთ., გვ. 484); „მერე იქ მივიდა, **სადაც** ახალმიღებული ზესადგარები ელაგა“ (ფანჯ., გვ. 305); „**საცა** მუქარა და ხალხის სახელი არ გასჭრიდა, იქ ახმახი ჯაყო გაბავშვდებოდა, გაკრავდებოდა და აცრემლდებოდა“ (ჯავ., გვ. 48); „ერის დაცემა იწყება იქიდან, **სადაც** თავდება წარსულის ხსოვნა“ (ლეონ., გვ. 210); „ფიქრით განსაკუთრებით იყო ხაზგასმული ის სამი ადგილი, **სადაც** ვერხოვენსკისა და მამამისის შეხვედრაა აღწერილი“ (რობ., გვ. 63); „იქ, **სადაც** ლომის ტოტი ვეღარა სთესავს,

მელიის კუდმა უნდა მოიმკოსო“ (აკაკი, გვ. 322); „იწევდა იქით, საითაც ქორი გაფრინდა და გაჰკიოდა“ (ვაჟა, გვ. 131).

ახალ ქართულში ზოგჯერ **რომ** სივრცითი კავშირის ფუნქციითაც გამოიყენება (მიძიგური 1989: 64-65): „მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი **რომ** წამოწოლილა და აქეთ-იქეთ ხევეები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით“ (ვაჟა); „ეზოში **რომ** დიდი კაკალი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვები აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული“ (ვაჟა). აღნიშნულია, რომ **რომ** კავშირის ეს ფუნქცია გამოწვეულია მისი პოლისემანტიკურობით.

რომ კავშირიანი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ძირითადად მთავარი წინადადების წინაა. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის წინადადებაში **რომ** კავშირი არ გამოიყენება საკორელაციო სიტყვის არსებობის გარეშე.

დროულობის კავშირები

დროულობის კავშირებში მოიაზრება დროის აღმნიშვნელი კავშირები, რომლებიც მოქმედების გარკვეულ დროზე მიუთითებენ. ისინი გამოიყენება დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში: **როცა, როდესაც, რაწამს, რაწამსაც, რაც, სანამ, ვიდრე** (ბველსა და საშუალ ქართულში ასევე გამოიყენებოდა: რომელ, რაღრა, როს, რაჟამს, ოდეს, ვითარ, ვითარცა, ვიდრემდის, ვირე, მანამდის, სანამდის):

„ქალი კი მხოლოდ მაშინაა სანდო, **როცა** უყვარხარ“ (ჭილ., გვ. 112); „ყოველი საგანი მაშინ იწყებს წაქცევას, **როცა** წონასწორობას დაჰკარგავს იგი“ (გამს., გვ. 347); „**როცა** გინდა, მაშინ გაგი მეორებ“ (ფანჯ., გვ. 354); „**როცა** დრო მოვიდა, მთებიდან მოულოდნელად კბილებამდე იარაღში ჩამსხდარი ხუთი ჯივაშვილი ჩამოვარდა“ (ჯავ., გვ. 48); „ეს ყველაფერი კი მაშინ მომხდარიყო, **როცა** ისა და მამამისი ერთი არსება იყვნენ და ყველაფერი საერთო ჰქონდათ“ (ჭილ., გვ. 492); „**როცა** დაჰპატიებდნენ, ჯერ თავაზიან მადლობას ეტყოდა, მერე დაატანდა...“ (ლონ., გვ. 241); „**სანამ** ნატაშა ამ აზრების გამოკვლევაში იყო, ვაჟმა ისევ გააგრძელა ლაპარაკი“ (ყაზბ., გვ. 104); „**ვიდრე** საღებავებსა და მოლბერტს

წამოვკრეფდით, თემოს ეხვეწებოდა, ნახატი მაჩვენეო“ (ონაშ., გვ. 102); „**რაწამსაც** გავიდნენ ბიძაშვილები, ქალიშვილიც ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან“ (იოს., გვ. 10); „სულ რამდენი წელიწადია, **რაც** რუსეთი აქ შემოვიდა?“ (ილია, გვ. 7).

ახალ სალიტერატურო ქართულში ზოგჯერ **რაკი** დროულობის გამოხატვის ფუნქციით გამოიყენება (= ზმნზ. როგორც კი). მიჩნეულია, რომ ეს არ შეიძლება ნორმად ჩაითვალოს სალიტერატურო ენისათვის (ძიძიგური 1989: 79): „**რაკი** ვლადიკავკასიდან გამოვედი და ჩემი ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვაგვარად დამიწყო ფეთქა“ (ილია, გვ. 11); „**რაკი** გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს და არავის დაზოგავდა“ (ილია, გვ. 179); „**რაკი** მოვიგონებდი, რომ ყოველი კაცის ნაფეხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვერია, მაშინვე დამიდინჯდებოდა გული“ (ილია, გვ. 132).

იშვიათად შესაძლოა დროის კავშირად **თუ არა** გამოიყენებოდეს. **თუ არა** გამოხატავს ერთი მოქმედების მეორე მოქმედებასთან სწრაფი თანამიმდევრობის სემანტიკას (ძიძიგური 1989: 94): „თვალი მოხუჭა **თუ არა**, მაშინვე ენგურის გაღმა შვეულ ტინზე დაკიდებული პარაშუტისტი მოაგონდა“ (იოს., გვ. 73); „ქალმა დაინახა **თუ არა** უცხო კაცი შესული, ცახცახით კედელს მიეკრა“ (ყაზბ., გვ. 7); „ხვალ ინათებს **თუ არა**, თეთრ მთაში უნდა წავიდეო!“ (ლეონ., გვ. 109); „შეატყობდა **თუ არა** მიხაილო ტატიშჩევი ზოსიმეს ასეთ სევდიან გარინდებას, უმალ თავზე წამოადგებოდა ახოვანი და წვერქერა“ (გოთ., გვ. 387).

დროულობის გამოსახატავად იშვიათად **რა** გამოიყენება: „და **რა** შეატყო მამამთილს მკაცრი უარისყოფა, სულ ნელა შეეხო მის გულისპირს“ (გოთ., გვ. 13); „ქალმა **რა** იგრძნო ოთახში უცხო, შეაქრჟოლა მოულოდნელობისაგან“ (ყაზბ., გვ. 57).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად **რომ** კავშირიც ასრულებს დროის კავშირის ფუნქციას. ახალ ქართულში **რომ** დროის გამოხატვის ერთ ერთი ძირითადი კავშირთაგანია: „უკვე ბინდებოდა, სასაფლაოდან **რომ** გამოვედი“ (დეუმბ., გვ. 122); „შინიდან **რომ** გამოვიდა, ჯერ კიდევ არ იყო კარგად გარკვეული თავის განზრახვაში“ (ჭილ., გვ. 470); „თათარო, სალამი **რომ** გაათა-

ვო, დამიძახე და მოვალო“ (აკაკი, გვ. 530); „ვახშამი რომ გაათავეს, მარგო ისევ ურეშზე ავიდა და მიწვა“ (ჯავ., გვ. 65); „კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსძახებდა“ (ლეონ., გვ. 98); „უკან რომ ვიხედები, ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ ჩვენ სიცილის უნარი შეგვრჩა...“ (ჯავ., გვ. 427).

რომ კავშირიანი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების თავშიც, შუაშიცა და ბოლოშიც დგას.

და კავშირის ძირითადი ფუნქციაა წინადადების კომპონენტთა სინტაქსურ-სემანტიკური დაკავშირება. იგი უმთავრესად მაერთებელი კავშირია, იშვიათად -- მაქვემდებარებელი, არცთუ იშვიათად -- მიერთებითი. ამასთანავე, და-ზე აქცენტირდება რიტმული მახვილი, რაც განაპირობებს წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურას (ჭიკაძე 2014: 110).

და კავშირის მაქვემდებარებელი ფუნქცია დადასტურებულია როგორც ძველ ქართულში, ისე ქართველურ ენებსა და ზეპირ მეტყველებაში. და-ს, როგორც მაქვემდებარებელ კავშირს, უმთავრესად რომ კავშირის ფუნქცია აქვს: ის ყმაწვილი ჩამოვა აქ და განახებთ -- ის ყმაწვილი აქ რომ (= როცა) ჩამოვა, განახებთ; ერთი შენ ეს სიკეთე მიქენი და რამერიგად გავეტიო -- ერთი შენ ეს სიკეთე მიქენი, რომ (= რათა) რამერიგად გავეტიო. ნიშანდობლივია, რომ და მაქვემდებარებელ კავშირად უმთავრესად გამოიყენება პერსონაჟთა მეტყველებაში, რაც მისი ამ ფუნქციის ზეპირი მეტყველებიდან მომდინარეობაზე მიგვანიშნებს (ჭიკაძე 2014: 112-113).

ჰიპოტაქსურ წინადადებაში და კავშირი ხშირად ახლავს მაქვემდებარებელ კავშირებს და ვიღებთ ე. წ. გაწყვილებულ კავშირებს: და რომ, და რადგანაც, და თუ, და როცა, და არა... ასეთ შემთხვევებში წინადადება შინაარსობრივად გამოხატავს მიზეზ-შედეგობრიობას, პირობით-შედეგობრიობას და დროულ-შედეგობრიობას: სახლში მაქვს დაბარებული, უსათუოდ ამოვალ ამაღამ თქვა, და რომ არ ამოვიდე, ჯავრით მოკვდებიან; მხიარულად მიეგება მას პორფირი და რადგანაც ოტიას სახეზე მხიარული ღიმილის თამაში შეამჩნია, მხარზე ხელი დაარტყა; ქალსაც ვაჩვენებ და თუ მოეწონება, დანიშნულს გამოგიგზავნი; ამ სიცი

ლით ბოლომდის ჩაიარა ეკვირინემ და როცა მიადგა ღობეს ვენახის ბოლოში, გაღმა გაიხედა; ოტიამ ასწია თავი და რა დაინახა ცხენოსანი, უცხად გააგდო ხელიდან ნაჯახი (ჭიკაძე 2014: 113-115).

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული ტიპის წინადადებები მიჩნეულია შერეული სახის ანუ ზერთული წინადადების ერთ-ერთ სახედ (კვაჭაძე 1996: 481). რ. ჭიკაძის თვალსაზრისით, „სტრუქტურულად ასეთი სახის ე. წ. ზერთული წინადადება შედგება და-თი დაკავშირებული და თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული კომპონენტებისაგან; სწორედ ამ უკანასკნელის მთავარს ახლავს დამოკიდებული, რომელიც, როგორც წესი, წინ უძღვის მას და განმარტავს ამ კომპონენტით გამოხატული მოქმედების მიზეზს, პირობითობას ან დროულობას“ (ჭიკაძე 2014: 115).

ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ამ მოდელს სინტაქსურ-სემანტიკურთან ერთად ქმნის ინტონაციური ფაქტორი. ამ ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებს დასახელებული კონსტრუქციის წინადადებათა სტრუქტურულ მთლიანობას, რაშიც გამოჩეულია და კავშირის ფუნქცია (ჭიკაძე 2014: 115).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ და კავშირის მიერთებითი ფუნქცია არსებითად განსხვავდება მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი, მაცალკეებელი და მაქვემდებარებელი ფუნქციებისგან. ისინი თავიანთ ფუნქციას ასრულებენ წინადადების შიგნით, წერტილებამდე. მიერთებითი კავშირები კი ფუნქციონირებას იწყებენ დასრულებული დამოუკიდებელი წინადადებისა თუ მეტატექსტების გასაყარზე, რათა მიუერთონ ისინი წინამავალ ტექსტს და ამით შექმნან ლოგიკურ ურთიერთკავშირში მყოფ ამ წინადადებათა თუ მეტატექსტთა სპეციფიკური თანამიმდევრობა - ტექსტი (სერგია 1997: 154).

მიზეზობითი კავშირები

მიზეზობით კავშირებში იგულისხმება მიზეზის აღმნიშვნელი კავშირები, რომლებიც გამოიყენება მიზეზის გარემოებით

დამოკიდებულ წინადადებაში. ესენია: **რადგან, იმიტომ რომ, ამიტომ რომ, ვინაიდან, ამისთვის...** (მველსა და საშუალ ქართულში გამოიყენებოდა ასევე: ვინაიდან, მით რომელი, ამაღ რომე, რომელი, რომე):

„**რადგან** ეგეთი თვინიერი და დამჯერი ხარ, ყურის აწევით დაკვამყოფილდები“ (დუმბ., გვ. 44); „ეს ღმერთმა ადღეგრძელოს მომავალი ხევისთავი და ყაფლანიშვილი, **რადგან** ორივე გვარი ამ თაობაში სწყდება“ (ჯავ., გვ. 27); „**რადგან** კონსტანტინე უწინდებურად აღარ ერიდებოდა ხალხს, აქაც ერთი დიდი ღრეობა მოუწყვეს თავადებმა“ (გოთ., გვ. 173); „მე **იმიტომ** ვსვამ, რომ წუხელ პაპჩემი მეხვეწებოდა სიზმარში“ (ლეონ., გვ. 113); „მათი თუჯის ზარბაზნების მრისხანე ლულების ცქერას არაფერი მერჩია, **იმიტომ რომ** ამ დროს ძალას ვგრძნობდი“ (ფანჯ., გვ. 207); „ჭირის დღესავით სძულდა ბიბლიოთეკაში შესვლა, **ამიტომ** სამუშაო მაგიდა ჩვენს ოთახში დაადგმევინა“ (ონაშ., გვ. 76); „მე მათი მობრძანება ბევრად არაფრად მეპიტნავებოდა, **ვინაიდან** გული ტყე მინდვრისა და სამწყემსურისაკენ მქონდა“ (აკაკი, გვ. 97).

რაკი კავშირი შესაძლოა გამოიყენებოდეს ასევე მიზეზის გამობატვის დროს: „**რაკი** (= რადგან) თემო დუმდა, ჩემს კითხვებზე თვითონვე დავიწყე პასუხის გაცემა“ (ონაშ., გვ. 135); „თვალი მაინც ცისკენ გაეპარებოდა, **რაკი** (= რადგან) მისთვის ყველაფრის სათავე მამაზეციერი იყო“ (იოს., გვ. 66); „გააგრძელა თვითონვე, **რაკი** (= რადგან) ქაიხოსრო თვალგამტერებული დასცქეროდა საფლავს“ (ჭილ., გვ. 74); „**რაკი** (= რადგან) სვიმონის ამბავი და სიჩუმის მიზეზი შევიტყვეთ, ეხლა შეგვიძლიან დავუბრუნდეთ ისევ ჩვენის მოთხრობის გმირებს“ (ყაზბ., გვ. 39); „**რაკი** (= რადგან) აღთქმებით ვერა გააწყვეს რა, დილეგში ჩააგდეს კვლავ, ვირთხები მიუხიეს“ (გამს., გვ. 140).

ზოგჯერ მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში **რომ** კავშირი გამოიყენება: „**რომ** (= რადგან) არ დამპატიყეს, მაინც დავლიო?!“ (ლეონ., გვ. 112); „ჯავრი **რომ** (= რადგან) არ შევარჩინე, ეს რადა ჰღირს!“ (ილია, გვ. 210); „მისი შიშით, **რომ** (= რადგან) ნამდვილ მარგალიტზე თაღლითი მეტია, ნამდვილი მარგალიტი ვის დაუგმია?“ (აკაკი, გვ. 438); „ახლა ესენი **რომ** (= რადგან) ვნახე, ისიც მომაგონდა“ (აკაკი, გვ. 313).

მიზნითი კავშირები

მიზნითი კავშირებია: **რათა, იმისათვის, რომ** (ძველსა და საშუალო ქართულში გამოიყენებოდა რა(ა)თა, ნუჟკუე, რომელ, რომე კავშირები). ეს კავშირები მონაწილეობენ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციაში: „კუსა ხანდახან გულისპირს განგებ მოითხვრიდა ხოლმე სისხლით, **რათა შინ დაბრუნებულს მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა ქალებზე**“ (ჭილ., გვ. 245); „ეს ომი **იმისთვის** გადავიხადე, შეეტყო სუყველას, რომ მე ღორის აღარ მეშინოდა“ (აკაკი, გვ. 43); „ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, **რათა** აქედან გააღწიონ“ (იოს., გვ. 45); „ნუთუ ნახევარი საუკუნე **იმისთვის** იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ სამი ადლი მიწა?“ (ილია, გვ. 128); „**იმისათვის** კი არ დაგვარიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალეთ“ (ილია, გვ. 163); „თამაზს უნდოდა ქალიშვილის წინაშე მუხლზე დაცემულიყო, **რათა** სიყვარული აეხსნა, სამუდამო ერთგულება შეეფიცა“ (ფანჯ., გვ. 137).

მიზნით გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში **რომ** ძირითადი მიზნითი კავშირია (ძიძიგური 1989: 112): „მოიგონე რამე, **რომ** ყმაწვილმა ქალის ნახვა არ მოასწროს“ (ილია, გვ. 89); „**რომ** არ ჩამქრალიყო, ასანთი ორივე მუქში მოიმწყვდია და ისე გამომიწოდა მოსაკიდებლად“ (დუმბ., გვ. 116); „იარალიც არ ამიყრია, **რომ** ვაჟკაცისათვის სირცხვილი არ მეჭმია“ (აკაკი, გვ. 349); „მე მოვედი, **რომ** ეს მოგახსენოთ“ (ფანჯ., გვ. 135); „და უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს, **რომ** თავი კაცად ვიგრძნოთ სრულიად“ (ჭილ., გვ. 97); „მან დაფლეთილი ბრეხენტი მალლა აკეცა, **რომ** გამოქვაბულში სინათლე შესულიყო“ (იოს., გვ. 149).

პირობითი კავშირები

პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულია **თუ, თუკი, თუმცა** კავშირები (ძველსა და საშუალო ქართულში გამოიყენებოდა: უკუეთუ, უკუეთუმცა, დაღათუ, დაღაცათუ): „**თუ** სულ არ ეჩიჩინები, თავისთავად არას მოიფიქრებენ“ (აკაკი, გვ.

303); „**თუ** ასე იყო, რად არ გაუმხილა მამას?“ (გამს., გვ. 28); „**თუ** ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გამოვიდა, ხვალ და ზეგ გამოვა“ (ჯავ., გვ. 116); „შენ **თუ** შვილი გყავს, იმიტომაც არ დახტუნაობ ასკინკილით გარე-გარე“ (ჭილ., გვ. 461); „**თუ** მოვინდომებთ, ეს არც ისე ძნელი საქმეა“ (ფანჯ., გვ. 323); „**თუ** ფილმის ეფექტურად დადგმა მოხერხდა, მიზანი მიღწეული იქნება“ (რობ., გვ. 9); „მზეს **თუკი** როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია, იმის დროს ყოფილა“ (ილია, გვ. 61); „**თუკი** თინა ფარნაოზის შემოტყუებას შესძლებდა, მაშინ ეს ტაძარი მათთვის და მათი შვილებისათვის ყველაზე გამძლე და საიმედო თავშესაფარი უნდა ყოფილიყო“ (ჭილ., გვ. 480).

რომ კავშირი ხშირად გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში. იგი სემანტიკურად შეესაბამება და გამოხატავს პირობითობას, შინაარსობრივად ცვლის **თუ** კავშირს: „დღეს **რომ** აქა მყავდნენ, მიცემდი ხელში საგდებელს კავებით, დავაყენებდი წყლის პირად მოსახვევში და ვაჭერინებდი ჯირკებს“ (აკაკი, გვ. 304); „მე **რომ** ჩემი სიყვარული და ენერგია მთელ კაცობრიობას გავუნაწილო, ჩემს ძმას ერთი მემილიარდედიც არ ერგება“ (ჯავ., გვ. 111); „ადვილი **რომ** მგონებოდა, ამ აღმართს არ ამოვასკდებოდი“ (დუმბ., გვ. 63); „ეს ირმის ნახტომი **რომ** არ იყოს, ცხოვრება ჩალად არ ეღირებოდაო“ (ლეონ., გვ. 47).

პარატაქსული წყობის წინადადებაში პირობითობასთან ერთად შეიძლება მისი შედეგიც გადმოიცეს, ანუ აშკარად შეინიშნება ხოლმე პირობით-შედეგობითობა. ამისათვის გამოიყენება **თორემ** კავშირი. ის **თუ** კავშირისა და **არა** ნაწილაკის შეერთებით არის წარმომდგარი (კვაჭაძე 1996: 448 449): „არ ვიმეტებდი, **თორემ** ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი“ (ილია, გვ. 43); „ეხლავ გამოდი აქა და ეგ უნამუსოც გამოიყვანე, **თორემ** სიცოცხლე მაქვს, შავი დღე დაგაყენო“ (ყაზბ., გვ. 23).

ძველსა და საშუალ ქართულში გვხვდება **თუარა**, **თვარა**, **თვარამ** კავშირები.

გამორიცხვითი კავშირები

გამორიცხვით დამოკიდებულ წინადადებაში (ტერმინს **გამორიცხვითი** ვიყენებთ **დათმობითის** ნაცვლად შ. ძიძიგურის თვალსაზრისის მიხედვით) ძირითადად გამოიყენება კავშირი **თუმცა**, ასევე: **მიუხედავად იმისა, რომ, მართალია, გინდ, თუნდაც, რაგინდ** (ძველსა და საშუალ ქართულში გამოიყენებოდა დაღათუ, დაღაცათუ, თუცა კავშირები): „დანაღვლიანებული დაბრუნდა სახლში, **თუმც** იმედს არ კარგავდა“ (ვაჟა, გვ. 135); „ამხანაგები დასცინოდნენ, **თუმცა** მის ენერგიას პატივს სცემდნენ“ (ფანჯ., გვ. 175); „ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამრჩა გრძნობა-გონებაში, თუმც ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის“ (აკაკი, გვ. 991); „**მართალია**, მოთარეშეები არა თუ არ გაუწყვეტია, თვალითაც არ უნახავს არავინ მათგანი მთავრობას, მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში მართლა შეწყდა თარეშობა“ (აკაკი, გვ. 328); „**მართალია**, ჯერ შორს იყო, მაგრამ მიწისძვრასავით უკვე იგრძნობოდა“ (გოთ., გვ. 460); „**გინდაც** ჯერ კიდევ სჭეროდა სისხლიანი დანა მკვლელს, ბოჩია ხელს მაინც ვერ დაადებდა“ (ქილ., გვ. 61); „**თუნდ** რომ მიაგმო, რა დასაძრახისია?“ (ილია, გვ. 138).

შ. ძიძიგური აღნიშნავს, რომ სათანადო კონსტრუქციის წინადადებაებში შეუფერებელია ტერმინ **დათმობითის** გამოყენება. აქ „მთავარი წინადადება“ გამორიცხავს „პირობას“, რომელიც მოცემულია მასთან დაკავშირებულ წინადადებაში, უგულებელყოფს მას და ამით განსხვავდება ეს კონსტრუქცია პირობითი წინადადების კონსტრუქციისაგან. მკვლევრის აზრით, სწორედ **გამორიცხვულობა** ამ ტიპის წინადადების სემანტიკური ბუნება (ძიძიგური 1984: 128).

ტერმინი **დათმობითი** თარგმანია რუსულიდან (уступительный). ქართულში შინაარსობრივად გამოხატავს: 1. სხვის სასარგებლოდ რამეზე ხელის აღებას, ნებით მიცემას, დანებებას, დათანხმებას, კომპრომისს; 2. მიტოვებას, დატოვებას, გამეტებას, შელევას (ქეგლი 1951), ხოლო ტერმინი **გამორიცხვითი** აღნიშნავს: 1. გამოკლებული; 2. დათხოვნილი, გარიცხული; 3. და უშვებელი, შეუძლებელი (ქეგლი 2010).

ვფიქრობთ, ტერმინი გამორიცხვითი, მართლაც, მარჯვე და უფრო შესაბამისია ამ ტიპის წინადადებებისათვის. აქ შინაარსობრივად ურთიერთგამომრიცხავი კომპონენტებია. ის, რაც მთავარი წინადადებითაა გადმოცემული, დამოკიდებულში მისი საწინააღმდეგო, გამომრიცხავი შინაარსისაა და პირიქით. მაგალითად: „ამხანაგები დასცინოდნენ, თუმცა მის ენერგიას პატივს სცემდნენ“ (ფანჯ., გვ. 175). მთავარ წინადადებაში (ამხანაგები დასცინოდნენ) გადმოცემული **დაცინვა** დამოკიდებულში მისი გამომრიცხავი მოქმედებით — **პატივისცემით** არის წარმოდგენილი. ან კიდევ: „მართალია, ჯერ შორს იყო, მაგრამ მიწისძვრასავით უკვე იგრძნობოდა“ (გოთ., გვ. 560).

ზოგჯერ **რომ** კავშირიც გამოიყენება გამორიცხვით დამოკიდებულ წინადადებაში დაკავშირების საშუალებად: „ქვეყნის გონება ცამდისაც **რომ** უწევდეს, მაინც ვერ მისწვდება ღვთის განგებას“ (აკაკი, გვ. 321); „კარგი ანეკდოტი იქნებოდა, ცოტა გრძელი **რომ** არ იყოს“ (რობ., გვ. 58); „მე სატევარს მაინც არ დავტოვებ, სულ **რომ** საყვედურით ამავსოთ!“ (გოთ., გვ. 383).

ასეთი დაკავშირებისას დამოკიდებულ წინადადების ადგილი თავისუფალია, გვხვდება როგორც მთავარი წინადადების წინ, ასევე შემდეგ.

ვითარებით-შედევობითი კავშირები

ვითარებით-შედევობითი კავშირებია: **როგორც, რამდენადაც, რამდენჯერაც, რაც, ისე რომ, თუ, თითქოს, ვითომც, ვიდრე** (ძველსა და საშუალ ქართულში გამოიყენებოდა რომელი, რომე, ასრე, ასრე რომე, ვითარცა, ვითარ, ვითა, ვით, რაგვარცა, რაგვარადაც, რარიგაცა, რარიგადაც კავშირები). ისინი გამოიყენება ვითარებით გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში: „არსად ისე არ ხარშავენ ყავას, **როგორც** ბათუმში“ (დუმბ., გვ. 110); „ყველაფერი ისევ ისე იყო, **როგორც** სამი წლის წინათ დატოვა“ (ფანჯ., გვ. 179); „მისი მოსვლა იმდენად მოულოდნელი არ იყო, **რამდენადაც** გაუგებარი“ (დუმბ., გვ. 17); „ქალიშვილმა ისე ჩაუარა, **თითქოს** ქუჩაში კაცის ნაცვლად ხე იდგა“ (დუმბ., გვ. 62);

„...ისე ადვილად მიჰქონდა, თითქოს ის ცხვარი ვარიაზე მძიმე არ ყოფილიყო“ (ჯავ., გვ. 10); „რამდენჯერაც არ შეუშვირა წყალს პატარა უხეიროს ჯამი, იმდენჯერ სისხლივით გაწითლდა წყალი“ (ჭილ., გვ. 515); „ძალიან ვფროთხილობდით, რაც-კი შეგვეძლო“ (აკაკი, გვ. 387); „რაც უფრო უახლოვდებოდა შაჰ-აბასის ლაშქარი ქართულ სამყაროს, მით უფრო დელავდა ზაზა“ (გოთ., გვ. 87); „მე ისე მეჩვენა, ვითომც სახის მეტყველება შესცვლოდა“ (ილია, გვ. 127); „ხშირად მტრის ფარულაზრიანი სიტყვა უფრო კარგი ჰქუის მასწავლებელია, ვიდრე მოყვარის გაფროთხილება“ (გოთ., გვ. 342).

ზოგჯერ რომ კავშირი გამოიყენება მთავარი წინადადების დამოკიდებულთან დასაკავშირებლად: „ბათულას სიკვდილმა ისე იმოქმედა, რომ თავის უკანასკნელ ცხვარზე აიღო ხელი“ (ლეონ., გვ. 176); „ჩემი კნიაზი ისე არ გაღარიბდება, რომ ჯაყოს ვერ დაუხვდებოდე“ (ჯავ., გვ. 11); „ერთი ისე დაიჭიხვინა, რომ ფანჯრის მინები ააწკარუნა“ (ჯავ., გვ. 49); „ხევში წყალი გოლვისაგან ისე მილეულიყო, რომ ძლივსლა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ“ (ილია, გვ. 223).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, რომ კავშირით შეერთებული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ძირითადად მოსდევს მთავარს. თუ შევანაცვლებთ და რომ კავშირთან დამოკიდებულ წინადადებას მთავრის წინ გადმოვიტანთ, მაშინ სტრუქტურა მოითხოვს, რომ ეს კავშირი ამოვარდეს: თავის უკანასკნელ ცხვარზე აიღო ხელი, ისე იმოქმედა ბათულას სიკვდილმა; ძლივსლა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ, ისე მილეულიყო ხევში წყალი გოლვისაგან. იშვიათად შეიძლება კავშირი შენარჩუნდეს: ჯაყოს რომ ვერ დაუხვდებოდე, ისე არ გაღარიბდება ჩემი კნიაზი.

ქვემდებარული, დამატებითი და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების მთავართან დაკავშირების საშუალებები: მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნიხედები და საკუთრივ კავშირები. ამათგან მიმართებითი ნაცვალსახელები წევრ-კავშირებადაც გვევლინება. ის არა მხოლოდ კავშირია, არამედ წინადადების წევრიცაა. ამით ის განსხვავდება სხვა (სივრცითი, დროულობის, მიზეზობითი, მიზნითი, ვითარებითი, შედეგობითი, ვითარებით-შედარებითი, პირობითი, პირობით

შედევობითი, გამორიცხვითი) წმინდა ტიპის კავშირებისაგან. მაშასადამე, მას ორგვარი ფუნქცია აქვს დაკისრებული.

ქვემდებარული კავშირები

ქვემდებარული კავშირები გამოიყენება ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში. ესენია: საკუთრივ კავშირები: **რომ, თუ**; მიმართებითი ნაცვალსახელები: **ვინც (ვინაც), რაც, რომელიც**. იშვიათად შეიძლება გამოიყენებოდეს მიმართებითი ზმნიზედები: **სადაც, როცა** (ძველსა და საშუალ ქართულში გამოიყენებოდა **რომელიცა, რომელი-იგი, რომელი-ეგე, რომე** კავშირები). ამათგან **ვინც** წევრ-კავშირი გამოიყენება მაშინ, როცა მთავარი წინადადების ქვემდებარედ ადამიანი მოიაზრება, ხოლო **რაც** მაშინ, როცა ასეთად ყველაფერი სხვა, ადამიანის გარდა, იგულისხმება:

„ისეთი რამე არის, **რაც** მე არ ვიცი?“ (გოთ., გვ. 17); „**ვინც** ხმალში ჭვრიტოს ბედნიერი გამარჯვება, იმანვე შეირგოს და ალალი იყოს“ (გოთ., გვ. 172); „ისიც გასათვალისწინებელი იყო, **რომ** სამშობლოდან იმდენად შორის იყვნენ, დახმარების არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდათ“ (ჭილ., გვ. 96); „ამას ამბობდა იგი, **ვისაც** ასეთი ფაქიზი გული დაჰყოლია“ (გამს., გვ. 278); „**ვინც** თავის მიწა-წყალს არ მოჰშორებია, ეგ იმას ვერ უცვნია“ (ილია, გვ. 178); „ცოდვია ის კაცი, **ვინც** ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ., გვ. 58); „**ვისაც** რა ეხერხებოდა და ან რა ემარჯვებოდა -- იმას მიმართა“ (აკაკი, გვ. 301); „ერთ დღეს კი მოხდა ის, **რასაც** არავინ არ ელოდა“ (ჭილ., გვ. 436); „მე ისა ვარ, წიგნებს **რომ** გიკითხავდით“ (ლეონ., გვ. 9); „კაციც ის არის, **ვინც** ქვაფენილი გამოიგონა“ (ლეონ., გვ. 41); „**ვისაც** არ გამოუცდია ეს დღე, იმან არ იცის, რა მწვავეა“ (ილია, გვ. 201).

ვინც კავშირი ახალ ქართულში რიცხვის არმქონე სახელია. შესაბამისად, ის მისამართ სიტყვას რიცხვში ვერ უთანხმდება (მიძიგური 1989: 259). რაკი ის მხოლოობითია ყოველთვის, ამიტომ ამ ნაცვალსახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან დამოკი-

დებული წინადადების შემასმენელიც მხოლოდობითში უნდა იყოს (კვანტალიანი 1983: 63). ეს სალიტერატურო ენის ნორმაა. შეიძლება შეგვხვდეს ნორმის დარღვევის შემთხვევებიც: „**ვინც** რუსული არ **იგოდნენ** ახალშემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ **ბედავდნენ**“ (აკაკი, გვ. 135); „ისინი, **ვინც** გაექცათ, მამაკაცები იყვნენ“ (იოს., გვ. 35); „ისინი, **ვინც** გუშინ თათრის ერთგულებასა და ქართველების მტრობას **იჩენდნენ**, დღეს პირველი თავდადებული ქართველები **გახდნენ**“ (აკაკი, გვ. 217); „ჩემი კვალი **ნახონ** მათ, **ვინცა** ჩემ უკან **ვლიან**“ (ილია, გვ. 48).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნორმის დარღვევა სათავეს იღებს კილოებში, სადაც იშვიათი არ არის მისამართი სიტყვის მიერ დამოკიდებული წინადადების შემასმენლის შეთანხმება რიცხვში (კვანტალიანი 1989: 64).

რაც კავშირი ასევე რიცხვის არმქონეა. ამიტომ მისამართ სიტყვას მრავლობითში ვერ უთანხმდება: „მისთვის საკმარისია ეს, **რაც** ახლა უეცრად **გაიფიქრა**“ (იოს., გვ. 75); „მოხდა ის, **რასაც** უკვე აღარავინ არ **ელოდა**“ (ჭილ., გვ. 213); „ის ხდებოდა, **რაც** აუცილებლად უნდა **მომხდარიყო**“ (ბიბ., გვ. 96); „ის მის ქალიშვილებს ემატებოდა, **რაც** შავთვალემა მაღალს **აკლდებოდა**“ (ჭილ., გვ. 115).

ძალზე იშვიათია **რაც** კავშირის ნარიანი ფორმები (ძიძიგური 1989: 258).

დამატებითი კავშირები

დამატებითი კავშირები გამოიყენება ყველა ტიპის დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში (ძიძიგური 1989: 178). ესენია: **თუ**, **რომ**, **რაც**, **ვინც**, **არც** (ძველსა და საშუალო ქართულში გამოიყენებოდა: რამეთუ, ვითარმედ, რათა, რომელი, რომე, ვითა, უკუეთუ, რა(მ), რამ იგი, რამ ესე, რამცა, რამ ოდენიცა-რავდენიცა):

„ვენაცვალე, **ვინც** ბლომად დალია!“ (ლეონ., გვ. 112); „ახლა კი დარწმუნდა ღვინჯუა, **რომ** ქვეყნის შერყეულობა მოხდა“ (ლეონ., გვ. 125); „**რაც** გაქვთ, ის არ გინდათ“ (ჭილ., გვ. 483); „ერთადერთი, **რაც** ცოტა, სულ ცოტა მაკავშირებს ამ ცხოვრებასთან, ეს

არის ამ ტაძრისადმი სიყვარული წარუხორციელი“ (გამს., გვ. 10); „ვისაც ხალხი არა ჰყავს, იმას არც ღმერთი გააჩნია“ (რობ., გვ. 60); „შენ აასრულე, **რასაც** გიბრძანებენ“ (აკაკი, გვ. 307); „მივედი და **რაც** მე იქ ვნახე, იმის სრულად გადმოცემა შეუძლებელია“ (დუმბ., გვ. 120); „**ვინც** შეგიშინებია, ის შეაშინე“ (ფანჯ., გვ. 354).

თუ კავშირი, როგორც ობიექტური კავშირი, შესაძლოა შეგვხვდეს კითხვით სიტყვასთან ერთად. ასეთი წინადადება კონსტრუქციულად კითხვითია (ძიძიგური 1989: 182): „რამდენიმე თვის შემდეგ მაკ კოლახმა იმავე გაზეთის ფურცლით შეიტყო, **თუ როგორი** კატასტროფით დამთავრდა ჯიმის თამაში“ (რობ., გვ. 330); „სიმწრის ოფლი ასხამდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, **თუ** ამ წუთში **რას** განიცდიდნენ მისი მშობლები და ამხანაგები“ (ფანჯ., გვ. 150); „**კარგად** ვიცოდი, **თუ როდის** და **როგორ** უნდოდა ხვნა-თესვა“ (აკაკი, გვ. 387).

რომ კავშირის გამოყენებისას ნორმატიულია რომ ± მეთქი კონსტრუქცია (ძიძიგური 1989: 193): „ვიფიქრე, **რომ** ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის **მეთქი**“ (აკაკი, გვ. 439); „შევფიცე ღმერთსა, **რომ** მე მოკვდები და იმას კი არავის წავაქეღვინებ-**მეთქი**“ (ილია, გვ. 49); „**აკი** მოგახსენეთ, **რომ** გაგიადვილებთ-**მეთქი** სამეცნიერო სიტყვის გაგებასა“ (ილია, გვ. 64).

ასეთივეა: **დავინახე, რომ, მივხვდი, რომ...** ვფიქრობთ, ნორმატიულია ალბათ, როცა მთავარში მეტყველების ზმნებია.

განსაზღვრებითი კავშირები

განსაზღვრებითი კავშირები გამოიყენება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში. ესენია: 1. მაქვემდებარებელი კავშირები: **რომ, თუკი, სანამ, ვინემ, თითქოს**; 2. მიმართებითი ნაცვალსახელები: **ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც**; 3. მიმართებითი ზმნიზედები: **როდესაც, როცა, გვხვდება ზოგჯერ სადაც, საიდანაც, საითკენაც** (ძველსა და საშუალ ქართულში გამოიყენებოდა: რომელ, რომელ-იგი//ეგე//ესე, რომელი-იგი, რომე, რაიცა, სადა იგი, სადაცა, ვინაძცა):

„სიტყვასა და ფიცს კი შაკ-აბასისათვის ისეთივე ფასი ჰქონ-

და, როგორც აბანოს ქოშებს“ (გოთ., გვ. 86); „მე პროფესორ გორდელაძეზე ისეთი თვისებებით ვიყავი ძლიერი, რომელსაც იგი ვერასოდეს ვერ შეიძენს“ (ფანჯ., გვ. 359); „ისეთი წიგნი მისწერეთ, რომ მით მოუღობოთ გულიო“ (აკაკი, გვ. 46); „უცებ ისეთმა უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, პირველ დღეს რომ დაეუფლა“ (ფანჯ., გვ. 60); „აღარ არსებობდა ის სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ“ (ბიბ., გვ. 133); „ის ძმურად მიუახლოვდა იმ კაცს, ვინც წუთის წინათ კინალამ სიცოცხლეს გამოასალმა“ (ყაზბ., გვ. 156); „აბა ის რა კაცია, ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს“ (ლეონ., გვ. 243); „რამდენიც უნდათ, იმდენი მიყურონო“ (ჭილ., გვ. 489); „მამამზე ერისთავს იმდენივე ომი ჰქონდა გადახდილი, რამდენი წელიც დაეყო ამ ქვეყნად“ (გამს., გვ. 27); „ახლა კი, კეთილი ინებე და ამიტანე ისეთი, როგორიცა ვარ“ (ფანჯ., გვ. 388); „მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ“ (გამს., გვ. 278); „ინგას ზუსტად ისეთი ხრიალი აღმოხდა ყელიდან, როგორც ერთი წლის წინ აფთიაქში“ (დუმბ., გვ. 27).

ზოგჯერ როგორიც მიმართებითი სიტყვის ნაცვლად გამოიყენება როგორც. იგი შეესაბამება როგორიც ფორმას. აღვნიშნავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში როგორიც მიმართებით სიტყვას თან ახლავს კორელატი ისეთი. როგორც შესაძლოა გამოიყენებოდეს ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, ოღონდ ისე (ისევე) კორელატთან ერთად.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ არაერთი ცდის მიუხედავად, სალიტერატურო ქართულში როგორიც ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები ვერ მკვიდრდება: ისეთი შორეული ქალაქებიც კი, როგორებიც ნიურნბერგი და ლუბეკი იყვნენ, მონგოლთა თავდასხმას ახლო მომავლის საქმედ თვლიდნენ; სიყვარულისა და სიჭაბუკის წყვილ ფრთას კიდევ უფრო უმაგრებს და უმეხიანებს უტყუარი სიყვარული ისეთი პოეტებისა, როგორნიც იყვნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და გიორგი ლეონიძე. აღნიშნულია, რომ ამ ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმების სშირ გამოყენებაში, რაც უახლეს ლიტერატურაში შეიმჩნევა, წილი უნდა ედოს რუსულ ენას, სადაც შესაბამისი ნაცვალსახელი (какой) ყოველთვის უთანხმდება რი

ცხვში მისამართ სიტყვას (კვანტალიანი 1983: 68).

რომელიც მრავლობით რიცხვშია, როცა ის მიემართება მხოლოობითში დასმულ ისეთ სახელს, რომელსაც განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი. ის ასევეა მრავლობით რიცხვში, როცა მიემართება შერწყმული წინადადების მხოლოობითში დასმულ ერთნაირ წევრებს (ერთელიშვილი 1962: 240).

როგორც ჩანს, ყველა ტიპის დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს თავ-თავიანთი მაქვემდებარებელი კავშირები. თუმცა გამოვყოფთ **რომ** კავშირს, რომელიც ყველა ტიპის ჰიპოტაქსურ წინადადებაში გამოიყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი ახსნილია მისი პოლისემანტიკურობით. დამოკიდებული წინადადება, რომელიც ამ კავშირს შეიცავს, იმ ტიპისა შეიძლება იყოს, თუ რომელი საკავშირებელი სიტყვით მიემართება მთავარს.

უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადება

მთავარი წინადადების დამოკიდებულთან ურთიერთობა ორი გზით ხორციელდება – კავშირით ან უკავშიროდ. როგორც აღინიშნა, ჰიპოტაქსური წყობისას წინადადებათა შეკავშირების ძირითადი საშუალება მაქვემდებარებელი კავშირებია: **რომ, თუ, რაკი, ვიდრე, სანამ, რა, რადგანაც, იმიტომ, რომ, რათა, იმისათვის, რომ, თუკი, უკუთუ, თუმცა, გინდ, თუნდ...** (ძიძიგური 1989: 55-275). დამოკიდებული წინადადების დასაკავშირებლად მთავარ წინადადებასთან, მაქვემდებარებელი კავშირებისა და მიმართებითი ზმნიზედების გარდა, გამოიყენებულია ფორმაცვალებადი სიტყვებიც – მიმართებითი ნაცვალსახელები (კვანტალიანი 1983: 3). ხშირია უკავშირო ქვეწყობილი წინადადებაც, რომელიც აზრობრივად და სტრუქტურულად ახლოს დგას კავშირიან ქვეწყობილ წინადადებასთან.

აღნიშნავენ, რომ უკავშირო რთული წინადადების ჩამოყალიბება წინ უსწრებდა კავშირიანი წინადადების ჩამოყალიბებას.

უკავშირო წინადადებებით უფრო მდიდარია ცოცხალი მეტყვე-
ლება, ხოლო დაკავშირების სხვადასხვა ფორმით უფრო ლიტერა-
ტურული ენა ხასიათდება. ასიდენტურობა ანუ რთული ქვეწყო-
ბილი წინადადების კომპონენტთა უკავშიროდ შეერთება, რომ-
ლის მოქმედების არც განსაზღვრულია ძველ ქართულშივე,
გარდამავალი საფეხურის მკაფიო მაჩვენებელია (კვაჭაძე 1996:
391). უკავშირო ჰიპოტაქსის საკლასიფიკაციო საშუალებებია:

1. უკავშირო რთული წინადადების შემადგენელ წინადა-
დებათა აზრობრივი დამოკიდებულება.

2. მთავარი წინადადების შემასმენლის მოდელი ქვეწყო-
ბილ წინადადებაში და დამოკიდებული წინადადების დამოკი-
დებულება მისადმი (კიზირია 1969: 64-65).

უკავშირო წინადადება იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრუ-
ლებს, რასაც კავშირებიანი დამოკიდებული წინადადება -- აქაც
დაქვემდებარებული წინადადება ხსნის და აზუსტებს, განმარ-
ტავს მთავარ წინადადებაში ნათქვამს. ქვეწყობილი წინადადების
ნაწილთა შეერთებისა და მათ შორის გარკვეული ლოგიკური მი-
მართების დამყარების ერთ ერთ ძირითად საშუალებას უკავში-
რო შეერთებისას ზეპირ მეტყველებაში ინტონაცია წარმოადგენს,
ხოლო წერისას ის გამოიხატება სათანადო სასვენი ნიშნების და-
სმით. ესენია უმრავლეს შემთხვევაში მძიმე და არცთუ იშვია-
თად -- ორწერტილი: „ეტყობოდა, იგი მართლა აპირებდა თორმე-
ტი წყვილის გაგზავნას მცხეთაში“ (გამს., გვ. 84); „ვინ იცის, რო-
გორ მიდის“ (ჯავ., გვ. 29); ჯაყო ამბობდა: ზოგი მოიპარესო, ზო-
გიც ხელისუფლებამ წაიღო“ (ჯავ., გვ. 102); „იცოდა: ფხოველნი
ხატის ტყეებში არ შევიდოდნენ“ (გამს., გვ. 77); „კორკოტიც არა
ჰქონდა მოთავებული, კეცზე შემწვარი ორაგულეები მოურბენინა
ნონაიმ“ (გამს., გვ. 127); „ტყე ღრეში მორიალე ჩორებს უსაფუძ-
ვლო ეჭვებით სტანჯავდა, საყვარელთან პაემანზე ხომ არ დადის
ტყეში“ (ლეონ., გვ. 211); „თამაზი გრძნობდა: ახალი სიყვარული
იბადებოდა, ან უკეთ, სიყვარულის წყურვილი, ყვირილი“ (როზ.,
გვ. 42); „ალექსანდრე უმალ მიხვდა, საით დრეკავდა სიტყვას გი-
ორგი“ (გოთ., გვ. 121); „ისევ იტყოდა: ეს ბალახი ჩვენშიც ხარობ-
სო“ (ჭილ., გვ. 36). მოყვანილ უკავშირო წინადადებებში თავის-
უფლად ჩავსვამთ შესაბამის მაქვემდებარებელ კავშირებს: ვინ

იცის, **თუ** როგორ მიდის; ჯაყო ამბობდა, **რომ** ზოგი მოიპარესო, ზოგიც ხელისუფლებამ წაიღო; იცოდა, **რომ** ფხოველნი ხატის ტყეებში არ შევიდოდნენ; კორკოტიც არ ჰქონდა მითავებული, **რომ** კეცზე შემწვარი ორაგულები მოურბენინა ნონაიამ. შემდეგ წინადადებებშიც აღდგება **რომ** ან **თუ** კავშირები.

იშვიათად უკავშირო შეერთებისას ტირეც გამოიყენება: „გაჯობებ – ჩემი ხარ“ (გოთ., გვ. 431); „შენ ისე დამმალე – სიკვდილმაც ვეღარ მომაგნოო“ (გოთ., გვ. 628); „ისმინეთ ჩემიცა – უწევს უცილობლად“ (გოთ., გვ. 631). კავშირები აქაც აღდგება: [თუ] გაჯობებ – ჩემი ხარ: შენ ისე დამმალე, [რომ] სიკვდილმაც ვეღარ მომაგნოო; ისმინეთ ჩემიცა, [რომ] უწევს უცილობლად.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადების შემადგენელი კომპონენტების ურთიერთმიმართების გამოსახატავად ინტონაციის გარდა მნიშვნელობა აქვს სხვა ფაქტორსაც (კვაჭაძე 1996: 461). ერთ-ერთი მომენტი წინადადების პოზიცია, რომელიც მყარია -- დამოკიდებული წინადადება ან თავშია, ან ბოლოში, ადგილის შეცვლა შეუძლებელია: „ახლა მოაგონდა არსაკიძეს, მზის დამბნელებას მოელოდნენ ამ დღისთვის ვარსკვლავთმრიცხველნი“ (გამს., გვ. 204); „მოაგონდა: ამ სამი დღის წინადაც წავიდა ხერკის ციხისაკენ ჯარი“ (გამს., გვ. 25). თუ შევეცდებით მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ადგილის შეცვლას, ეს ვერ მოხერხდება უკავშიროდ, მხოლოდ კავშირის ჩასმით გახდება ეს შესაძლებელი. მაგ., მზის დაბნელებას **რომ** მოელოდნენ ამ დღისათვის ვარსკვლავთმრიცხველნი, ახლა მოაგონდა არსაკიძეს; ამ სამი დღის წინადაც **რომ** წავიდა ხერკის ციხისაკენ ჯარი, მოაგონდა.

უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში ხშირად არის საკორელაციო სიტყვა უკავშიროდ, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ მას დამოკიდებული წინადადება ახლავს: „ეს ქადაგება ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, შიში შეგვეპარა“ (ჯავ., გვ. 586); „დედამ ისე ამიწია ყური, ერთი დაკვილება ქვეყანას მერჩია“ (დუმბ., გვ. 18); „ისე ჩქარა ევლოთ, ორივეს ხვითქი გადასდიოდა“ (ქილ., გვ. 237); „ისე მოჰპარსავდა მუშტარს, ერთ სიტყვასაც არ გასცემდა“ (ლენ., გვ. 256). პირველ წინადადებაში მთავარია ეს ქადაგება ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომელშიც მისათითებელი სიტყვა ისე-

თი გვავარაუდებინებს მისი კონკრეტული შინაარსით შემავსებელ დამოკიდებულ წინადადებას რომ კავშირით: ეს ქადაგება ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ შიში შეგვეპარა. სხვა წინადადებებშიც ასევე აღდგება რომ კავშირი: დედამ ისე ამიწია ყური, რომ ერთი დაკვილება ქვეყანას მერჩია; ისე ჩქარა ევლოთ, რომ ორივეს ხვითქი გადასდიოდა; ისე მოჰპარსავდა მუშტარს, რომ ერთ სიტყვასაც არ გასცემდა. როცა საკორელაციო სიტყვაა, გადანაცვლება თავისუფალი ჩანს. ე. ი. როცა წინადადება მარკირებულია.

უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შესაძლოა არც საკორელაციო სიტყვა იყოს და არც კავშირი, მაგრამ წინადადების ნაწილების დაქვემდებარება აშკარაა: „ჭირისუფალს წყურვილი ახრჩობს, როგორმე მკვდრის ხსოვნა მაინც დაიჭიროს, დაბას, ჩაიბეჭდოს“ (ჯავ., გვ. 520); „ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვგმობთ და მათ ეკლესიებში ვილოცობთ“ (გამს., გვ. 68); „თან დათან ვრწმუნდებოდი, ამ კაცისა არაფერი მესმოდა“ (ფანჯ., გვ. 216); „ბებია მასწავლა, როგორ უნდა შემემინებინა ხაზარულა“ (დუმბ., გვ. 145).

დასახელებული ტიპის ჰიპოტაქსურ წინადადებებში იგულისხმება ხოლმე რომ და თუ კავშირები. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ თუ კავშირის გამოტოვება ჩვეულებრივია, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენლად კავშირებითის ან კავშირებითის მნიშვნელობით ნახმარი II თურმეობითის ფორმაა (კვაჭაძე 1996: 462). ასევე ხშირია რომ კავშირის გამოტოვება დამოკიდებული წინადადების შემასმენლის თხრობითი კილოს ფორმით წარმოდგენისას.

აღვნიშნავთ, რომ უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება შესაძლოა ისეთი სტრუქტურისაც იყოს, რომ ვერ ჩაისვას ნაგულისხმევი კავშირი. მაგალითად: „ვინ იცის, [გაიფიქრა] ეგებ ჭიაბერი და მისი ძუძუმტე ტოხაისძე ყოფილიყვნენ ის ორი მხედარი, პირველად შემოჭრილნი ქალაქში“ (გამს., გვ. 27); „გახარებულმა ლევანმა სიჩქარეს მოუმატა, [გაიფიქრა] ნათიამ მცხეთაში წასვლა არ გადაიფიქროსო“ (ფანჯ., გვ. 298); „ზურაბი გამტერდა, [ფიქრობდა] ყურები ხომ არ მატყუებსო“ (ფანჯ., გვ. 321); „სხვა გზა არ იყო, [გადაწყვიტა] კიდეც ერთხელ უნდა შეჰგუებოდა

ბედს“ (ჭილ., გვ. 203). აღვადგინეთ არა კავშირები, არამედ ნაგულისხმევი სიტყვა.

მოყვანილი ტიპის მაგალითებში ვერ აღვადგენთ რომელიმე მაქვემდებარებელ კავშირს. მიუხედავად იმისა, რომ არაა მაქვემდებარებელი კავშირი და არც მისი აღდგენა ხერხდება, ესენი უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადებებია. რასაკვირველია, მაქვემდებარებელი კავშირი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია წინადადების სტრუქტურაში, მაგრამ არა უმთავრესი და გადამწყვეტი. მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ კავშირი დამოკიდებული წინადადების **გარეგნული ნიშანია**. თუ რთული წინადადების რომელიმე ნაწილში მოიპოვება მაქვემდებარებელი კავშირი ან მიმართებითი სიტყვა, ეს იმის მანიშნებელია, რომ წინადადება ჰიპოტაქსურია (კვაჭაძე 1996: 384). ცხადია, წინადადებათა აგებულებაში მთავარი ნიშანი მხოლოდ გარეგნული მხარე არ არის, მთავარი ფაქტორი წინადადების წყობა და აგებულებაა. ჩვენს მაგალითებში გამოიყოფა მაქვემდებარებელი და დამოკიდებული წინადადებები. აქ დამოკიდებული წინადადებები შეიცავენ ახსნა-განმარტებას, დაზუსტებას შინაარსისა (ყველაზე ხშირად მთავარი წინადადების რომელიმე წევრს აზუსტებს ან მთლიანად წინადადებას). ზოგ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მნიშვნელობა ენიჭება წინადადების თანამიმდევრობასა და ზმნით გამოხატული მოქმედების მორფოლოგიური თვალსაზრისით (მწკრივი, დრო) აღნიშვნას. მაგალითად, წინადადებაში – „გახარებულმა ლევანმა სიჩაქარეს მოუმატა, ნათიამ მცხეთაში წასვლა არ გადაიფიქროსო“ (ფანჯ., გვ. 298) – შესაძლოა ასე აღვადგინოთ კავშირი: გახარებულმა ლევანმა სიჩაქარეს მოუმატა, **რათა** ნათიას მცხეთაში წასვლა არ **გადაეფიქრებინა**. ან კიდევ: „პირდაპირ არ ვიცი, ასე მუშაობა როგორ შეიძლება“ (ფანჯ., გვ. 68) – პირდაპირ არ ვიცი, ასე მუშაობა **თუა შესაძლებელი**.

უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, მსგავსად კავშირიანი რთული წინადადებისა, ფუნქციის მიხედვით სხვადასხვა ტიპის დამოკიდებული წინადადებები გვხვდება: ქვემდებარული, შემასმენლური, დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი, პირობითი, შედეგობითი. მაგალითად: „საოცარი ის იყო, ჩხუბის აღარც ხალისი მქონდა, აღარც სურვილი“ (დუმბ., გვ. 102) – **შემასმენლური**; „იგი არასდროს იბარებს, როდის მოვა“

(დუმბ., გვ. 60) – **პირდაპირდამატებითი**; „სიზმარმა ისედაც მხდალი კუსა ისე დააფრთხო, საყასბოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა“ (ჭილ., გვ. 215) – **ვითარების გარემოებითი**; „ისეთი სამარისებური სიჩუმე გამეფდა, ზოგჯერ დანიელის პირჯვრის საწერად წაღებული ხელის მოძრაობაც კი ისმოდა“ (იოსელ., გვ. 84) – **განსაზღვრებითი**; „სიმღერა არაფერს ამბობს იმაზე, როგორ შევიდა ლაშქარი ერთ მწირ, ღარიბ სოფელში“ (ბიბ., გვ. 160) – **უბრალო დამატებითი**.

ისეთ უკავშირო წინადადებაში, რომელშიც საკორელაციო სიტყვაა, მაგრამ არაა კავშირი (ის მხოლოდ იგულისხმება), მარტივია იმის დადგენა, თუ რა სახის დამოკიდებული წინადადება გვაქვს – რა კითხვასაც შეიწყობს საკორელაციო სიტყვა, პასუხს სწორედ ამაზე დამოკიდებულ წინადადებაში ვიღებთ. მაგალითად, წინადადებაში – **სიზმარმა ისედაც მხდალი კუსა ისე დააფრთხო, საყასბოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა** – საკორელაციო სიტყვა ისე მიუგებს კითხვაზე **როგორ?** მაშასადამე, დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია, რადგან **როგორ** ვითარების გარემოების კითხვაა. ან კიდევ: **ეს ქადაგება ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, შიში შეგვეპარა**: ისეთი – როგორი? ე. ი., განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა.

რთულადაა საკითხი, როცა წინადადებაში არც საკორელაციო სიტყვაა და არც კავშირი: „შვებულემა რა იყო, არ იცოდა“ (ფანჯ., გვ. 241); „ახლა მოაგონდა არსაკიძეს, მზის დაბნელებას მოელოდნენ ამ დღისათვის ვარსკვლავთმრიცხველნი“ (გამს., გვ. 204); „წყლის მომლოდინე დაჩოქილმა კუკარაჩამ უცებ იგრძნო, როგორ დაეშვა თავზე რაღაც უსაშველო მძიმე“ (დუმბ., გვ. 38); „მუშებმა იცოდნენ, ოთარი ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში გადაჰყავდათ“ (ფანჯ., გვ. 244). მსგავს შემთხვევებში ალვადგენთ კავშირს, საკორელაციო სიტყვასაც და დამოკიდებული წინადადების დაქვემდებარების სახესაც გავარკვევთ. მაგალითად: ახლა მოაგონდა არსაკიძეს **ის, რომ // თუ** მზის დაბნელებას მოელოდნენ ამ დღისათვის ვარსკვლავთმრიცხველნი; მუშებმა იცოდნენ **ის, რომ // თუ** ოთარი ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში გადაჰყავდათ. ორივე შემთხვევაში წინადადება დამა-

ტებითი დამოკიდებულება.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ძნელია დარწმუნებით იმის თქმა, შეენაცვლება თუ არა უკავშირო წინადადებას რომელიმე მაქვემდებარებელი კავშირი, არის თუ არა მათ შორის დაქვემდებარებითი დაკავშირება და, შესაბამისად, აგებულების მიხედვით რომელი ტიპის წინადადებას მივაკუთვნოთ – ჰიპოტაქსურს თუ პარატაქსულს? საქმე ეხება ისეთი ტიპის წინადადებას, რომლებშიც დამოკიდებულ წინადადებად მიჩნეული (სპეციალური ლიტერატურის მიხედვით) წინადადება მოსდევს ქვეწყობილი წინადადების მთავარ წევრად მიჩნეულს და წერისას მისგან ორწერტილით გამოიყოფა. მაგალითად: „სამჯერ დაალო პირი და სამჯერვე დაახველა: ენაზე მომდგარი სიტყვა მაინც დასაკლავ ხარივით ჯიუტობს და უკანვე გაურბის“ (ჯავ., გვ. 72); „ეზოში სისხლი იღვრება: ჯაყომ რამდენიმე ქათამი, ინდაური და ცხვარი დაჰკლა, ქვევრსაც თავი აჰხადა და თავის სტუმრებს საჩვენებლად სოფლის წარჩინებულებიც მოუწვია“ (ჯავ., გვ. 72); „ონოფრეც არ ტყდებოდა: ჯერ ვნახოთ, წლები გავიდეს“ (ჯავ., გვ. 22); „ონოფრეც გაჰქრა ხევის თოვლივით: სხვა სხვის მაგივრად ვილა წავა ციმბირში“ (ჯავ., გვ. 47); „ცოლის ავადმყოფობა გაიხსენა და წამალიც თვითონვე დაუწერა: ერთხელ ქეშელა ცხენზე შესვა, ავადმყოფი დედაკაცი ფეხით უკან გააყოლა და ჰავის გამოსაცვლელად როკის მთებში გაისტუმრა“ (ჯავ., გვ. 93). ასეთი ტიპის წინადადებები სამეცნიერო ლიტერატურაში რთულ ქვეწყობილ წინადადებადაა მიჩნეული (კვაჭაძე 1996: 465).

მოყვანილ წინადადებებში შესაძლოა აღდგეს არა კავშირი, არამედ რაიმე სიტყვა ან წინადადება: სამჯერ დაალო პირი და სამჯერვე დაახველა [მაინც თქმა ვერ შეძლო]; ენაზე მომდგარი სიტყვა მაინც დასაკლავ ხარივით ჯიუტობს და უკანვე გაურბის; ეზოში სისხლი იღვრება: [წვეულებისთვის] ჯაყომ რამდენიმე ქათამი, ინდაური და ცხვარი დაჰკლა, ქვევრსაც თავი აჰხადა და თავის სტუმრებს საჩვენებლად სოფლის წარჩინებულებიც მოუწვია; ონოფრეც არ ტყდებოდა: [ფიქრობდა] ჯერ ვნახოთ, წლები გავიდეს; ონოფრეც გაჰქრა ხევის თოვლივით: [ამბობდნენ] სხვა სხვის მაგივრად ვილა წავა ციმბირში; ცოლის ავადმყოფობა გაიხსენა და წამალიც თვითონვე დაუწერა: [მოიფიქრა] ერთხელ

ქმელა ცხენზე შესვა, ავადმყოფი დედაკაცი ფეხით უკან გააყოლა და ჰავის გამოსაცვლელად როკის მთებში გაისტუმრა.

მოყვანილ მაგალითებში ვერ ჩავანაცვლებთ მაქვემდებარებელ კავშირებს (რადგან, რომ, იმიტომ რომ...). ეს ისეთი შემთხვევებია, როცა წინადადების რამდენიმე წყებაა მოცემული, რომლებიც მთავარი წინადადების ახსნა-განმარტებას წარმოადგენს. აქ დაქვემდებარებითი დაკავშირება არ იგულისხმება წინადადების კომპონენტებს შორის: სამჯერ დაალო პირი და სამჯერვე დაახველა, **რადგან/რომ/იმიტომ, რომ** ენაზე მომდგარი სიტყვა მაინც დასაკლავ ხარივით ჯიუტობს და უკანვე გაურბის“; ეზოში სისხლი იღვრება, **რადგან/რომ/იმიტომ, რომ** ჯაყომ რამდენიმე ქათამი, ინდაური და ცხვარი დაჰკლა, ქვევრსაც თავი აჰხადა და თავის სტუმრებს საჩვენებლად სოფლის წარჩინებულებიც მოუწვია; ცოლის ავადმყოფობა გაიხსენა და წამალიც თვითონვე დაუწერა, **რადგან/რომ/იმიტომ, რომ** ერთხელ ქმელა ცხენზე შესვა, ავადმყოფი დედაკაცი ფეხით უკან გააყოლა და ჰავის გამოსაცვლელად როკის მთებში გაისტუმრა...

ასეთ შემთხვევებში აღწერა და ჩამოთვლაა ერთდროული მოვლენებისა. აქ არ გვაქვს ისეთი ვითარება, როცა უკავშირო დამოკიდებული წინადადება შინაარსით ან მიზეზის გარემოებითა, ან პირობითი და შედეგობითი, სადაც თავისუფლად შევუნაცვლებთ რომელიმე მაქვემდებარებელ კავშირს. მაგალითად: „მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა: თეიმურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა“. შევუდართო ზემოთ თქმულს – „მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა, **რადგან/იმიტომ, რომ** თეიმურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა“; „ჩვენც მანდა ვართ და სწორედ მაგას ვებრძვით: აღარ გვინდა ფუქსავატები, მგლანგველები, ყოყოჩები, კუდაბზიკები და ამპარტავნები“ (ჯავ., გვ. 116) – ჩვენც მანდა ვართ და სწორედ მაგას ვებრძვით, **რადგან/იმიტომ, რომ** აღარ გვინდა ფუქსავატები, მგლანგველები, ყოყოჩები, კუდაბზიკები და ამპარტავნები. ასეთ შემთხვევებში დაქვემდებარება ნათელია.

საკითხი ასე არ დაისმის, რა თქმა უნდა, ისეთ შემთხვევებში, როცა მთავარს ორწერტილის შემდეგ დამატებითი დამოკი-

დებული წინადადება მოჰყვება: „ჯაყო ამბობდა: ზოგი მოიპარესო, ზოგიც ხელისუფლებამ წაიღო“ (ჯავ., გვ. 102); „ეუცხოვა: რად მონატვრიას ამ დედაკაცს მწირი ძონძები“ (გამს., გვ. 29); „არც ეს მოსწონდა: ყველაფერს იოლად აღწევენ და შრომის ფასი არ იციანო“ (ფანჯ., გვ. 242). ასეთ წინადადებებში დაქვემდებარებაც აშკარაა და მაქვემდებარებელი კავშირებიც აღდგება: ჯაყო ამბობდა, რომ ზოგი მოიპარესო, ზოგიც ხელისუფლებამ წაიღო; ეუცხოვა, თუ რად მონატვრიას ამ დედაკაცს მწირი ძონძები; არც ეს მოსწონდა, რომ ყველაფერს იოლად აღწევენ და შრომის ფასი არ იციანო.

ზემოთ დასახელებულ წინადადებებში გაჭირდება იმის თქმა, რომ ისინი თავიანთი სტრუქტურით რთული ქვეწყობილი წინადადებებია. აქ მნიშვნელოვანი ის კი არაა, მხოლოდ კავშირის აღდგენა რომ ვერ ხერხდება (როგორც უკვე ითქვა, მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების გარეგნული ნიშანია), არამედ ის, რომ დაქვემდებარება არ ჩანს წინადადებაში. ვფიქრობთ, რომ აქ ზუსტად ისეთი ვითარებაა, როგორც გვაქვს უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში, როცა ერთდროული მოვლენების აღწერა ან ჩამოთვლაა ხოლმე: „ასეთ ხუმრობასა და ოცნებაში მზეც ჩავიდა, ბინდმაც მოაღწია“ (ჯავ., გვ. 63); „გრილი ნიავი უბერავდა, ხეები სასიამოვნოდ შრიალებდნენ“ (ფანჯ., გვ. 37); „მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი“ (ასათ., გვ. 34); „გარეთ კი წელიწადის დრონი ერთმანეთს სცვლიდნენ, ხეები ყვაოდნენ, ნაყოფით იხუნძლებოდნენ, ჭკნებოდნენ და შიშვლდებოდნენ, ქარი თხელ ფოთლებს უთავბოლოდ დააქროლებდა“ (ჭილ., გვ. 446). დასახელებული რთული თანწყობილი წინადადებების მეორე ნაწილი სწორედ რომ პირველ წინადადებაში გადმოცემული აზრის დაზუსტება და გაგრძელებაა.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ წინადადებებში ვერც მაქვემდებარებელ კავშირს ჩავსვამთ და არც მთავარი და დამოკიდებული წინადადებები გამოიყოფა. როცა შედეგობითი ან პირობითი დამოკიდებული წინადადებები გვაქვს, იქ წინადადების სტრუქტურა ისეთია, რომ ცალ ცალკე წარმოგვიდგება ჰიპოტაქსის შემადგენელი ნაწილები: ქარმა, ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქ-

მედეს: ქალმა ვედარ გაძლო და გაყრუოლებულს ცახცახი დააწყებინა – ქარმა, ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს, რის გამოც ქალმა ვედარ გაძლო და გაყრუოლებულს ცახცახი დააწყებინა. რთული წინადადების პირველი ნაწილი მთავარია, მეორე კი – დამოკიდებული. მიწამ ყანა გაგიკეთოს, ნუ ჩამოეკიდები – თუ მიწამ ყანა გაგიკეთოს, ნუ ჩამოეკიდები. აქ პირველი ნაწილი წინადადებისა დამოკიდებულია, მეორე კი – მთავარი. შევადაროთ ამ თვალსაზრისით ჩვენს მაგალითებს – ვერ გამოვყოფთ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს. აქ ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორი წინადადებებია წარმოდგენილი, რომლებიც უკავშიროდ არიან შეერთებულნი.

ვფიქრობთ, რაკი დასახელებული სტრუქტურის წინადადებებში არ იგულისხმება მაქვემდებარებელი კავშირები და, შესაბამისად, არც დაქვემდებარებითი დაკავშირება (ან მიმართება) გვაქვს წინადადების კომპონენტებს შორის, ეს ტიპი უნდა მივაკუთვნოთ უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებათა რიგს, რომელშიც დასახელებული ერთდროული მოვლენების აღწერა თუ ჩამოთვლა, ან ახსნა-განმარტებაა გადმოცემული დამოუკიდებლად.

დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის საკითხები

ტრადიციულად დამოკიდებულ წინადადებას ახასიათებენ ადგილის (პოზიციის), კავშირისა და ფუნქციის მიხედვით. ვფიქრობთ, ამათგან ყველაზე მეტი სინტაქსური ძალა დამოკიდებული წინადადების ფუნქციას ენიჭება. ამასთან ერთად, ზოგადად, ყველა ტიპის წინადადების აქტუალიზებისათვის მნიშვნელობა აქვს ინტონაციასაც. სიტყვები, რომლებიც გარკვეულ შესიტყვებებს ქმნიან, ჯერ კიდევ არ არის წინადადება. „ისინი უფრო ჩონჩხია, რომლის ხორცმესხმა ეკისრება, ძირითადად, ინტონაციას, რომელიც აზრის დასრულებულობის თავისებური გამოხატვის საშუალებაა“ (დავითიანი 1973: 153). ინტონაცია ზეპირი მეტყველების დამახასიათებელი თვისებაა, თუმცა წერიტი მეტყველებისათვისაც აქვს მნიშვნელობა. იგი წერით მეტყველებაში პოტენციურად, მაგრამ მაინც მონაწილეობს: წინადადების წევრთა საკომუნიკაციო დატვირთვა, უწინარეს ყოვლისა, ინტონაციის საშუალებით განისაზღვრება, ხოლო წინადადებაში სიტყვები განლაგებულია მათი საკომუნიკაციო დატვირთვის მიხედვით. ინტონაცია არის არა აზრის ჩამოყალიბებისა და სხვისათვის შეტყობინების საშუალება, არამედ აზრის გამოხატვის მელოდიკური ფორმა, რომელიც ამა თუ იმ აზრს რაიმე ელფერს ანიჭებს (დავითიანი 1973: 154).

ინტონაციას სინტაქსური დაქვემდებარების გაფორმების ფუნქციაც აქვს. მისი საშუალებით შეიძლება სხვადასხვა გაბატონებულ წევრებთან „საზიარო“ ფორმის მქონე დაქვემდებარებული წევრის სინტაქსური ფუნქციის ფორმის მქონე დაქვემდებარებული წევრის სინტაქსური ფუნქციის დადგენა. ინტონაციის სტრუქტურულად გადიფერენცირებული როლი განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როცა დაქვემდებარებულ წევრს ან საერთოდ არ აქვს გრამატიკული ფორმები (ზმნიზედები, მათი ტოლფასი თანდებულებიანი თუ უთანდებულო სახელები), ან დაქვემდებარებული წევრი სხვადასხვა გაბატონებულ წევრთან საზიარო ფორმით არის წარმოდგენილი (დავითიანი 1973: 156).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ დამოკიდებული წინადადება ფუნქციის მიხედვით მრავალგვარია. მისი ფუნქციები იმთავითვე გათანაბრებული იყო წინადადებათა ფუნქციებთან -- დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, მისი გაფართოებული სახეა.

იმისდა მიხედვით, თუ წინადადების რამდენი წევრი არსებობს, შესაბამისად გამოიყო დამოკიდებული წინადადების სახეებიც: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატებითი), განსაზღვრებითი, გარემოებითი (მისი ყველა სახის მიხედვით), აგრეთვე შედეგობითი, პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები. ზოგჯერ ცალკე ჯგუფად გამოყოფენ შემასმენლურსა და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებსაც. მიიჩნევენ, რომ დამოკიდებული წინადადების სახელწოდებანიც უმეტეს შემთხვევაში წინადადების წევრთა სახელწოდებისაგან არის ნაწარმოები (კვაჭაძე 1996: 387-388): ქვემდებარე → ქვემდებარული, განსაზღვრება → განსაზღვრებითი... რაც შეეხება პირობით, შედეგობით და დათმობით დამოკიდებულ წინადადებებს, მათ არ ეძებნებათ პირდაპირი სახელწოდება, როგორც ჩანს, მოქმედების შინაარსის მიხედვითაა შერჩეული. მაგალითად, პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გარკვეულ პირობაზე, მის შესრულებასა თუ რაიმე ვარაუდზეა გამახვილებული ყურადღება, შედეგობით დამოკიდებულ წინადადებაში კი მოქმედების გარკვეულ შედეგზეა საუბარი და ა. შ. ნარევი კლასიფიკაცია წევრის ფუნქციას არ ასრულებს.

დამოკიდებულ წინადადებათა უმრავლესობა ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს. კითხვა დაესმის მთავარ წინადადებას, პასუხს კი დამოკიდებული წინადადება იძლევა. დამოკიდებული წინადადების კითხვა იგივეა, რაც მისი შესაბამისი წევრისა. მაგალითად, ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარის კითხვებზე მიუგებს, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრების კითხვებზე და ა. შ. მიიჩნევენ, რომ ეს დამოკიდებული წინადადების დაქვემდებარების შინაგანი თვისებაა (კვაჭაძე 1996: 388).

როგორც აღინიშნა, დამოკიდებული წინადადება აზრის უფრო ზუსტად და ნათლად გამოხატვის საშუალებაა, ვიდრე წი-

ნადადების წევრი. კლასიფიკაცია წევრთა ფუნქციის მიხედვით, რა თქმა უნდა, სრულად ვერ გვიჩვენებს იმ ნაირგვარ აზრობრივ მიმართებას, რაც რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტებს შორის მყარდება როგორც კავშირითა და საკავშირებელი სიტყვებით, ასევე რთული წინადადების ზმნა-შემასმენლთა ურთიერთშეფარდებითა და დამხმარე ლექსიკური საშუალებების გამოყენებით (ფეიქრიშვილი 1997: 251).

აღნიშნულია ისიც, რომ დამოკიდებული წინადადების ფუნქციის გასარკვევად ხშირად საიმედო არაა კითხვის დასმის ხერხი. ხანდახან დამოკიდებული წინადადების ზოგიერთ სახეს არ დაესმის კითხვა, ან კითხვის დასმა ხელოვნურია, ზოგჯერ კი ერთსა და იმავე კითხვაზე სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებაც მოგვიგებს. ეს ენობრივი შეუსაბამობა განსაკუთრებით შედეგობით და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებაებში გვხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის თაობაზე. მაგალითად, ტრადიციული შეხედულებით, ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, თუ მთავარ წინადადებაში 1. ქვემდებარე სრულებით არ მოიპოვება, 2. ან მოიპოვება, მაგრამ გამოხატულია ნაცვალსახელით. მთავარი წინადადება ნაკლულია სინტაქსურად და სემანტიკურად (სახელის ნაცვალი გვაქვს, მაგრამ კონკრეტულად არ აქვს). ასეთ შემთხვევაში ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ქვემდებარეს. მაგალითად: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია; ვისაც ეძინება, დაიძინოს და სხვ. თუმცა ასეთი ტიპის ქვეწყობილი წინადადება „ამხანაგი, რომელმაც წიგნი მაჩუქა, ამჟამად აქ არ არის“ მიიჩნევა განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად. ფ. ერთელიშვილი აღნიშნავს, რომ ასეთი კლასიფიკაცია არათანმიმდევრულია. დასახელებულ მაგალითში **ამხანაგი** მთავარი წინადადების ქვემდებარეა, ხოლო დამოკიდებული წინადადებით ზუსტდება, ისაზღვრება მთავარი წინადადების ქვემდებარე. მაგრამ, რაკი ნაცვალსახელით არაა გამოხატული ქვემდებარე, ამიტომ არ მიიჩნევა ქვემდებარულად, რაც, მკვლევრის აზრით, არამართებულია და კლასიფიკაცია არათან-

მიმდევრულია (ერთელიშვილი 1962: 230). განსხვავებული აზრისაა ავტორი დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემთხვევაშიც. მისი შეხედულებით, დამატებით დამოკიდებულ წინადადებად მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ წყობა, თუ მას მთავარი წინადადების შემასმენლის მიმართ მართლაც დამატების გაგება ექნებოდა. რაც შეეხება **რასაც დასთეს, იმას მოიმეო** ტიპის წინადადებას, ფ. ერთელიშვილის აზრით, ამ ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებული ნაწილი არაა დამატებითი, რადგან მთავარს თავისი დამატება აქვს (**იმას**), ხოლო დამოკიდებულს -- თავისი (**რასაც**). ნაცვალსახელები ენაცვლება ერთმანეთს. თუ ავიღებთ ისეთი ტიპის წინადადებას, როგორიცაა „მე შევნიშნე, რომ ამ წამოწყევამ ძალიან შეაწუხა“, აქ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების დამატებას კი არ განსაზღვრავს, არამედ ამ დამატების ნაცვლობას ეწევა მთელი წინადადების სახით. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამიტომ არ შეიძლება დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების შემასმენლის მიმართ დამატების ნაცვლობასაც ეწეოდეს და იმავდროულად ამ შემასმენლის ნაგულისხმევი პირის (შევნიშნე ის) – დამატებით განსაზღვრულად მოგვევლინოს (ერთელიშვილი 1962: 232-233).

მაშასადამე, მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველ ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება:

1. ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარე (ესაა ქვემდებარული წინადადება).

2. არსებითი სახელი, საწყისი (ესაა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება) ან დამოკიდებული წინადადება ნაცვალსახელით გამოხატული რომელიმე დამატების გაგებას შეიცავს, ე. ი., იგი ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ერთ-ერთ დამატებას (ასეთ შემთხვევაში დამატებით დამოკიდებულ წინადადებასთან გვაქვს საქმე).

ფ. ერთელიშვილი გვთავაზობს ასეთ კლასიფიკაციას:

ყველა სახის დამოკიდებული წინადადება, რომელიც კი მიმართებით ნაცვალსახელებს შეიცავს (+ რომ კავშირიანი განსაზღვრებითი ახალ ქართულში) განსაზღვრებითია (ერთელიშვილი 1962: 235).

ასეთი კვალიფიკაციისას ნაცვალსახელიც მისამართ სიტყვა-

თა რიგშია მოქცეული (სინტაქსური კვალიფიკაციის გარეშე).

მაშასადამე, ფაქტობრივ, აღნიშნული კვალიფიკაციის მიხედვით არ გვექნება ქვემდებარული, დამატებითი დამოკიდებული წინადადებები, დარჩება მხოლოდ განსაზღვრებითი, გარემოებითი, მთავრის მიმართ დამოკიდებული, პირობითი და დამობითი წინადადებები.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციას, შეუსაბამობაა. მივყვეთ ანალიზს. რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ წინადადებაში თუ ქვემდებარეა და დამოკიდებული მას აზუსტებს, ეს ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებაა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ქვემდებარე ნაცვალსახელით უნდა იყოს წარმოდგენილი, ხოლო თუ მთავარ წინადადებაში ქვემდებარე არსებითი სახელით ან საწყისითაა გამოხატული და დამოკიდებული წინადადება მას საზღვრავს და განმარტავს, მაშინ ის დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა:

„მოსდა ის, რასაც უკვე არავინ აღარ ელოდა“ (ქილ, გვ. 503); „აბა ის რა კაცია, ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს“ (ლეონ., გვ. 243); „კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა“ (ლეონ., გვ. 41); ვინც თავის მიწა წყალს არ მოჰშორებია, ეგ იმას ვერ უცვნია“ (ილია, გვ. 178); „ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა, დაიღუპა“ (აკაკი, გვ. 321); „ცოდვია ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ., გვ. 58).

შევადაროთ:

„მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე“ (გამს., გვ. 278); „ფარნაოხს ეცოდებოდა მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ (ქილ., გვ. 338); „ქვეყანაზე არ დაბადებულა ჯერ ისეთი ქალი, რომელიც იყოს ისეთი კაპრიზიანი, როგორიც არის ავტომობილის მანქანა“ („რობ., გვ. 29); „რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მალა აყენებს?“ (აკაკი, გვ. 321); „მაგრამ რა ძლიერი უნდა იყოს ის ქურუმა, რომელიც ნორჩ მკერდს აპობს და გასის-

ხლიანებული გული ამოაქვს“ (რობ., გვ. 51); „ოთახში შემოვიდა ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ ყმაწვილის სახე შერჩენოდა“ (ყაზბ., გვ. 102).

პირველ შემთხვევაში დასახელებული წინადადებები ქვემდებარული დამოკიდებულია, ხოლო მეორე რიგში წარმოდგენილი – განსაზღვრებითი დამოკიდებული.

ვფიქრობთ, ტრადიციული კლასიფიკაცია მართებულია. ცნობილია, რომ ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს ქვემდებარის როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან ან კონკრეტული შინაარსით ავსებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის ზოგად მნიშვნელობას. დასახელებულ წინადადებაში მთავარი წინადადების ქვემდებარე ზუსტდება კონკრეტული შინაარსით. გარდა ამისა, აქ, ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებისაგან განსხვავებით, კონკრეტული სრულმნიშვნელოვანი სახელი გვაქვს. მაგალითად, წინადადებაში – „აბა ის რა კაცია, ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს“ – ქვემდებარეა **ის**, რომელიც ზუსტდება დამოკიდებული წინადადებით, რომელშიც ასევე ჩანს ქვემდებარე **ვინც** (აქ ზუსტდება ქვემდებარე – **ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს**); ან კიდევ, „კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა“ – დამოკიდებულში ზუსტდება **ის**, **ვინც** ქვაფენილი გამოიგონა. ხოლო როცა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, დამოკიდებული წინადადება რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ან განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ წევრს, ან გადმოგვცემს ასეთ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებულ მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარსს. წინადადებაში „მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე“ პირდაპირ დამატებას (ფერები) განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადების წევრი **რომელთა**, ან კიდევ: „ის სტუდენტი დახრიდა თავს, რომელსაც თამაზი მიაჩერდებოდა“ – აქ **თავს** (პირდაპირი დამატება) ისაზღვრება დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირით **რომელსაც**.

ცხადია, რომ იმიჯნება ქვემდებარული დამოკიდებული

წინადადება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებისა-
გან: ქვემდებარულ ქვეწყობილ წინადადებაში კონკრეტდება ქვე-
მდებარე, ხოლო განსაზღვრებითში განისაზღვრება მთავარი წი-
ნადადების ერთ-ერთი წევრი (შეიძლება განისაზღვროს ქვემდე-
ბარე და ყველა ტიპის დამატებაც). როგორც უკვე აღვნიშნეთ,
არათანმიმდევრულობის ნიშნულად მოყვანილია ასეთი წინადადე-
ბა: ამხანაგი, რომელმაც წიგნი მაჩუქა, ამჟამად აქ არის. რასაკვირ-
ველია, აქ ისაზღვრება **ქვემდებარე** (ამხანაგი), რომელიც კონკრე-
ტული არსებითი სახელია, მაგრამ ის კი არ ზუსტდება, არამედ
ისაზღვრება -- ამხანაგი -- **რომელიც**. კითხვაც ხომ შესაბამისად
განსაზღვრებისა დაესმის -- რომელი? რომელი ამხანაგი? ამიტო-
მა ის განსაზღვრებითი და არა ქვემდებარული. რაც შეეხება „ვინ
მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ ტიპის წინადადებას,
ქვემდებარე კონკრეტდება და ზუსტდება (და არა -- ისაზღვრება).
გარდა ამისა, კითხვები დაესმით დაკონკრეტებისა თუ განსა-
ზღვრების შესაბამისად. თუ ქვემდებარულია წინადადება, მაშინ
კითხვა დამოკიდებულს დაესმის ვინ? რა? ვის? რამ? რას? ხოლო
განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას დაესმის როგორი?
რომელი? რანაირი? რამდენი? ამიტომ ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია -- ტიპის წინადადებები ქვემდებარულია და
არა განსაზღვრებითი. მაშასადამე, ძირითადად ამოსავალია არა
მხოლოდ ის, თუ მთავარი წინადადების რა წევრს აზუსტებს და-
მოკიდებული წინადადება, არამედ ისიც, თუ დამოკიდებული
წინადადება რა როლს ასრულებს მთავარი წინადადების შემასმე-
ნელთან. აქედან გამომდინარეა დამოკიდებული წინადადების
კლასიფიკაციის სახეც.

რაც შეეხება დამატებითი დამოკიდებული წინადადების
ტიპებს, მიიჩნევა, რომ დამატებითია დამოკიდებული წინადა-
დება, რომელიც ასრულებს დამატების როლს მთავრის რომელი-
მე წევრთან (ჩვეულებრივ შემასმენელთან) ან ხსნის და აზუსტებს
მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელით გადმო-
ცემული დამატების მნიშვნელობას. ფ. ერთელიშვილის თვალ-
საზრისით, როგორც ზემოთ მივუთითეთ, **რასაც დასთეს, იმას
მოიმკი** ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკი-

დებულის ნაწილის დამატებით დამოკიდებულ წინადადებად მიჩნევა გაჭირდება, რადგან მთავარ წინადადებას თავისი დამატება აქვს (იმას), დამოკიდებულს კი — თავისი (რასაც). ვფიქრობთ, დასახელებული არგუმენტი ვერ გამოდგება საიმისოდ, რომ მსგავსი წინადადება არ მივიჩნიოთ დამატებით დამოკიდებულად. ასეთ შემთხვევაში ხომ ერთი და იგივე დამატება გვაქვს: **რასაც — იმას**. აქ იგულისხმება ის, რომ მთავარი წინადადების პირდაპირი დამატება **იმას** შინაარსობრივად ისაა, რაც დამოკიდებულ წინადადებაში გვაქვს. წევრი იგივეა, სინტაქსურად და შინაარსობრივად (საგნობრივად) იგივეა. შდრ. ვინც მოიყვანა, **იმან** წაიყვანოს. ცხადია, რომ მთავარი წინადადების დამატება ისაზღვრება და ზუსტდება დამოკიდებული წინადადებით. ან კიდევ: „მე ვარ ლევან ხიდაშელი და ვთქვი ის, რაც ვიგრძენი“ (ფანჯ., გვ. 273) — ვთქვი **ის — რაც**. აქაც ერთი და იგივე დამატება გვაქვს. თუმცა ასეთი ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილს — „არც ვანს სჯეროდა, ზღვა თუ მიატოვებდა“ (ჭილ., გვ. 10) მიიჩნევს დამატებით დამოკიდებულად, რადგან დამოკიდებულ წინადადებაში კონკრეტდება მთავარი წინადადების დამატება — სჯეროდა **ის** (ზღვა თუ მიატოვებდა). ზემოთ დასახელებულ წინადადებებსა და ამგვარი ტიპის მაგალითებში ერთგვარი ვითარება გვაქვს. მხოლოდ ისაა სხვაობა, რომ პირველ შემთხვევაში სინტაქსურად გამოხატული დამატება გაქვს, ხოლო მეორე შემთხვევაში აზრობრივად იგულისხმება დამატება. ხშირია ისეთი ქვეწყობილი წინადადებები, რომლებშიც არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება რომელიმე მისათითებელი სიტყვა ან წევრი. მაგალითად:

„როდესაც წყალი კუკარაჩას მკერდზე მისწვდა, [მაშინ] შევბით ამოვისუნთქეთ“ (დუმბ., გვ. 42); „ვისაც რამე ჰქონდა სარჩელ-საჩივარი ან არზა სათხოვარი, [მან] პირადად მიართვა“ (გოთ., გვ. 35); „ვისაც შენი დალუპვა უნდა, [ის] ჯერ მე მომიღებს ბოლოს“ (ჭილ., გვ. 215); „ვინ უთხრა, [ეს] დღესაც არ ვიცი“; „[ისე] ეზარებოდა, როგორც ნათბილარს ლოგინის მერე გასვლა ბნელ ქარიშხლიან ღამეში“ (ლეონ., გვ. 57); „თუ ფილმის ეფექტურად დადგმა მოხერხდა, [მაშინ] მიზანი მიღწეული იქნება“ (რობ., გვ.

9); „მე ვიცი [ის], ვინც ბრძანდებით“ (აკაკი, გვ. 312).

მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში ხომ ვერ ვიტყვით, რომ არ იგულისხმება შესაბამისი (აღდგენილი) მისათითებელი სიტყვა თუ წევრი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზმნათა გარკვეულ ჯგუფებში ვერბალური სემანტიკის ერთგვარობა სათანადოდ აისახება სინტაქსშიც. ჩვეულებრივ, გამოიკვეთება ტენდენცია, რომ ერთნაირ სემანტიკურ ზმნებს სინტაქსიც ერთნაირი ჰქონდეთ. ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან „მეტყველების სემანტიკის“ აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც ძირითადად გარდამავალნი არიან. ასეთი კონსტრუქციები უფრო ხშირად ნაკლული სახით გვხვდებიან. შესიტყვებაში შეიძლება გვაკლდეს: 1. სახელური წევრები (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება); 2. ზმნა-შემასმენელი (სუხიშვილი 1999: 73).

უზმნო წინადადებები ხშირად გამოიყენება სასაუბრო ენაში, გავრცელებულია სხვათა სიტყვის შემცველ ანდაზებში: მე ღლია კვდებოდა და – საქათმეში დამმარხეთო. პრედიკატის გამოტოვების შემთხვევაში შეიძლება მთელი წინადადება ამოვარდეს. ასეთი შემთხვევები დასტურდება პოლიპრედიკატულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში: „სოფლის გზირისთვის რომ გეკითხათ, გიპასუხებდათ, რომ“ ოთარაანთ ქვრივის კარმიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად“; „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“... (სუხიშვილი 1999: 75).

ოდენქვემდებარიანი წინადადებები საკმაოდ ხშირია სასაუბრო ენის პოლიპრედიკატულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში: „ჩაიზე და ყავაზე დაგპატიჟებო, სანდალამ“; „ჩვენ ხომ გზაში ვერ დავლევდით, დედი, შალიკომა და ამირანამ, აბა გაშალეო“... ეს შემთხვევები დასტურდება სხვა ქართველურ ენებშიც.

ჩვეულებრივ, წინადადებას, რომელშიც გამოტოვებულია წინადადების წევრები, არასრულ, ელიფსურ წინადადებებს უწოდებენ, გამოტოვებულ, რედუცირებულ წევრებს კი ნულოვან კომპონენტებს ეძახიან. ნულოვან კომპონენტებს აქვთ დიფერენციალური სინტაქსური ნიშნები, მაგრამ აკლიათ ფორმალური, გარეგანი გამოხატულება. ქვემდებარის გამოტოვების შემთხვევა

ში ზმნის კვალიფიკაცია არ იცვლება (არ ვარქმევთ უქვემდებარო წინადადებას). გრამატიკული კვალიფიკაცია არ იცვლება ზმნისა, რადგან ქვემდებარის სინტაქსური ადგილი იგივე რჩება. ასევეა პირდაპირი დამატებისა და ზმნა-შემასმენლის გამოტოვების დროსაც (სუხიშვილი 1999: 77-78).

უახლოესი ობიექტის ფარდად ზოგჯერ გვევლინება დამოკიდებული წინადადება. როდესაც მთავარ წინადადებაში შემასმენელი ორპირიანი გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული, რომელსაც აკლია პირდაპირი დამატება, ნაკლული პირდაპირი დამატების მაგივრობას აქ ასრულებს დამოკიდებული წინადადება: „ყველამ დაიფიცა, რომ ამ ბრძოლაში თავი არავინ შეიშურვოს“; „კაცი იფიქრებდა, რომ ის სადმე ან ვინმესთან წასულიყო“; „ბოლოს იმდენი იძალდა, რომ დოკუმენტებში იობ, იგივე იუდა და იროდე ჩააწერინა“ (სუხიშვილი 1986: 71-72). გაუჩინარების მიზეზი, მკვლევრის აზრით, სხვადასხვაგვარია და გარკვეული სემანტიკის ზმნებს მოიცავს, ძირითადად ნასახელარ ზმნებს. მსგავსი მოვლენა ძველ ქართულშიც დასტურდება.

კლასიფიკაციის თვალსაზრისით, ფ. ერთელიშვილი მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილს მიიჩნევს დამატებით დამოკიდებულ წინადადებად იმის გამო, რომ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების დამატებას კი არ განსაზღვრავს (არც სინტაქსურად გამოხატული პირდაპირი დამატება მოეპოვება), არამედ ამ დამატების ნაცვლობას ეწევა მთელი წინადადების სახით (ერთელიშვილი 1962: 233). შემდგომ მსჯელობაში კი გამიჯნულია ყველა სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებათაგან, რადგან მთელი კონსტრუქცია სპეციფიკურია – ამ შემთხვევაში გვაქვს ე. წ. „ცნობიერება წრის“ ზმნა შემასმენლები. აღნიშნულია, რომ ასეთი წყობის წინადადებებში მისამართი სიტყვა ჩვეულებრივ არ არის ხოლომე, მაგრამ რომც აღდგეს, იგი მისამართი სიტყვის დანიშნულებას მაინც ვერ შეასრულებს. დამოკიდებული წინადადება მთლიანად ეწევა შინაარსობრივ ნაცვლობას (გავრცობილი სახით) იმ სიტყვისას, რომელიც სხვა შემთხვევაში შემასმენლის დამატება შეიძლება ყოფილიყო.

ცხადია, რომ სპეციფიკურია ამ ტიპის ქვეწყობის სიტყვათა შეკავშირების საკითხი. ერთი შეხედვით, ის ჰგავს მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებას, რადგან დამოკიდებული წინადადებით გამოიხატება გარკვეული შინაარსი, შენიშვნა თუ სათქმელი (როგორც ეს გვაქვს მთავრის მიმართ დამოკიდებული ტიპის წინადადებაში). მაგრამ ასეთი წყობისას გამოიხატება ხოლმე დამოკიდებული წინადადებით მთქმელის დასკვნა თუ რაიმე სახის შენიშვნა იმის შესახებ, რაც მთავარშია გადმოცემული (კვაჭაძე 1996: 456). თუ გავაანალიზებთ ზემოთ დასახელებული წინადადების სტრუქტურას, ვნახავთ, რომ მსგავსი ვითარება არ გვაქვს: მე შევნიშნე [ის], რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა - მთავარ წინადადებაში ნაგულისხმევი **პირდაპირი დამატება (ის)** დაკონკრეტებულია მთლიანი დამოკიდებული წინადადებით და არა ერთი სიტყვით (როგორც ეს გვაქვს **რასაც დასთეს, იმას მოიმკი** ტიპის წინადადებაში). არც ისეთია წყობა და შინაარსი, როგორც მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებაში -- აქ ხომ მთავარი წინადადების რომელიმე წევრს არ მიემართება დამოკიდებული წინადადება, არამედ ზოგადი ინფორმაციის შესვლას წარმოადგენს. მაგალითად:

„მე სატევარს მაინც არ დავტოვებ, სულ რომ საყვედურებით ამავსოთ!“ (გოთ., გვ. 383); „ღვინოც ერთად გადაეკრათ იქაურ ღუქანში, რაც მუდამ საამაყოდ ჰქონდა“ (ლეონ., გვ. 90); „ბარემ ხუთი წელიწადიც იქნება, რაც მარგოს არ უნახავს შენი თავი“ (ჯავ., გვ. 11); „მაშინვე მოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე“ (აკაკი, გვ. 72).

მთავარი სხვაობა ისაა, რომ პირველ შემთხვევაში (შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა) პირდაპირი დამატება ზუსტდება, ისაზღვრება და ის მაინც დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა. სხვა მოყვანილ მაგალითებში კი რომელიმე წევრი კი არ ზუსტდება, არამედ მთავარი წინადადება ივსება დამატებითი შინაარსით და ასე კონკრეტდება. აქ პირდაპირი დამატება საგანზე კი არა, მოქმედებაზე მიგვითითებს. სხვაობა ნათელია.

არაერთგზის აღინიშნა, რომ გარდა რომელიმე წევრის მი-

ხედვით განსაზღვრული დამოკიდებული წინადადებისა, გამოყოფენ პირობით, დათმობით, შედეგობით და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებს. ამათგან შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს იმ პირობას, რომელზედაც არის დამოკიდებული მთავარ წინადადებაში ნათქვამი - გამჟღავნებული პირობის შესრულება.

ასეთ წინადადებებში განიხილება ისეთი რთული კონსტრუქციები, რომელთა კომპონენტების მიმართება რამდენადმე განსხვავებულია (მხოლოდ შინაარსობრივად უკავშირდება დამოკიდებული წინადადება მთავარს), თუმცა დამოკიდებული წინადადება მთავართან პირობითობის თუ კავშირით არის შეერთებული: 1. თუ აერთებს კითხვითისტიყვიან კითხვით წინადადებასთან მეორე წინადადებას, რომელიც დასმულ კითხვაზე იძლევა პასუხს: 2. მთავარი წინადადება მტკიცების მიხედვით უკუთქმითია და თუ კავშირით მას უერთდება აგრეთვე უკუთქმითი დამოკიდებული, რომელიც მთელ კონსტრუქციას დადებით შინაარსს სძენს. მიჩნეულია, რომ ასეთი დამოკიდებული წინადადება კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც წარმოთქმით და დასტურებითი პირობითი პირობით-შედეგობითისაგან გასამიჯნავად (კვანტალიანი 1985: 101-103). ხოლო დათმობითია დამოკიდებული წინადადება, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი (კვაჭაძე 1996: 442-456).

უ. ყორღანაშვილი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა, რომელშიდაც მიზეზის გამომხატველი წინადადება არის დამოკიდებული, ხოლო შედეგის გამომხატველი - მთავარი. კავშირებად გამოყოფილი აქვს ასე რომ, რის გამოც და მსგავსი კორელატები (ყორღანაშვილი 1985: 36-40). თუმცა ავტორი მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადება, ისე როგორც შედეგობითი დამოკიდებული, არ არსებობს. ე. წ. მთავრის მიმართ დამოკიდებულნი წინადადებაში გვაქვს მთავარი და ჩვეულებრივი სახის (ქვემდებარული, დამატებითი) დამოკიდებული წინადადებები იმ

სხვაობით, რომ მთავრის მიმართ დამოკიდებულად მიჩნეული წინადადება არის მთავარი, ხოლო მთავრად მიჩნეული – დამოკიდებული (ყორღანაშვილი 1987).

დათმობითი დამოკიდებული წინადადების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი **დათმობითი** არაა მისაღები სათანადო კონსტრუქციის წინადადებისათვის (ძიძიგური 1989: 127). მაგალითად: „ცვლა შეიცვალა, თუმცა ზურაბ მინდელი და ჯუმბერ მგელაძე ისევ ფეხმოუცვლელად იდგნენ საკერძოზე“ (ფანჯ., გვ. 284); „მშვიდად ამობდა პლატონი, თუმცა გულში საშინელი ბოღმა ჰქონდა დაგუბებული“ (ფანჯ., გვ. 389); „ნავსადგურში ძველებურად შემოდოდნენ ხომალდები, თუმცა წყალი აღარ ჩანდა“ (ჭილ., გვ. 283); „იქ მიწური სოფელი ჩანდა, თუმცა ადამიანის ჭაჭანება არსად იყო“ (გოთ., გვ. 163).

შ. ძიძიგურის თვალსაზრისით, ასეთი ტიპის წინადადებებს უმჯობესია თუ **გამორიცხვით** წინადადებებს დავარქმევთ, რადგან სათანადო კონსტრუქციის ნიშანდობლივი თავისებურება არის **გამორიცხულობა**, სწორედ გამორიცხულობაა ამ ტიპის წინადადების სემანტიკური ბუნება და არა დათმობა (ძიძიგური 1989: 127-128). შესაბამისად, მკვლევარი ამის პარალელურად იყენებს ტერმინს **გამორიცხვითი კავშირები** და არა დათმობითი კავშირები. ვფიქრობთ, ტერმინი **გამორიცხვითი**, მართლაც, უფრო მიესადაგება აღნიშნული ტიპის დამოკიდებულ წინადადებებს, ვიდრე დათმობითი. ამ საკითხის შესახებ მსჯელობა იხ. ზემოთ.

ქვემდებარულ, დამატებით, განსაზღვრებით თუ გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებთან შედარებით პირობით, დათმობით და შედეგობით დამოკიდებულ წინადადებებში არა ერთგვაროვანი ვითარება გვაქვს.

ტრადიციულად სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობა დამოკიდებული წინადადების შიგნითაც არსებობს. ეს არის სინტაქსურად ორგანიზებული მთლიანობა, რომელიც უკავშირდება მთავარი წინადადების რომელიმე წევრს და ამით სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი ქვეწყობის ფარგლებში დაცულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წინადადებათა ქვეწყობაში მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის კავშირი წყვილებზე დაიყვანება (მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვაზე). ამ წყვილის ცალკებს შორის სპეციალური კავშირი სინტაქსურიც არის და ქვეწყობილ წინადადებაში სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის ამსახველიც (ერთელიშვილი 1962: 238).

როცა გამოყოფენ ქვემდებარულ, დამატებით, განსაზღვრებით თუ გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს, საკლასიფიკაციო ნიშანი ერთია – დამოკიდებული წინადადება აზუსტებს და საზღვრავს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს (იქნება ეს ქვემდებარე, რომელიმე დამატება, განსაზღვრება თუ გარემოება). მაშასადამე, საკლასიფიკაციო ნიშანი **ფუნქციურია** -- რომელ წევრსაც მიემართება დამოკიდებული წინადადება, მას აზუსტებს, აკონკრეტებს. პირობით, დათმობით და შედეგობით წინადადებებში კი ფორმალური (აზრობრივი) დაქვემდებარება გვაქვს, მხოლოდ შინაარსობრივად ავსებს და აზუსტებს კავშირების საშუალებით (თუ, თუმცა) მთავარს დამოკიდებული წინადადება: მშვიდად ამბობდა პლატონი, თუმცა გულში საშინელი ბოღმა ჰქონდა დაგუბებული -- აქ მთლიანად მთავარ წინადადებას (მშვიდად ამბობდა პლატონი) აზუსტებს და საზღვრავს დამოკიდებული (თუმცა გულში საშინელი ბოღმა ჰქონდა დაგუბებული). ასეა ნებისმიერ პირობით, დათმობით თუ შედეგობით დამოკიდებულ წინადადებაში. სხვაობა მათ შორის ნიუანსობრივია: პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გარკვეული პირობის წაყენება და შესრულება ზუსტდება, შედეგობით წინადადებაში შედეგი, დათმობით წინადადებაში კი -- ერთი ქმედებიდან გამომდინარე გამომრიცხავი სხვა მოქმედება. ჩამოთვლილი ფაქტორები არ არის სინტაქსური ძალისა. ამ შემთხვევაში მხოლოდ სემანტიკურ დაკავშირებაზე შეიძლება ვისაუბროთ, ოღონდ მთავარი წინადადების დაკავშირება (დაქვემდებარება) დამოკიდებულ წინადადებასთან სინტაქსურია -- ჩვეულებისამებრ, გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები, წევრ კავშირები, ზოგჯერ დაქვემდებარება უკავშიროა. როცა დამოკიდებული წინადადება

საზღვრავს და განმარტავს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს, მაშინ დამოკიდებული წინადადება იმავე სახისაა, რაც გამოიხატება კიდევ სინტაქსურად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ ქვემდებარეს მიემართება დამოკიდებული წინადადება, მაშინ სწორედ ქვემდებარეა განსაზღვრული მასში. დამოკიდებულ წინადადებაში ის სინტაქსურადაც აისახება და აზრობრივადაც. ასეთივე ვითარება გვაქვს დამატებით, განსაზღვრებით თუ გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ პირობითი, შედეგობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები ცალკე ტიპად არ უნდა გამოიყოს. ისინი არ არიან სინტაქსურად ტოლძალოვანნი ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებისა, განსხვავდებიან სინტაქსურ წევრთა ფუნქციური კლასიფიკაციის მიხედვით. ასეთი სტრუქტურის წინადადებები ერთიანდებიან მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებში. აქაც დამოკიდებული წინადადება საზღვრავს და აზუსტებს მთავარ წინადადებას – ამ შემთხვევაში მხოლოდ აზრობრივად.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, კლასიფიკაცია მთავრის მიმართ დამოკიდებული პირობითია (იგი პირველად ა. შანიძემ შეიტანა სასკოლო სახელმძღვანელოში), მაინც ვფიქრობთ, რომ ეს დაქვემდებარების ზოგადი კლასიფიკაციაა და სწორედ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს გულისხმობს. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, მისი გაფართოებული სახეა. სწორედ ამიტომ ის არაა იმ სინტაქსური კლასიფიკაციის მსგავსი, რაც ქვემდებარულ და სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებთან გვაქვს.

ცალკე ტიპად გამოყოფენ შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებას. მასში დამოკიდებული წინადადება ახლავს მთავარი წინადადების შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელადი ნაწილიც ჩვენებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული და მოითხოვს ახსნა დაზუსტებას (კვაჭაძე 1996: 419). მიიჩნევენ, რომ რთული ქვეწყობილი წინადადებისათვის შემასმენლური დამო-

კიდებული წინადადება ისეთივე დამახასიათებელი მოვლენაა, როგორც ქვემდებარული და დამატებითი დამოკიდებული წინადადებები. ამის არგუმენტად მოყვანილია ის, რომ ასეთი წინადადების მარტივ წინადადებად გადაკეთებისას დამოკიდებული წინადადების შემასმენელი სახელზმნად გადაიქცევა და დაიკავებს მთავარი წინადადების შედგენილი შემასმენლის ჩვენებითი ნაცვალსახელის ადგილს. ის მეშველ ზმნასთან (ვარ, ხარ, არის...) ერთად მოგვცემს მარტივი წინადადების შემასმენელს. მისი კითხვებია: **ვინ არის? რა არის? როგორია? რომელია?** იგი მთავარს უერთდება მაქვემდებარებელი **რომ** კავშირითა და **ვინც, რაც, როგორიც, რომელიც** მიმართებითი ნაცვალსახელებით. ამავე ფუნქციისაა **როგორც, სადაც** ზმნიზედები (ბასილაია 1956).

ჟ. ფეიქრიშვილი აღნიშნავს, რომ „მართალია, შემასმენლური დამოკიდებული წინადადება მოხმარების სიხშირით ვერ გაუტოლდება ზოგ სხვა დამოკიდებულს, მაგრამ მისი არსებობა თანამედროვე ქართულში მაინც რეალური ფაქტია და იგი უნდა განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი ერთეული სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი“ (ფეიქრიშვილი 1996: 274-275).

საინტერესოა ლ. კვაჭაძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ შემასმენლური დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შეკუმშული სახეა. თუ აღვადგენთ სავარაუდო საზღვრულ სახელს, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითად გადაიქცევა (კვაჭაძე 1996: 420).

ჩვენ არ გამოვყოფთ ცალკე შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებას. ვვარაუდობთ, რომ ეს ტიპი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა გაერთიანდეს: „ახლა კი, კეთილი ინებე და ამიტანე ისეთი, როგორიცა ვარ“ (ფანჯ., გვ. 388); „მე იმისთანა ოსტატს გიშოვნი, რომ უფულოდ გასწავლოს“ (ილია, გვ. 146); „ყოველგვარი სათამაშოც ისეთია, რომელიც ჭკუა გონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარჯიშებს“ (აკაკი, გვ. 38); „დღეს, რომ არ დამიმსახურებია, მისთანა პატივისცემაში და სიყვარულში ვარ საქართველოში“ (აკაკი, გვ. 448); „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“ (აკაკი, გვ. 37); „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ

კიტრად ბერად“ (ვეფხ., გვ. 103).

ვინ? რა? $\left\{ \begin{array}{l} \text{იგი ვარ} \cdot \rightarrow (\text{ვინ}) \text{ ამოკრეკვს} \\ \text{ის აღარ ვარ} \rightarrow (\text{რაც}) \text{ ვიყავი} \end{array} \right.$

ზოგ შემთხვევაში კი ასეთი ტიპის წინადადებაში დამოკიდებულს დაესმის კითხვა **როგორი?** გარდა იმისა, რომ ეს კითხვა (**როგორი?**) განსაზღვრებისაა, აქაც სწორედ ამ ფუნქციით გამოიყენება - განსაზღვრავს გარკვეულ წევრს, რაც დამახასიათებელი სინტაქსური ნიშანია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისათვის:

როგორი? $\left\{ \begin{array}{l} \text{იმისთანა ოსტატი} \rightarrow (\text{რომელიც}) \text{ უფულოდ} \\ \text{გასწავლის} \\ \text{ისეთი სათამაშო} \cdot \rightarrow (\text{რომელიც}) \text{ სწვრთნის,} \\ \text{ავარჯიშებს} \\ \text{მისთანა პატივისცემაში} \rightarrow (\text{რომელიც}) \text{ დღეს არ} \\ \text{დამიმსახურებია} \end{array} \right.$

დამოკიდებულ წინადადებათა სახეები (ზოგადი მიმოხილვა)

1. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს ქვემდებარის როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან ან კონკრეტული შინაარსით ავსებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის ზოგად მნიშვნელობას (კვაჭაძე 1996: 397). მაშასადამე, ის ხსნის, აზუსტებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმევ ქვემდებარეს. ამგვარი წინადადების მოდელში ქვემდებარე არ ჩანს ან გამოხატულია ნაცვალსახელით (კიზირია 1969: 36):

„**ვინც მუშაობს**, იმას არც კუდაბზიკობისთვის სცალიან, არც ქეიფისთვის“ (ჯავ., გვ. 116); „**ვინც მეფეთა სამსხურისთვის თავს გადასდებს**, მას საკუთარი სახლის უკან მზად უნდა ჰქონდეს დილეგიც“ (გამს., გვ. 215); „**ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს**, ხმის ამოდებას ვერ ბედავდნენ“ (აკაკი, გვ. 135); „**მოხდა ის, რასაც უკვე არავინ აღარ ელოდა**“ (ქილ., გვ. 213); „**ვინც თავისი ერისა და მატიანის გარეშე მცონარად ცხოვრობს**, იგი ყველაფრის ღირსია“ (გოთ., გვ. 384); „**არც მან იცოდა სიმღერის ფასი, ვისაც შავთვალეზა მალალოსა და მისი ექვსი ქალიშვილისთვის ერთხელ მაინც არ მოესმინა**“ (ქილ., გვ. 10); „**ვაი მას, ვისაც ბუბრის წინ არაფერი აქვს მოსაგონებელი**“ (ლეონ., გვ. 52); „**ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა**, დაილუპა“ (აკაკი, გვ. 321).

მოყვანილი წინადადებების უმრავლესობაში ქვემდებარე ჩანს, რეალურადაა გამოხატული, ხოლო წინადადებებში: „**ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს**, [ის] ხმის ამოდებას ვერ ბედავდნენ“; „**ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა**, [ის] დაილუპა“ ქვემდებარე გამოტოვებულია, იგულისხმება. ამიტომ მისი აღდგენა მარტივადაა შესაძლებელი. სინტაქსური თვალსაზრისით ამის გამო არ იცვლება ვითარება, ის ჩვეულებრივი ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებაა.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს ქვემდებარის კითხვაზე: **ვინ? ვის? რა? რამ? რას?** სწორედ ამ კითხვებზე სცემს პასუხს და აზუსტებს შესაბამისი დამოკიდებული წინადადებაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების კორელატებად გამოყენებულია ჩვენებითი და განსაზღვრებითი ნაცვალსახელები. ამათ გან, როგორც აღინიშნა, მისათითებელი ნაცვალსახელები შეიძლება აღვადგინოთ, როცა ის არ არის მთავარში ან ზოგჯერ ამის გარეშეც (გამოტოვებით) შეიძლება.

მიჩნეულია, რომ თუ მთავარ წინადადებაში ქვემდებარე განსაზღვრებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, მისი გამოტოვება არ შეიძლება, რადგან აღდგენილი **ის** ნაცვალსახელი და განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მნიშვნელობით ერთი და იგივე არ არის (კვაჭაძე 1996: 399): რაც აქამდის ვთქვი, **ყველაფერი** გამართლდა. ვფიქრობთ, შესაძლებელია მისი გამოტოვება: რაც აქამდის ვთქვი, **ყველაფერი** გამართლდა. განსაზღვრებითი ნაცვალსახელის გარეშეც შინაარსობრივად ნათლად ჩანს, რომ გამართლდა აქამდე ნათქვამი, ანუ **ყველაფერი (ის)**.

ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირები (**რომ, თუ**), მიმართებითი ნაცვალსახელები (**ვინც, რაც, რომელიც**) შესაბამისი ბრუნვის ფორმით, უფრო იშვიათად – მიმართებითი ზმნიზედები (**სადაც, როცა...**).

პოზიციის მიხედვით ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებას მოსდევს ან უსწრებს წინ, იშვიათად შეიძლება მთავარშიც იყოს მოქცეული:

„**ვინც მუშაობს**, იმას არც კუდაბზიკობისათვის სცალიან, არც ქეიფისათვის“ (ჯავ., გვ. 116); „**ვისაც ხალხი არ ჰყავს**, იმას არც ღმერთი გააჩნია“ (რობ., გვ. 60); „**ვისაც კარგი ხმა ჰქონდა და მოყვება შეემლო**, ისინი ვითომ მეძებრები იყვნენ“ (აკაკი, გვ. 403); „**ის, რასაც მაშინ დედები ხუმრობად თვლიდნენ**, მისთვის ხუმრობა არ იყო“ (ჭილ., გვ. 400); „**ცოდვია ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჰის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან**“ (დუმბ., გვ. 58); „**საქმით ფასდება ის, ვინც, რა თქმა უნდა, თავისი თავის ფასი იცის**“ (იოს., გვ. 196);

„ყველას, ვისაც კი მოესურვებოდა, შეეძლო იმ ბაღში პირის ჩატკბარუნება“ (ჭილ., გვ. 492); „მე ისა ვარ, წიგნებს რომ გიკითხავდით“ (ლეონ., გვ. 9); „ვინც თავის მიწა-წყალს არ მოჰპოვებია, ებიძგის ვერ უცვნი“ (ილია, გვ. 178).

2. დამატებითი დამოკიდებული წინადადება

დამატებითა დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის, აზუსტებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ნაგულისხმევ დამატებას. დამატებითი დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს მთავარ კომპონენტში ნაცვალსახელით გამოხატული ან ნაგულისხმევი დამატების გაშლილ, გაფართოებულ სახეს (ფეიქრიშვილი 1996: 253). ქართულში გვაქვს სამი სახის დამატება (პირდაპირი, ირიბი და უბრალო) და, შესაბამისად, დამატებითი დამოკიდებული წინადადებებიც სამი სახისაა.

ა) პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც ცნობილია, ასრულებს პირდაპირი დამატების როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან. ის ხსნის მთავარში ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი დამატების მნიშვნელობას. ცხადია, ასეთი დამოკიდებული წინადადება მაშინ გვექნება, თუ მთავარი წინადადება გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული (ორპირიანი ან სამპირიანი ზმნა შემასმენლით). მისათითებელი ჩვენებითი ან განსაზღვრებითი ნაცვალსახელი პირდაპირი დამატების შესაბამისი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული იმის მიხედვით, თუ რომელი სერიის ფორმითაა გამოხატული ზმნა შემასმენელი:

„რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ“ (ილია, გვ. 158); „თინათინმა იცოდა, რომ კათედრის გამგემ ასპირანტის ადგილი მხოლოდ მისთვის გამოითხოვა“ (ფანჯ., გვ. 197); „და ბუნებრივად თვლიდნენ ყველაფერს, რაც ქვეყანაზე ხდებოდა“ (ჭილ., გვ. 496); „ერთბაშად ვილაცამ გაახსენა, რომ თვითმფრინავთან მოწვევა არ შეიძლებოდა“ (ფანჯ., გვ. 166); „ის აშკარად ამჩნევდა, რომ თეიმურაზის სახე გულში მტკიცედ ჩაბეჭდოდა“ (ყაზბ., გვ. 12); „ტამა მომღერლებს გაახსენა, რომ ისინი საოპერო თეატრის სცენაზე

იყვნენ“ (ფანჯ., გვ. 331); „გადავწყვიტე, რომ ჩემგან ფიცის ღალატი და უკან დახევა შეუძლებელია და სამარცხვინო“ (ილია, გვ. 440); „შენ აასრულე, რასაც გიბრძანებენ“ (აკაკი, გვ. 307).

პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება მიუგებს კითხვებზე: ვინ? რა? ვის? რას? მართალია ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას ერთი და იგივე კითხვა დაესმის, მაგრამ განსხვავდება ბრუნვის მიხედვით. ცნობილია, რომ ქვემდებარე შესაძლოა იყოს ნომინატიური ანუ სახელობითბრუნვიანი, ერგატიული ანუ მოთხრობითბრუნვიანი, დატიური ანუ მიცემით ბრუნვიანი და ინდეფინიტიური ანუ გაუფორმებელი (კვაჭაძე 1996: 86). პირდაპირი დამატების ბრუნვებია სახელობითი (II და III სერიის ფორმებთან) და მიცემითი (პირველი სერიის ფორმებთან). მაშასადამე, ქვემდებარის საკუთრივი ბრუნვა მოთხრობითია, ხოლო სახელობითი და მიცემითი დამატება-ობიექტის ზიარი ბრუნვებია (კვაჭაძე 1996: 86-97). სტრუქტურულად ის ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების მსგავსია, გამოყენებულია ერთნაირი კავშირები, საკავშირებელი სიტყვები და კორელატები. დამოკიდებული წინადადების პოზიციის მიხედვითაც გვხვდება სამივე შემთხვევა:

„მან კარგად უწყოდა, რომ ქრისტეს შჯული საფარველი იყო ამ შემთხვევაში“ (გამს., გვ. 17); „შენის თვალით გინახავს ეს ყველა, რასაც ამზობ?“ (აკაკი, გვ. 446); „შენც დაიჯერებ, რომ უნდობლობა თანდაყოლილი გრძნობაა კაცის“ (ქილ., გვ. 108); „რასაც გეუბნები, ის გააკეთე“ (დუმბ., გვ. 22); „რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ“ (ილია, გვ. 158); „რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო“ (აკაკი, გვ. 419); „ვისაც რა გსურთ, ის წამოიღეთ“ (გოთ., გვ. 383); „არც ვანს სჯეროდა, ზღვა თუ მიატოვებდა“ (ქილ., გვ. 10); „ერთი კვირის შემდეგ გამოიძახეს და იგივე გაამეორებინეს, რაც იმ დღეს ჩაიწერეს“ (ფანჯ., გვ. 560); „ყველას, რაც კაცის გულს უნდა, იქა ჰპოვებდა“ (ლეონ., გვ. 59).

ბ) ირიბდამატებითა დამოკიდებული წინადადება, როდესაც დამოკიდებული წინადადება ასრულებს ირიბი დამატების როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან, ან ხსნის მთავარში მისათითებელი ნაცვალსახელით გამოხატული ირიბი დამატების მნიშვნელობას. მთავარ წინადადებაში ის შესაძლოა იყოს რო

გორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნით გადმოცემული. მაგალითად: „ლევან ხიდაშელი მიხვდა, რომ მთავარ ინჟინერს რაღაც უსიამოვნო ამბავი შეატყობინეს“ (ფანჯ., გვ. 190); „ვისაც გნებავთ, იმას დაავალეთ გამოცდა“ (ფანჯ., გვ. 497); „თხასავით მისდევდი, ვინც მუჭით მწვანე ბალახს დაგანახებდა“ (იოს., გვ. 272); „ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში თუნუქის ფირფიტას“ (აკაკი, გვ. 135).

მისი კითხვებია: ვის? რას? რაკი ირიბი დამატება ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია, ამიტომ მისათითებელი ნაცვალსახელიცა და კითხვითი ნაცვალსახელიც ყოველთვის მიცემითში დგას (კვაჭაძე 1996: 403-404). პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადებასა და ირიბდამატებით დამოკიდებულ წინადადებას შორის არ არის სხვაობა მაქვემდებარებელი კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების გამოყენების თვალსაზრისით (კავშირები: **რომ, თუ**; მაქვემდებარებელი კავშირები: **ვინც, რაც, რომელიც**):

„ვენაცვალე, ვინც ბლომად დალია“ (ლეონ., გვ. 112); „რას მივხვდებოდი მაშინ, რომ გამოუცდელია მატყუარა ნატკრის თვალია?!“ (აკაკი, გვ. 425); „ვისაც კი თქვენებურს შევხვდებოდი, თქვენს ამბავს ვკითხავდი“ (ილია, გვ. 79); „ვისაც რა ეხერხებოდა და ან რა ემარჯვებოდა - იმას მიმართა“ (აკაკი, გვ. 301); „ლევან ხიდაშელი მიხვდა, რომ მთავარ ინჟინერს რაღაც უსიამოვნო ამბავი შეატყობინეს“ (ფანჯ., გვ. 190); „ის იმას ეკუთვნოდა, ვინც ზემოდან დასცქეროდა, ვისაც უფრო სჭირდებოდა“ (ჭილ., გვ. 224).

დამოკიდებული წინადადება ადგილის მიხედვით სამივე პოზიციაში გვხვდება: წინ უსწრებს მთავარს, მოსდევს მას ან შუაშია:

„წმინდა გიორგის ჯვარს დაჰპირდნენ იმას, ვინც მე ან ცოცხალს დამიჭერდა ან მკვდარს მიმიტანდა“ (ილია, გვ. 442); „ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში თუნუქის ფირფიტას“ (აკაკი, გვ. 135); „ყველაფერ იმას, რაც წლიდან წლამდე აკეთე და აშენე, ხომ გვირგვინი დაედგმებოდა“ (იოს., გვ. 290); „ის მიხვდა, რომ თამაზს ძალიან უჭირდა“ (ფანჯ., გვ. 356); „ლევანი მიხვდა, რომ თავისუფალი სავარძელი იმ ახალგაზრდას ეკუთვნოდა“ (ფანჯ., გვ. 168).

გ) უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს უბრალო დამატების როლს მთავარი წინადადების რომელიმე წევრთან, ხსნის და აზუსტებს მთავარში ნაცვალსახელით გამოხატული უბრალო დამატების მნიშვნელობას (კვაჭაძე 1996: 404). მაშასადამე, უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება არის მთავარი კომპონენტის უბრალო დამატების გაფართოებული სახე.

როგორც ცნობილია, უბრალო დამატება არის ორი სახის -- თანდებუიანი ან უთანდებულო. შესაბამისად, უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ ნაწილში ორივე სახის ფორმა გვხვდება მისათითებელი სიტყვის ფუნქციით:

„ის არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ბიჭებმა იცნეს“ (ფანჯ., გვ. 21); „ტკბილი სიტყვით და კეთილი გულით უფრო მეტს გაარიგებ, ვიდრე მუქარით“ (ჯავ., გვ. 21); „ახლაც კი ვერ დავარწმუნებდი მარიტას, რომ მის მიერ ხალიჩაზე ამოქსოვის ღირსი ლექსი ჯერაც არ დამიწერია“ (ლეონ, გვ. 187); „ვინც კი ცუდი სიმთვრალე იცოდა, მისთვის სამუდამოდ იკეტებოდა შავთვალე-ბა მალალოს სახლი“ (ჭილ., გვ. 11).

უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება მიუგებს უბრალო დამატების კითხვებზე: რაში? რაზე? რით? ვისთვის? რისთვის? ვის შესახებ? გარდა ამისა, რა ბრუნვაშიც დასტურდება უბრალო დამატება, ამავე ბრუნვის ფორმებით წარმოგვიდგება იგი უბრალო დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში (მიცემით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში):

„სიმწრის ოფლი ასხამდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ ამ წუთში რას განიცდიდნენ მისი შშობლები და ამხანაგები“ (ფანჯ., გვ. 150); „გუმინწინ კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ფეხბურთისთვის უკვე მოხუცდა“ (ფანჯ., გვ. 132); „ყველას უჭირდა თავის მოწონება იმით, რაც მას არ ჰქონდა და არც არასოდეს ექნებოდა“ (ჭილ., გვ. 39); „ფარნაოზი დარწმუნებული იყო, რომ კუსა მას უყურებდა და დამცინავად იღიმებოდა“ (ჭილ., 461); „შენ დაიბრუნე შენი იმით, რომ უარი თქვი სხვისაზე“ (იოს., გვ. 288); „ახლა ზაზა სწორედ იმისათვის იყო დალუპული, ვისთვისაც სწადდა თავისი სიცოცხლე“ (გოთ., გვ. 458).

უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება მთავარ უერთდება მაქვემდებარებელი რომ, თუ კავშირებით და ვინც, რაც მიმართებითი ნაცვალსახელებით. კორელატებად შესაძლოა გამოყენებულია თანდებულიანი ან უთანდებულო ნაცვალსახელები. ადგილის მიხედვით უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება გვხვდება სამივე პოზიციაში: უსწრებს წინ მთავარ წინადადებას, მოსდევს მას ან შუაშია მოქცეული.

3. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს. აღნიშნულია, რომ არსებითი სახელით გადმოიცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: ქვემდებარე, დამატებები, განსაზღვრება და გარემოება. ამის შესაბამისად, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში შემავალ ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე წევრს:

„ფარნაოხს ეცოდებოდა მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ (ჭილ., გვ. 338); „სიტყვასა და ფიცს კი შაჰ აბასისათვის ისეთივე ფასი ჰქონდა, როგორც აბანოს ქოშებს“ (გოთ., გვ. 36); „მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე“ (გამს., გვ. 278); „რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ისეთი ბელადისა, რომელიც ყველაზე ადრე გარბის ბრძოლის ველიდან“ (ჯავ., გვ. 117); „ფრთხილი ნაბიჯით მივიდა იმ ეზოსთან, სადაც მარკიზა ელოდებოდა და ჭიშკრის ღრიჭოდან შეიხედა“ (ფანჯ., გვ. 102); „სიბნელები ისევ იმ კუთხეს შეხედა, სადაც დაჭრილი იწვა“ (ფანჯ., გვ. 553).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება მიმართებითი ნაცვალსახელებით (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...), მიმართებითი ზმნიზედებით (სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც...), მაქვემდებარებელი კავშირებით (რომ, თუკი, სანამ, ვითომ, თითქოს...). აღსანიშნავია, რომ სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც, როცა კავშირები

ძირითადად გამოიყენება გარემოებით დამოკიდებულ წინადადეგებში, მაგრამ ეს კავშირები ზოგჯერ გვხვდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაშიც. სხვაობა ისაა, რომ, როცა ის გამოიყენება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში, მას მთავარ წინადადებაში ყოველთვის ახლავს კორელატი (ჩვენებითი ნაცვალსახელები):

„სწორედ ის სასახლე იყო, სადაც შარშან დღეისწორს სრულიად საქართველოს „დიდ გარიგებას“ ჩაეყარა საფუძველი“ (გოთ., გვ. 484); „ფიქრით განსაკუთრებით იყო ხაზგასმული ის სამი ადგილი, სადაც ვერხოვენსკისა და მამამისის შეხვედრაა აღწერილი“ (რობ., გვ. 63); „ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, როცა მამაშვე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა“ (გამს., გვ. 15).

ჩნდება კითხვა, რატომ იყენებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება სხვა ტიპის კავშირებს? რატომ აქვს წევრკავშირად დროის ან ადგილის მიმართებითი ზმნისართები? სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხი დასმულია ამ თვალსაზრისითაც: ხომ არაა ეს ახალი მოვლენა, ან ხომ არ საჭიროებს იგი გარკვეულ შეზღუდვას თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით (ლეჟავა 1981: 50). აღნიშნულია, რომ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში სადაც და როდესაც მიმართებითი ზმნისართების კავშირებად გამოყენების შემთხვევები ძველ ქართულშივე შეინიშნება. თუმცა დაზუსტებით იმის თქმა, თუ რატომ გამოიყენება ქვემდებარულ, დამატებით ან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში (ანუ ისეთ წინადადებაში, რომელიც მიემართება მთავარის ქვემდებარეს ან დამატებას, მას ხსნის, აზუსტებს) დროის ან ადგილის ზმნისართი, ჭირს. შესაძლოა, ეს იმით აიხსნას, რომ მისათითებელი სიტყვა დაერთვის სუბსტანტივებს, რომლებიც დროს, ადგილს (იმ დღეს, როცა; იმ ადგილას, სადაც...) გამოხატავენ.

ლ. ლეჟავას თვალსაზრისით, ამის გასაღები თვით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა მოიძებნოს: დამოკიდებულ წინადადებას სჭირდება დროისა და ადგილის გარემოება და ამიტომ კავშირად იყენებს დროის ან ადგილის ზმნისართს, რომელიც სათანადო წევრადაც გამოდგება დამოკიდებულში (ლეჟავა 1981: 52). ავტორს არგუმენტად მოჰყავს შემდეგი მაგალითი ასეთი

იყო სახე **იმ ოჯახისა, სადაც** მე სოფლიდან მიმიყვანეს. დამოკიდებული წინადადების შემასმენელი (მიმიყვანეს), რომელიც მოითხოვს ადგილის გარემოებას, რომ შევცვალოთ ასე: ასეთი იყო სახე **იმ ოჯახისა, რომელიც** ეკუთვნოდა როსტომ წერეთელს, შემასმენლის შეცვლისას შეუძლებელია **სადაც** კავშირის გამოყენება. მაშასადამე, ეს მოვლენა აიხსნება დამოკიდებული წინადადების ტენდენციით -- შეარჩიოს ისეთი კავშირი, რომელიც ამავე დროს მას გამოადგება წინადადების წევრადაც. მსჯელობა ანალოგიურია ქვემდებარული და დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემთხვევაშიც, როცა მათ წევრ-კავშირად გამოიყენება ადგილისა და დროის მიმართებითი ზმნისართები ან მიმართებითი **ვინც, რაც** ნაცვალსახელები (ლეჟავა 1981: 57).

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებთან სპეციფიკურია **თითქოს** კავშირის გამოყენება: „ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, **თითქოს** იგი ისევ აქ, მათ შორის დარჩა“ (გოთ., გვ. 99); „ისეთი გრძნობა ჰქონდა, **თითქოს** ვიღაც უთვალთვალეობდა (ჭილ., გვ. 282); „მედეას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, **თითქოს** ადრე უფრო დიდი იყო ეს ბაღი და ტაძარიც“ (ჭილ., გვ. 72); „მერე ისეთი ნაბიჯით შემოვიდა, **თითქოს** კატა მსხვერპლს ეპარებოდა“ (დუმბ., გვ. 73). **თითქოს** კავშირი სხვათაგან განსხვავებით აღნიშნავს რაღაცასთან მსგავსებას, სიახლოვეს, თუმცა არა რაიმეს ზუსტ განსაზღვრას, დახასიათებას. ის გამოხატავს იმას, რაც ნამდვილად არ არის. ის „სათუბის“ კავშირია, რომელიც სათუოს, სავარაუდოს ხდის წინადადების შინაარსს. **თითქოს** კავშირის გამოყენებისას ყოველთვის გვხვდება მისათითებელი სიტყვა **ისეთა** ან **იმისთანა**. ამის გარეშე არ იწარმოება ამ ტიპის განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, მისი ამოღება შეუძლებელია. ანალოგიურია **ვითომ** კავშირიც და მისი გამოყენების შემთხვევებიც.

ზოგადად შევნიშნავთ, რომ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში უმეტეს შემთხვევაში გვაქვს მისათითებელი სიტყვა. ის ხაზს უსვამს იმ წევრს, რომელსაც განმარტავს დამოკიდებული წინადადება.

როგორც ითქვა, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას, სხვა დამოკიდებულ წინადადებათაგან განსხვავებით,

მთავარში კორელატის გარდა მოეპოვება მისამართი სიტყვა. კორელატსა და მისამართ სიტყვას შორის მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობაა (ფეიქრიშვილი 1996: 260): **ისეთი -- რომელიც, ისეთმა -- რომელმაც, იმგვარი -- როგორიც, იმგვარმა -- როგორმაც, ისეთი -- როგორიც, ისეთმა -- როგორმაც, იმდენი -- რამდენიც, იმდენმა -- რამდენმაც, ისეთი -- რომელსაც... რომელიც** წევრ-კავშირი სინტაქსურად ორ წევრს უწევს ანგარიშს: ის სიტყვაში მთავარი წინადადების იმ წევრს ემსგავსება, რომელსაც მიემართება, ხოლო ბრუნვაში – დამოკიდებული წინადადების იმ წევრს, რომელთანაც ის სინტაქსურადაა დაკავშირებული (კვაჭაძე 1996: 414). გარდა ბრუნვაში შეთანხმებისა, დამოკიდებული წინადადების მიმართებითი ნაცვალსახელი რიცხვში ეთანხმება მისამართ სიტყვას (საზღვრულ წევრს). სამეცნიერო ლიტერატურაში რიცხვში შეთანხმების სხვადასხვა შემთხვევას განიხილავენ (კვანტალიანი 1983).

ახალ ქართულში მისამართი სიტყვის ადგილი განსაზღვრულია – ის საკავშირებელ სიტყვას ყოველთვის წინ უსწრებს. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მისი ადგილი თავისუფალი იყო, ნებისმიერ პოზიციას იღგა.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად საკავშირებელი სიტყვა უშუალოდ უნდა იყოს იმ სახელთან, რომელსაც დამოკიდებული წინადადება მიეკუთვნება, ან, თუ დაშორება აუცილებელია, სხვა სახელი არ უნდა ედგეს წინ: მას არ ესმოდა იქვე ახლო აკოკრებული ვარდის ბუჩქზე მჯდომი ბულბულის აღგზნებული სტვენა, **რომელიც** სრულებით არ იმჩნევდა დათუას სიახლოვეს (შანიძე 1949: 152). აქ გაურკვეველია დამოკიდებული წინადადება **სტვენას** განსაზღვრავს თუ **ბულბულს**.

ვ. თოფურიას თვალსაზრისით, არ არის სასურველი, რომ **მისამართ წევრსა და რომელიც** კავშირს შორის წინადადების სხვა წევრი იყოს – გარემოება, შემასმენელი, დამატება (თოფურია 2005: 109).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ადგილი მთავრის მიმართ ძირითადად მომდევნოა ან შუაშია მოთავსებული, იშვიათად შესაძლოა წინ უსწრებდეს მას:

„ცოდვამ ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა

ამ ქვეყნიდან“ (დუმბ., გვ. 58); „...ისეთივე უხეში ხაზები გამოჰყავდა მის ხელში საჭრეთელს, როგორც „მეჯადაგე ოსტატებს“ სჩვეოდა ეს“ (გამს., გვ. 280); „ისეთი რა საქმე გაქვს, რომ ორიოდე კვირასაც ვერ მოიგადე შენს მამულში?“ (ჯავ., გვ. 29); „იმ სტეპებს სერავდა ლეგენდარული მატარებელი, რომლის ამბავსაც ჰყვებოდა ზერზინი“ (რობ., გვ. 39); „მაგრამ სურათმა, რომელიც ახლა ამოუტივტივდა, ერთბაშად მოიცვა მისი სული“ (რობ., გვ. 32); „რამდენიც შეძლოთ, იმდენი დაამზადეთ“ (აკაკი, გვ. 394); „ხალხს, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია“ (აკაკი, გვ. 321); „რამდენიც უნდათ, იმდენი მიყურონო“ (ქილ., გვ. 489).

როგორც დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციისას აღვნიშნეთ, ჩვენ ცალკე არ გამოვყოფთ შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებას. მიგვაჩნია, რომ ეს ტიპი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა გაერთიანდეს. სავარაუდო საზღვრული სახელის აღდგენისას ის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად გადაიქცევა: „მე იმისთანა ოსტატს გიშოვნი, რომ უფულოდ გასწავლოს“ (ილია, გვ. 146) – იმისთანა ოსტატი → (რომელიც) უფულოდ გასწავლის (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ზემოთ).

4. გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები

ა) ადგილის გარემოებითა დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედით გამოხატული ადგილის გარემოების მნიშვნელობას. ის ასრულებს მთავარში გამოტოვებული ადგილის გარემოების როლს, ე. ი., აზუსტებს და მიუთითებს იმაზე, თუ სად ხდება, საიდან იწყებს ან საით მიემართება მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება (კიზირია 1984: 240-241). ის მიუგებს ადგილის გარემოების კითხვებზე: **სად? საიდან? სადამდე? საითკენ?**

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება მიმართებითი ზმნიზედებით (**სადაც, საიდანაც,**

საითყენაც) და მაქვემდებარებელი კავშირით (**რომ**). ამ ტიპის წინადადებაში კორელატებად გვხვდება **აქ, იქ, იქიდან, ყველგან, იქით** ზმნიზედები:

„**ჰგონიათ, სადაც** სიმართლეა, ბედნიერებაც **იქ** არისო“ (ჯავ., გვ. 422); „**მერე იქ** მივიდა, **სადაც** ახალმიღებული ზესადგარები ელაგა“ (ფანჯ., გვ. 305); „**ერის** დაცემა იწყება **იქიდან, სადაც** თავდება წარსულის ხსოვნა“ (ლეონ., გვ. 210); „**ალექსანდრე სადაც** იჯდა, **იქვე** დახვდა განთიადს“ (გოთ., გვ. 496); „**სადაც** ჩამოვჯდებოდი, **სარდი** და **რუსიკოც** **იქვე** არიან“ (ჯავ., გვ. 421); „**საცა** სიყვარული არ არის, **იქ** არც მეგობრობაა, არც ოჯახი, არც საზოგადოება და არც სახელმწიფო“ (ჯავ., გვ. 96); „**დედაკაცი** ისევ იჯდა **სწორედ იქ, საიდანაც** შვილი გაისტუმრა“ (ზიბ., გვ. 290); „**სადაც** კი გამოჩნდებოდა, **ყველგან** გრძნობდა ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს“ (ფანჯ., გვ. 154).

იმვითად გვხვდება ისეთი ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელშიც საკორელაციო სიტყვა არ გვაქვს. ის შეიძლება აღვადგინოთ კიდეც: „**[იქ]** შებრუნდი, **საიდანაც** ქვა დაგორდა“ (იოს., გვ. 45); „**ეზო** კარგად მოათვალიერა და **მერე [იქ]** მივიდა, **სადაც** ზესადგარები ელაგა“ (ფანჯ., გვ. 305); „**სადაც** კი შეიგულეზდნენ და მოასწრებდნენ, **[იქ]** სულ მუსრს ადენდნენ“ (აკაკი, გვ. 327).

შევნიშნავთ, რომ ზოგ შემთხვევაში **სადაც** მიმართებითი ზმნიზედა კი არის წინადადებაში, მაგრამ გაჭირდება მისი ადგილის გარემოებად გაგება (ეს მხოლოდ **სადაც** ზმნიზედას როდი შეეხება). მაგალითად: „**სადაც** ამდენი უმანკო სული ამოგიწყვეტიათ, მე რაღა დასატოვებელი ვარ?“ (აკაკი, გვ. 344); „**თუ აქაც** აღარავინ აღმოჩნდებოდა, მასწავლებელს უნდა აეხსნა“ (აკაკი, გვ. 413); „**სადაც** ამდენი გაგიკეთებია, ახლა იხევ უკან?“ (ფანჯ., გვ. 38); „**სადაც** სხვა ყველა ქეიფობს, **იქ** ერთი რას გააწყობს?“ (აკაკი, გვ. 430). დასახელებულ წინადადებებში ეს ზმნიზედები შინაარსობრივად არ გამოხატავენ ლოკალურ პუნქტს, ზუსტ ადგილს, ეს უფრო პირობითი ადგილია. გარდა ამისა, მთავარ წინადადებაში არ მოიაზრება და არ ჩანს ის, რომ დამოკიდებული წინადადება ადგილის გარემოებას ხსნის და აზუსტებს. დასახელებული წინადადებების დამოკიდებული კომპონენტები უფრო ერთგვარ პი-

რობას, წინაპირობას გამოხატავენ, რომელიც ან მოხდა, მოხდება ან ხდება (არ ვგულისხმობთ პირობით დამოკიდებულ წინადადებას). შინაარსობრივად ჩანს, რომ რაღაც მოქმედება შესრულებულია და მთავარ წინადადებაში დამოკიდებულის საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი ქმედებაა გამოხატული.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება სამივე პოზიციაში გვხვდება. სამივე ადგილი მისთვის ბუნებრივია: „სადაც დარი იყო, იქ მხარდამხარ ჩადგნენ ხელჩაკიდებული მხლებლები“ (გოთ., გვ. 206); „სადაც დავაწვი, იქვე დავამარხვინებ“ (გოთ., გვ. 566); „ადამიანი ზოგჯერ იქ იპოვის ბედს, სადაც არ ეძებს“ (ჯავ., გვ. 55); „... იქ, სადაც ლომის ტოტი ვეღარა სთესავს, მელიის კუდმა უნდა მოიმკოსო“ (აკაკი, გვ. 322); „იქ, სადაც გზა დამთავრდებოდა, უნდა ჩამოქვეითებულიყვნენ“ (იოს., გვ. 13).

ბ) დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აკონკრეტებს, აზუსტებს მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედების დროს. დროის გარემოებით წინადადებაში გამოხატულია ამბებისა თუ მოვლენების მიმართება დროის თვალსაზრისით, რაზედაც მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაშია ლაპარაკი (კვაჭაძე 1996: 423). მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატულ მოქმედებასა და დამოკიდებული წინადადებით გადმოცემულ მოქმედებებს შორის გვაქვს ერთდროულობა და უწინარესობა-შემდგომობა“ (კიზირია 1984: 241). დამოკიდებული წინადადება მიუგებს დროის გარემოების კითხვებზე: როდის? როდემდე? რა დროიდან? დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება მაქვემდებარებელი კავშირებითა და მიმართებითი სიტყვებით: როდესაც (როცა), რომ, სანამ, თუ არა, რაწამს, რაკი, ვიდრე, რაც, როგორც კი... ხოლო კორელატებად წარმოდგენილია შემდეგი დროის ზმნიზედები: ახლა, მაშინ, მყის, მაშინვე, მანამ.

„მაშინ დაგიბრუნდება, როცა შენც ჩემსავით დაუბრუნდები ხალხს და ეზიარები იმას სულით და გულით“ (ჯავ., გვ. 120); „ხვალ ინათებს თუ არა, თეთრ მთაში უნდა წავიდო!“ (ლონ., გვ. 109); „სანამ მისი ქმარ შვილი პირველად გავიდოდა უიმისოდ სასახლის გალავანში, სახიდან ღიმლი არ მოშორებია“ (ჭილ., გვ. 41); „როცა გიჭირს, ხერხიც მაშინ გეკარგება და ღონეცა“ (ილია,

გვ. 138); „**როდესაც** მოვიცალე, **მაშინ** მოვედი“ (დუმბ., გვ. 73); „თვალი მოხუჭა **თუ არა, მაშინვე** ენგურის გაღმა შვეულ ტინზე დაკიდებული პარაშუტისტი მოაგონდა“ (იოს., გვ. 73); „**ვიდრე** ჩვენი ოთახის კარს მივუახლოვდებოდი, ფანჯარასთან ატუხული შუახნის მამაკაცი შევნიშნე“ (ფანჯ., გვ. 38); „**უკვე** ბინდდებოდა, სასაფლაოდან **რომ** გამოვედი“ (დუმბ., გვ. 122).

შესაძლოა კორელატი სიტყვა არ იყოს წინადადებაში, მაგრამ ის აღდგება შინაარსობრივად: „როდესაც წყალი კუკარაჩას მკერდზე მისწვდა, [მაშინ] შვებით ამოვისუნთქეთ“ (დუმბ., გვ. 42); „როცა ჩემი გადაწყვეტილება შინ განვაცხადე, [მაშინვე] დედაჩემმა ერთი ისეთი იკივლა, მეზობლები შეყარა“ (ფანჯ., გვ. 209); „მანამ მე წამოვდგებოდი, [მანამდე] დათიკო ცხენი დამ ძირს დაცემულიყო“ (ილია, გვ. 214); „მამ იცხოვრეთ, ჭაბუკებო [მანამ], სანამ გეჭაბუკებათ“ (ჯავ., გვ. 412).

როგორც აღინიშნა, ზმნა შემასმენლით გამოხატულ მოქმედებასა და დამოკიდებული წინადადებით გადმოცემულ მოქმედებებს შორის ან ერთდროულობაა, ან უწინარესობა, ან შემდგომობა. შესაბამისად, ზმნა-შემასმენლები გადმოიცემა ან ერთი მწკრივისა და დროის ფორმებით, ან სხვადასხვა მწკრივითა და დროით.

აღნიშნავენ, რომ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია ან ბოლოში, იშვიათად მთავრის შიგნით. დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი კავშირითაა ის მთავართან შეერთებული, როგორია დროული მიმართება მთავარსა და დამოკიდებულში გადმოცემულ მოქმედებებს შორის:

„**ვახშამი რომ** გაათავეს, მარგო ისევ ურემზე ავიდა და მიწვა“ (ჯავ., გვ. 65); „მაგრამ ბედნიერება მაშინ გათავდა, **როცა მონადირის** მაგიერ პატარძლის წინ მგელხარ ამოძუნძულდა მწყემსურად“ (ლეონ., გვ. 116); „**როცა** მოსაცემი გქონდა, არაფერი არ მომეცი, **როცა** ყველაფერი გამოგეცალა, ცარიელ ბაასს მთავაზობ“ (ჯავ., გვ. 76); „ყოველი საგანი მაშინ იწყებს წაქცევას, **როცა წონასწორობას** დაჰკარგავს იგი“ (გამს., გვ. 347); „ადამიანი, **სანამ უბედურებას** თავისი თვალთ არ ნახავს, იმედს არ კარგავს“ (იოს., გვ. 72); „ზამთრობით, **როცა ვაშლის გორა დაეყრებოდა** ჩვენს ძირა ოთახებში,

ჩემთვის იმაზე საყვარელი არა იყო რა“ (ლეონ., გვ. 7).

მაგალითად, პირველ წინადადებაში შევცვალეთ **რომ** კავშირი: ვახშამი **როცა** გაათავეს, მარგო ისევ ურემზე ავიდა და მიწვა // მარგო ისევ ურემზე ავიდა და მიწვა, **როცა** ვახშამი გაათავეს.

ვფიქრობთ, როდესაც დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება შუაშია, ასეთ დროს ყურადღება გამახვილებულია არა დროის ზმნიზედებზე, არამედ იმ სიტყვაზე, რომელსაც მიემართება ის. გადაჭრით ვერც იმას ვიტყვით, რომ დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, თუ რა კავშირითაა ის მთავართან შეერთებული.

გ) ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მსგავსება შედარებას, აჩვენებს როგორობას, ზომადენობას და ჯერობას იმისას, რაზეც მთავარ წინადადებაში ლაპარაკი. იგი მიუგებს ვითარების გარემოების კითხვებზე: **როგორ? რანაირად? რამდენად? რამდენჯერ?** ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება მაქვემდებარებელი კავშირებითა და მიმართებითი ზმნიზედებით: **რომ, თუ, ისე რომ, თითქოს, ვით, რამდენადაც, რამდენჯერაც, რაც, როგორც.** კორელატად კი გამოიყენება ზმნიზედები: **ისე, იმდენად, ისეთნაირად, ამგვარად:**

„ჭემმარიტად არაფერი ისე არ ნუსხავს ადამიანს, როგორც დაძაბული სიჩუმე და მოლოდინი“ (გოთ., გვ. 8); „მისი მოსვლა **იმდენად** მოულოდნელი არ იყო, **რამდენადაც** გაუგებარი“ (დუმბ., გვ. 17); „ხევში წყალი გოლვისაგან **ისე** მიღეულიყო, **რომ** ძლივსღა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ“ (ილია, გვ. 223); „**რამდენჯერაც** არ შეუშვირა წყალს პატარა უხეიროს ჯამი, **იმდენჯერ** სისხლივით გაწითლდა წყალი“ (ჭილ., გვ. 515); „**ისევე** უყვარს თავისი მშობელი, **ვით** შენ შენი სამშობლო“ (გოთ., გვ. 264); „შერიგებას შეუღლება სჯობს, **ვით** გაჟეჟილს გატეხილი“ (გოთ., გვ. 619); „მოფუსფუსე მგზავრებს **ისე** გულგრილად მისჩერებოდა, თითქოს მათ ვერც კი ამჩნევდა“ (ფანჯ., გვ. 165); „ეს გულები მყისვე უკან **ისე** იხევდნენ, როგორც ეს დღევანდლობას შეეხებოდა“ (რობ., გვ. 42); „**დღე** **ისე** არ გავიდოდა, რომ მემამულის ციხე გალავანში გლებები არ შესულიყვნენ“ (ჯავ., გვ. 17).

შესაძლოა მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვა

არ იყოს. ასეთ შემთხვევაში მისი აღდგენა ადვილადაა შესაძლებელი: „[ისე] ეზარებოდა, როგორც ნათბილარს ლოგინის მერე გასვლა ბნელ ქარიშხლიან ღამეში“ (ლეონ., გვ. 57); „გაჯკრი [ისე], როგორც ბოლი და კვალი ნიავისა“ (ლეონ., გვ. 277); „დამწყაზრებული პატარძალი [ისე] იდგა, როგორც აღმასცხებული ყაყაჩო“ (ლეონ., გვ. 119).

გარდა კავშირიანი შეერთებისა, გვხვდება უკავშირო შეერთების ისეთი შემთხვევები, როცა კორელატად **ისე** ზმნიზდება: „**ისე** ჩქარა ევლოთ, ორივეს ხვითქი გადასდიოდა“ (ჭილ., გვ. 237); „**ისე** მოჰპარსავდა მუშტარს, ერთ სიტყვასაც არ გასცემდა“ (ლეონ., გვ. 256); „**ლევანმა** კორესპონდენტს წერილი **ისე** დააწერინა, არც ერთი მეფოლადე არ გამორჩენია“ (ფანჯ., გვ. 261); „**ისე** მოულოდნელად დაადგნენ თავზე, გამოქვაბულიდან გამობტომაც კი ვეღარ მოასწრეს“ (ჭილ., გვ. 239). ეს ისეთ შემთხვევებში ხდება, როცა მაქვემდებარებელ კავშირად ივარაუდება **რომ** კავშირი, **როგორც** მმართველთი ზმნიზების შემთხვევაში ეს შეუძლებელია. **ისე-რომ**, პირობას გამოხატავს, **ისე-როგორც** – შედარებას. ასეთ შემთხვევებში სემანტიკას აქვს მნიშვნელობა. წინადადებაში გარკვეული პირობის გადმოსაცემად **რომ** კავშირი არაა აუცილებელი, აზრი ჩანს კავშირის გარეშე. ამის ფუნქციას **ისე** კორელატი ასრულებს, ხოლო **როგორც** კავშირის გამოყენებისას შეუძლებელია მოქმედების ნათლად გამოხატვა: „ისე წაიყვანა ეკლესიაში მარგარიტა ყაფლანიშვილი, [როგორც] უცხო და ოდნავ ნაცნობი საბედო“ (ჯავ., გვ. 27); „[როგორც] კედელმა ქვა, ისე აისხლიტა მისმა სმენამ“ (ჭილ., გვ. 202); „ჭემმარტად არაფერი ისე არ ნუსხავს ადამიანს, [როგორც] დაძაბული სიჩუმე და მოლოდინი“ (გოთ., გვ. 8); „ისე რბილად გამოთქმულიყო ქვაზე, [როგორც] თავათ ღმერთს არ მოჰკონებია მისი მოცემა“ (გამს., გვ. 282). მოყვანილ წინადადებებში შეუძლებელია **როგორც** კავშირის ამოღება, რადგან მის გარეშე შედარების წარმოჩენა ვერ ხერხდება.

რაც შეეხება კავშირს **თითქოს**, ის ვითარებით დამოკიდებული წინადადებაშიც გამოიყენება, ისევე როგორც განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გვქონდა. ის გამოხატავს სი ახლოვეს, ვარაუდს, ისეთს, რაც ნამდვილად არ არსებობს: „ისე უხაროდა, **თითქოს** ამ ორი სიტყვის თქმა უჭირდა აქამდე ფრიქ

სეს“ (ჭილ., გვ. 36); „ისე ჩავუარე ორივეს, თითქოს გუშინ არაფერი არ მომხდარიყოს“ (დუმბ., გვ. 95); „ლევანი ღუმელთან ახლა ისე ტრიალებდა, თითქოს მეფოლადე ყოფილიყოს“ (ფანჯ., გვ. 246); „თან ისე მიუდგომლად უნდა ემსჯელა და ეფიქრა, თითქოს არც მას და არც მის საყვარელ ძეს არ ესებოდა ეს არჩევანი“ (გოთ., გვ. 171).

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება სამივე პოზიციაში გვხვდება: წინ უსწრებს მთავარ წინადადებას, მოსდევს მას, ან ზოგჯერ შუაშია მოქცეული.

დ) მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს იმის გამომწვევ მიზეზს, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აზუსტებს მთავარ კომპონენტში ზმნიზედით გამოხატული ან ნაგულისხმევი მიზეზის გარემოების ზოგად მნიშვნელობას (ფეიქრიშვილი 1996: 269). ის მიუგებს მიზეზის გარემოების კითხვებზე: **რატომ? რის გამო? რა მიზეზით?** მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება მაქვემდებარებელი კავშირებით: **რადგან, რადგანაც, ვინაიდან, იმიტომ რომ, რომ, რაკი**. მთავარ კომპონენტში კორელატებად შეიძლება შეგვხვდეს მიზეზის ზმნიზედები: **ამიტომ, იმიტომ, ამის გამო, იმის გამო** (კვაჭაძე 1996: 429-430):

„მე **იმიტომ** ვსვამ, **რომ** წუხელ ჰაპაჩემი მეხვეწებოდა სიზმარში“ (ლონ., გვ. 113); „დიდებულებმა არ ინდომეს თავათ გამოდგომა, **რადგან** ცხენდაცხენ ვერ მიყვებოდნენ“ (გამს., გვ. 129); „**რადგან** ეგეთი თვინიერი და დამჯერი ხარ, ყურის აწევით დავკმაყოფილდები“ (დუმბ., გვ. 44); „გააგრძელა თვითონვე, **რაკი** ქაიხოსრო თვალგამტერებული დასცქეროდა საფლავს“ (ჭილ., გვ. 74); „ეს გველმა პირველ ადამიანებს დაუმალა, **რადგან** თვითონ არის სიკვდილის მატარებელი“ (რობ., გვ. 18); „მგელს მეტი ნდობაც ჰქონდა, **რადგან** ისიც მათსავით ოთხზე დადიოდა და ტყავიც მათნაირი მოესხა“ (ჭილ., გვ. 456); „ქალმა **რაკი** პირობა მისცა, **ამის გამო** გული გაიმაგრა“ (გოთ., გვ. 211).

ზოგჯერ კორელატი **იმიტომ** მთავარი წინადადების ბოლოს ექცევა და ინტონაციურად ეკედლება დამოკიდებულ წინადადებას, რის გამოც მიიღება რთული კავშირი **იმიტომ რომ. რო-**

გორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში მძიმე დაისმის რთული კავშირის წინ. გარდა ამისა, მთავარ წინადადებას მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებს (ფეიქრიშვილი 1996: 270): „ამას „სუტ-კნეინას“ ეძახოდნენ, იმიტომ რომ მისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა“ (ილია, გვ. 152).

როცა დამოკიდებული წინადადება თავშია, მთავარ წინადადებაში მისათითებელ ზმნიზედად შესაძლოა შეგვხვდეს **ამის გამო** (= ამიტომ): რახან გათხოვებაზე ჩამოვარდა სიტყვა, **ამის გამო** მეც უნდა გაგიმზილოთ ჩემი წადილი (კვაჭაძე 1996: 438).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ხან გვხვდება საკორელაციო სიტყვა, ხან - არა, მისი აღდგენა ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია: „**რაკი** აღთქმებით ვერა გააწყვეს რა, [ამიტომ] დილეგში ჩააგდეს კვლავ, ვირთხები მიუსიეს“ (გამს., გვ. 140); „მე ახალ გაზეთს [იმიტომ] ვუკითხავდი, **რადგან** სათვალე დაჰკარგოდა“ (ლეონ., გვ. 53). კორელატი **იმიტომ** ყოველთვისაა მთავარ წინადადებაში, როცა ის დამოკიდებულ წინადადებასთან **რომ** კავშირითაა დაკავშირებული.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ან უსწრებს მთავარ წინადადებას, ან მოსდევს მას, იშვიათად შეიძლება შუაშიც მოექცეს: „მეც, რასაკვირველია, **რადგან** სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე“ (აკაკი, გვ. 135); „ჩემმა ძმამაც, **რადგანაც** კანვობივ წასასვლელეები იყვნენ, პეტერბურგს წამიყვანა“ (აკაკი, გვ. 163); „ამას ყველაფერს იმიტომ გეუბნები, **რომ** მტერ-მოყვარე გაარჩიო და ქუჩაში ტყუილად არავის უკბინო“ (ფანჯ., გვ. 109); „**რაკი** ამ **ჯოჯობეთში** ტყვეს წამოყვანა გაჭირდებოდა, სამი ჯარისკაცი გააყოლა“ (იოს., გვ. 20); „ის კი ისევ შორს იყო ჩვენგან, **რადგან** არავის არ გვახსოვდა“ (ჭილ., გვ. 501); „**ქალმა რაკი** პირობა მისცა, ამის გამო გული გაიმაგრა“ (გოთ., გვ. 211).

როცა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ჩართულია, კორელაციის რიგი თავისუფალია: „მეც, რასაკვირველია, რადგან სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე“ (აკაკი, გვ. 135) - რადგან სხვა ენა არ ვიცოდი, რასაკვირველია, ქართულად ვუპასუხე; მეც ქართულად ვუპასუხე, რადგან სხვა ენა არ ვიცოდი, რასაკვირველია. ეს იმითაა განპირობებული, რომ თვითონ ჩართულის რასაკვირველია და მისთ. ადგილი წინადადებაში თავისუფალია.

ე) მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედების მიზანს. ის მიუგებს მიზნის გარემოების კითხვებზე: **რისთვის? რა მიზნით?** დაკავშირების საშუალებებია მაქვემდებარებელი კავშირები **რომ** და **რათა**. ხოლო საკორელაციო სიტყვად გვხვდება **იმისთვის**:

„მან მთელი თავისი ნებისყოფა დაძაბა, **რომ** სამუდამოდ დაევიწყებინა ის ქალი“ (ფანჯ., გვ.510); „კუსა ხანდახან გულისპირს განგებ მოითხვრიდა ხოლმე სისხლით, **რათა** შინ დაბრუნებულს მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა ქალებზე“ (ჭილ., გვ. 145); „ეს ომი **იმისთვის** გადავიხადე, შეეტყო სუყველას, **რომ** მე ღორის აღარ მეშინოდა“ (აკაკი, გვ. 130); „ორივენი მოუთმენლად ელოდებოდნენ დაღამებას, **რათა** მის წყვდიადში ერთმანეთსაც დამაღვოდნენ და ქვეყანასაც“ (ჭილ., გვ. 19); „მე მოვედი, **რომ** ეს მოგახსენოთ“ (ფანჯ., გვ. 497); „ასეთი გულით უნდა მიწასთან შეხება, **რათა** ეგრძნო მისი სიუხვე“ (რობ., გვ. 60).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მთავარსა და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ზმნის ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით გარკვეული კანონზომიერებაა: მთავარ წინადადებაში, ჩვეულებრივ, თხრობითი კილოს ფორმა ნახმარი, იშვიათად კავშირებითისა, დამოკიდებულში კი - კავშირებითის. რაც შეეხება დროს, შესაძლოა იყოს როგორც ერთსა და იმავე დროში, ასევე - სხვადასხვა. უმეტესად სხვადასხვა მწკრივში გვხვდება ზმნა-შემასმენლები, იშვიათად - ერთსა და იმავე მწკრივშიც.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უმეტესად მოსდევს მთავარს, იშვიათად შეიძლება მის წინაც იყოს და მთავარი წინადადების შუაში: „მთელი გზა ქარისაცა და ფრიქსეც აცეცებდნენ თვალებს, კისრებს იგრძელებდნენ, **რათა** თვითონაც ამოეცნოთ მდინარისაკენ მომავალი ირმების ჯოგი“ (ჭილ., გვ. 29); „უნდოდა ყოფილიყო უბედური, გამწარებული, სულით ხორცამდე შეძრწუნებული, **რომ** ბოლომდე ეგრძნო თავისი არსებობის უაზრობა და უმწეობა“ (ფანჯ., გვ. 38); „**ორიოდე** ლუკმა **რომ** ემოვათ, მოსახლეობა მთიდან მოდიოდა“ (დუმბ., გვ. 43); „ღამის თვეს დროს, **მილი** **რომ** არავის შემოგვპაროდა, მორიგად ზღაპრებს ამბობდნენ“ (აკაკი, გვ. 129).

5. მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადება

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, მთავრის მიმართ დამოკიდებულია ისეთი წინადადება, რომელიც მთავარ წინადადებას მიემართება და გამოხატავს მოქმელის დასკვნას, შეფასებასა თუ რაიმე სახის შენიშვნას იმის შესახებ, რაც მთავარში არის გადმოცემული (კვაჭაძე 1996: 456). ტერმინი **მთავრის მიმართი** შემოიღო ა. შანიძემ. მანვე გამოყო ეს სახე ცალკე დამოკიდებულ ტიპად (შანიძე 1948: 165). მაგალითად:

„ღვინოც ერთად გადაეკრათ იქაურ ღუქანში, რაც მუდამ საამაყოდ ჰქონდა“ (ლეონ., გვ. 90); „მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე“ (აკაკი, გვ. 315); „გივი ჯოლიას გამომეტყველება ყოველთვის ერთი ტაქტით ჩამორჩება მოქმული აზრის შინაარსს, რაც მის სახეს გაურკვეველ გამომეტყველებას აძლევს“ (ფანჯ., გვ. 427); „მაინცდამაინც ის გამოერჩიათ იმის განსაცდელად, რაც არასოდეს არ ღირსებია მის რომელიმე თანამომძმეს“ (ჭილ., გვ. 64).

ამ ტიპის წინადადებებში დამოკიდებული წინადადების ადგილი თავისუფალი არ არის. ის ყოველთვის მოსდევს მთავარ წინადადებას, რომელთანაც მას აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელი რაც. ის გამოიყენება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (კვაჭაძე 1996: 456). თუ სხვა ტიპის წინადადებებში დამოკიდებული წინადადების ადგილი თავისუფალი იყო, ამ სტრუქტურის წინადადებაში მისი პოზიცია განსაზღვრულია. ეს იმიტაა გამოწვეული, რომ აზრის ლოგიკურად დასრულებისათვის ჯერ მთავარი წინადადება გადმოსცემს ამბავს, რომლის შეფასება, დასკვნა თუ რაიმე სახის შენიშვნა დამოკიდებული წინადადებით გამოიხატება. თუ ჯერ ამბავი, მოქმედება არაა გადმოცემული, რა თქმა უნდა, დამოკიდებული წინადადების ფუნქცია ვერ შესრულდება (გამოხატოს მისადმი შეფასება თუ დასკვნა).

აღნიშნავენ, რომ მთავარ წინადადებაში არ მოიპოვება რაიმე მანიშნებელი იმისა, რომ მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება. მხოლოდ ინტონაცია გვიჩვენებს, რომ წინადადება არ არის დასრულებული (კვაჭაძე 1996: 457).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ამ საანა-

ლიზო ტიპის ქვეწყობილ წინადადებაში ძნელდება წინადადების სწორი ფუნქციური კვალიფიკაცია. უ. ყორღანაშვილს მიაჩნია, რომ მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადება, ისევე როგორც შედეგობითი დამოკიდებული, არ არსებობს. მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებაში გვაქვს მთავარი და ჩვეულებრივი სახის (ქვემდებარული, დამატებითი) დამოკიდებული წინადადებანი, ოღონდ მთავრის მიმართ დამოკიდებულად მიჩნეული წინადადება არის მთავარი, ხოლო მთავრად მიჩნეული – დამოკიდებული, რომელშიც კავშირი არ არის წარმოდგენილი (მაგრამ აღდგენა შესაძლებელია).

ვფიქრობთ, რომ მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადების სახე ცალკე ტიპად უნდა გამოიყოს. ის ფუნქციურად განსხვავდება სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებათაგან. ზოგადად, დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, მისი გაფართოებული სახეა. სწორედ ამიტომ ის არაა იმ სინტაქსური კლასიფიკაციის მსგავსი, რაც ქვემდებარულ და სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებთან გვაქვს. როგორც ზემოთ, დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის საკითხებზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, პირობითი, შედეგობითი და გამორიცხვითი დამოკიდებული წინადადებები ცალკე ტიპად არ უნდა გამოიყოს. ისინი არ არიან სინტაქსურად ტოლძალოვანნი ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებისა, განსხვავდებიან სინტაქსურ წევრთა ფუნქციური კლასიფიკაციის მიხედვით. ასეთი სტრუქტურის წინადადებები ერთიანდებიან მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებში. აქაც დამოკიდებული წინადადება საზღვრავს და აზუსტებს მთავარ წინადადებას - ამ შემთხვევაში მხოლოდ აზრობრივად (ვრცლად ამის შესახებ იხ. ზემოთ).

ლ. კვაჭაძე მართებულად მიიჩნევს, რომ ტერმინი მთავრის მიმართ დამოკიდებული მეტად პირობითია, რამდენადაც

¹ რაკი ცალკე ტიპად არ გამოვყოფთ პირობით, დათმობით და გამორიცხვით დამოკიდებულ წინადადებებს, ამიტომ მათ ჩვენეულ კლასიფიკაციაში საგანგებოდ არ განვიხილავთ.

მთლიან მთავარს მიემართება შედეგობითიც, დათმობითიცა და პირობითიც. მკვლევარს ეს მოსაზრება შენიშვნის სახით აქვს დართული, თუმცა მონოგრაფიაში ცალ-ცალკე ტიპადაა გამოყოფილი პირობითი, დათმობითი, შედეგობითი და მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადებები.

მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადება ახლოს დგას ისეთ რთულ თანწყობილ წინადადებასთან, რომლის მეორე ნაწილი გადმოგვცემს დასკვნასა თუ შეფასებას იმისა, რაზედაც პირველ ნაწილშია ლაპარაკი. მაგალითად: „ღვინოც ერთად გადაეკრათ იქაურ დუქანში, რაც მუდამ საამაყოდ ჰქონდა“ (ლეონ., გვ. 90). თუ ამოვიღებთ მაქვემდებარებელ კავშირს და შევცვლით მაერთებელი და კავშირითა და ეს ჩვენებითი ნაცვალსახელით, ის თანწყობილი გახდება -- ღვინოც ერთად გადაეკრათ იქაურ დუქანში და ეს მუდამ საამაყოდ ჰქონდა.

6. ნარევი სახის რთული ქვეწყობილი წინადადება

რთული ქვეწყობილი წინადადება ხშირად შეიცავს რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებას. ასეთ შემთხვევაში დაქვემდებარება ორგვარია – **თანადაქვემდებარება** და **თანამიმდევრული დაქვემდებარება**. ამათგან თანადაქვემდებარება გვაქვს მაშინ, როცა რამდენიმე დამოკიდებული წინადადება უშუალოდ არის დაკავშირებული მთავარ წინადადებასთან, ხოლო თანამიმდევრულია დაქვემდებარება, როცა დამოკიდებულ წინადადებას ახლავს თავისი დამოკიდებული (კვაჭაძე 1996: 465-466). ყოველ დამოკიდებულ წინადადებას ერთი ფუნქცია აქვს – იგი მთავარ წინადადებაში დასახელებული ან გამოტოვებული რომელიმე წევრის გაშლილი სახეა, ნარევი სახის ჰიპოტაქსურ წინადადებაში ორი ან სამი წევრის ახსნა თუ დაზუსტებაა წარმოდგენილი:

„იქ იხილავ ჯიქთახანუმსაც, რომელსაც ისევე უყვარს თავისი მშობელი, ვით შენ შენი სამშობლო“ (გოთ., გვ. 264); „იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც ვერ იქნა, ვერ ჩამოიგლიჯა“ (ჯავ., გვ. 37); „როცა მოსაცემი გქონდა, არაფერი არ მომეცა, როცა ყველაფერი გამოგელია, ცარიელ ბაასს მთავაზობ“

(ჯავ., გვ. 46); „ვინც პირველი მიხვდა ამას, უთუოდ უნდა მოიკლას თავი, თორემ ისე ვინ დაიწყებს და დაამტკიცებს?“ (რობ., გვ. 64); „ის მხოლოდ ისე, როგორც მოურავის რიგი და წესი მოითხოვდა, ისე იჩარჩებოდა, რომ მისი კიჟინა გაეგონათ და ერთგულებაში ჩამოერთმიათ“ (აკაკი, გვ. 310); „როცა ჩემი გადაწყვეტილება შინ განვაცხადე, დედაჩემმა ერთი ისეთი იკივლა, მეზობლები შეყარა“ (ფანჯ., გვ. 209); „ცნობილია, ვისაც სიყრმეში არ გაუხარნია, ვისაც ბავშვობაში სიჭაბუკე წამოსწევია, ხოლო სიჭაბუკეში შუაკაცობის ტვირთი, მას მარადჟამს თან დაჰყვება გაცდენილი სიყრმისა და სიჭაბუკის დარდი“ (გამს., გვ. 96).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, სხვა დამოკიდებული წინადადების მსგავსად, აქაც გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი სიტყვები და კორელატები. შესაძლოა ერთი და იგივე საკავშირებელი საშუალებები იყოს გამოყენებული, ან სხვადასხვა. ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორი სახის დაქვემდებარება გვაქვს (ერთგვარი დამოკიდებული წინადადებების თანაარსებობისას): „როცა მოსაცემი გქონდა, არაფერი არ მომეცა, როცა ყველაფერი გამოგელია, ცარიელ ბაასს მთავაზობ“; „ცნობილია, ვისაც სიყრმეში არ გაუხარნია, ვისაც ბავშვობაში სიჭაბუკე წამოსწევია, ხოლო სიჭაბუკეში შუაკაცობის ტვირთი, მას მარადჟამს თან დაჰყვება გაცდენილი სიყრმისა და სიჭაბუკის დარდი“.

ასეთი დაქვემდებარება გვაქვს მაშინ, როცა მთავარ წინადადებასთან რამდენიმე ერთი სახის დამოკიდებული წინადადებაა დადასტურებული, ხოლო, თუ მთავართან სხვადასხვა სახის (არაერთგვარი) დამოკიდებული წინადადებებია წარმოდგენილი, მაშინ კავშირებიცა და კორელატებიც სხვადასხვაა:

„თუ წუთისოფელს ერთი ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“ (ილია, გვ. 242); „ეს ცნობა ისე აღვიკვი, როგორც ყაჩაღების შემოსევა, რადგან ციგანიცა და ჩაჩანიც ემბაკისა და გალლეტილის სინონიმებია აგრეთვე გურიაში“ (დუმბ., გვ. 133); „ქვეყანაზე ჯერ არ დაბადებულა ისეთი ქალი, რომელიც იყოს ისეთი კაპრიზიანი, როგორიც არის ავტომობილის მანქანა“ (რობ., გვ. 29); „უბედურება ის არის, რომ ჩვენს გუნებას არ დააცალა, რათა მას თავისი გაეტანა და

ისეთი ქურქი ჩაგვაცვა, რომელიც ჩვენს ხასიათს არ უხდება“ (ჯავ., გვ. 114).

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია დამოკიდებუ-
ლი წინადადებების ერთი განსაკუთრებული სახეობა, რომელიც
ბოლო დროსაა გავრცელებული – დამოკიდებული წინადადება
ერთდროულად მიემართება მთავარი წინადადების ორ ფუნქციუ-
რად განსხვავებულ სხვადასხვა წევრს. ამიტომ იგი ორგვარი ფუნ-
ქციის მქონედ მიიჩნევა (იმნაიშვილი 2001: 65-68). ასეთი წყობის
წინადადებებში შესაძლოა ერთი კავშირი გამოიყენებოდეს, დას-
ტურდება აგრეთვე ნეიტრალური კავშირი (ორივე კორელატს თა-
ნაბრად მიესადაგება), ან წყვილკავშირიანი შემთხვევები:

თავისუფალი აზროვნება აძლევს ადამიანებს საშუალებას,
ისწავლონ, რაც უნდათ და სადაც უნდათ, იცხოვრონ ისე, რო-
გორც უნდათ; როგორ და რითი დაიწყო მათი საუბარი სინამ-
დვილეში არავინ იცის, თუმცა სადაც და როდესაც შეხვდნენ,
ბევრმა იცოდა; იგი გულშია მოკალათებული და ისე და იქიდან
მართავს ადამიანს, თანაც ისე, თითქოს იგი ყოველთვის მართა-
ლია; პარტია მზადაა დადგეს იქ და იმ პარტიასთან, ვისთანაც სა-
ჭირო და აუცილებელია ჩვენი ყოფნა (წინადადებები მოყვანი-
ლია პრესიდან: „ასავალ-დასავალი“, „საქართველოს რესპუბლი-
კა“, „რეზონანსი“).

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ასეთი კონტრუქცია მი-
ღებულია იმის შედეგად, რომ ერიდებიან ამ საერთო წევრების
გამეორებას და ამიტომ მოქმედებს ერთგვარი ეკონომიურობის
პრინციპი. ასეთი კონსტრუქციისას არ მეორდება არც შემასმენ-
ლები და არც წინადადების სხვა საზიარო წევრები (იმნაიშვილი
2001: 74).

Tea Burchuladze

Questions of Hypotaxis in Georgian

The subject of our study is a complex sentence. It is one of the main means of constructing a sentence. In subordinate connection the clauses of a sentence are not grammatically (syntactically) equal to one another. One is dominant and the other is subordinated to it. So, such a sentence is called a complex sentence. The clause, which is wholly explained or explained according to any of its members, is called the main clause and the clause which explains the main one or one of its members is called a subordinate clause.

The order of clauses of a hypotactic sentence takes a great importance in producing interrelations. However, the place change does not often cause a significant, syntactic change. If the subordinate clause precedes the main one and we put it after the main clause, the subordinate connection still remains.

It should be noted that in such cases, the content of a sentence must be taken into account, in particular, it is important to what the author draws attention – to something that is expressed in the subordinate clause or to what that is stated in the main clause? If we want to stress the content expressed in the subordinate clause, it is preferred to start a sentence with a subordinate one but if we stress the content expressed by the main clause, then we start a sentence with it.

In the scientific literature different types of subordinating connectors are known. These are spatial, timeliness, causal, purpose, conditional-consecutive, adversative, equative consecutive, equative-comparative, subjective, attributive connectors. The term *concessive* was translated from Russian (уступительный). In Georgian it expresses the following meanings: 1. To give up smth., to compromise, to agree in favor of smb.; 2. To abandon, to part with smth., (GFD 1951); The term *adversative* expresses the following: 1. redundant,

discharged; 2. unacceptable, impossible (GED 2010). We think that the term *adversative* is more appropriate to this type of sentences. Here we have semantically contradictory components. The fact, given in the main clause, is contradictory to the content of the subordinate clause and vice versa. For example: *"His friends mocked him but respected his efforts."* or *"It is true that it was still far, but it was felt like the earthquake."*

We may find a hypotactic sentence without a subordinate connection. There are cases when it is difficult to say with certainty whether the clause is subordinated and, therefore, what type of sentences it belongs to – hypotactic or paratactic? It comes with sentences in which the subordinate clause (according to the special literature) follows the main clause and is separated from it by the colon. For example: *"He opened his mouth three times and all three times he coughed: the words on the tongue were stubborn like a bull to be slaughtered and they ran back."* *"The blood is shedding in the yard: Jako slaughtered a few chickens, turkeys and sheep, opened the wine vessels and invited the nobles of the village for his guests."* *"Onopre doesn't give up: Let's see when the years pass."* These types of sentences are considered as complex sentences in the scientific literature. (Kvachadze 1996: 465).

In these sentences a word or a sentence may be restored but not a subordinate connection: *"He opened his mouth three times and all three times he coughed [still not able to say]: the words on the tongue were stubborn like a bull to be slaughtered and they ran back."*; *"The blood is shedding in the yard: [for a party] Jako slaughtered a few chickens, turkeys and sheep, opened the wine vessels and invited the nobles of the village for his guests."*; *"Onopre doesn't give up: [He thinks] Let's see when the years pass."*

In these examples we cannot put subordinating connectors (as, because...). These are the cases when we have several sets of clauses that represent an explanation of the sentence. Here we do not have a subordinate connection between the components of the sentence: *"He opened his mouth three times and all three times he coughed*

as/because the words on the tongue were stubborn like a bull to be slaughtered and they ran back.”; “The blood is shedding in the yard as/because Jako slaughtered a few chickens, turkeys and sheep, opened the wine vessels and invited the nobles of the village for his guests.”

In such cases, we have the description and listing of simultaneous events. Here we do not have a situation when the subordinate clause is causal, conditional or consecutive where we can put subordinating connectors. For example: *“And then he regretted: Teimuraz would willingly work, but he would never finish it”*; Let's compare this example to the above-said one – *“And then he regretted because/as Teimuraz would willingly work, but he would never finish it;” “We are there and that is why we are fighting: we do not want frubbles, wastrels, cockalorums, conceited people”* – *“We are there and that is why we are fighting as/because we do not want frubbles, wastrels, cockalorums, conceited people”*. In such cases subordination is clear.

We cannot put a subordinating connector in the said examples and we also cannot differentiate main and subordinate clauses. When we have consecutive or conditional subordinate clauses the parts of hypotaxis are individual because of their structure: *“The wind, bad weather and cold did their work: she was not able to withstand it and started shaking.”*; *“The wind, bad weather and cold did their work, that is why she was not able to withstand it and started shaking.”* The first part of the complex sentence is a main clause and the second one is subordinate. *“If the earth gives you a cornfield, don't trust just to it.”* The first part of the sentence is subordinate and the second one is main. Let's compare them to our examples - we cannot allocate main and subordinate clauses. They are grammatically equal and they are connected to one another without a conjugation.

We think that as in the said sentences there are not subordinating connectors and therefore, the subordinate connection between the clauses, this type of sentences should be considered as compound sentences without a conjunction, in which the description,

listing or explanations of simultaneous events are expressed independently.

When subjective, objective, attributive or adverbial clauses are allocated the classifying mark is the same -- the subordinate clause specifies or defines any member of a main clause (whether it is a subject, an object, an attribute or an adverbial modifier). Therefore, the classifying mark is functional. In the conditional, concessive, consecutive clauses we have a formal (semantic) subordination. The subordinate clause defines the main one only with the content and by means of connectors (if, though): "*Plato said something calmly but the heart was full of savage despite.*" -- here the main clause (*Plato said something calmly*) is précised by the subordinated one (*the heart was full of savage despite*). The situation is the same in any conditional, concessive, consecutive subordinate clauses. The difference between them is in shades. The conditional subordinate clause clarifies laying dawn and fulfilling a condition, the consecutive subordinate clause - a result, the concessive clause defines an exceptive action arisen from another one. The said factors are not of a syntactic power. In this case, we can speak just about the semantic connection but the subordination of the main clause to the other one is syntactic -- as usual, subordinating conjunctions, connectors are used but sometimes we have no use of them. When the subordinate clause defines and explains a member of the main clause, the subordinate clause is of the same kind and that is expressed syntactically.

As mentioned above, if the subordinate clause is about a subject of a sentence then the subject is defined in it. It is reflected in the subordinate clause syntactically and semantically. The situation is the same with the objective, attributive or adverbial subordinate clauses. So, we think that conditional, consecutive and concessive subordinate clauses should not be allocated as separate types. They are not syntactically equal to subjective, attributive, objective and adverbial subordinate clauses. They are distinguished according to the functional classification of syntactic members. The clauses with such a structure

are subordinate clauses that define and clarify the main clause - in this case only semantically.

Although in the scientific literature it is said that the classification is conditional, we still think that this is a general classification of subordination and implies the said factors. It should be taken into account that the subordinate clause functions as a syntactic member and is its extended variant. That is why it is not similar to the syntactic classification that we have with subjective or with other kind of subordinate clauses.

We do not single out a predicative subordinate clause. We suppose that this type should be considered as an attributive subordinate clause.

წყაროები:

1. აკაკი - ა. წერეთელი, თხზულებანი, ტომი V, თბილისი, 1986.
2. ამირ. - მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, თბილისი, 1969.
3. ბიბ. - თ. ბიბილური, ჟამი კითხულისა. ჩივილი, თბილისი, 1978.
4. გამს. - კ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა, თბილისი, 1983.
5. გოთ. - ლ. გოთუა, გმირთა ვარამი, I-II, ქართული პროზა, წიგნი XXXII, თბილისი, 1998.
6. დავით. - დავითიანი, თბილისი, 1987.
7. დუმბ. - ნ. დუმბაძე, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტომი III, თბილისი, 1984.
8. ვეფხ. - ვეფხისტყაოსანი, ალ. ჭინჭარაულისა და ნ. ნათაძის კომენტარებით, თბილისი, 1986.
9. ვისრ. - ვისრამიანი, ძველი ქართული მხატვრული მწერლობა, მეორე გამოცემა, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძის რედაქციითა და შესავალი წერილით, ტფილისი, 1938.
10. ილია - ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი II, თბილისი, 1988.
11. იოს. - თ. იოსელიანი, რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბილისი, 1991.
12. ლეონ. - გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, თბილისი, 1990.
13. ონაშ. - ნ. ონაშვილი, მანძილი მიწამდე, თბილისი, 1985.
14. როზ. - გრ. როზაქიძე, ქართული საბჭოთა რომანი, თბილისი, 1989.
15. რუსუდ. - რუსუდანიანი, ქართული პროზა, წიგნი IV, თბილისი, 1983.
16. ფანჯ. - გ. ფანჯიკიძე, თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1986.
17. ყაზბ. - ა. ყაზბეგი, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტომი IV, თბილისი, 1950.
18. ჭილ. - თ. ჭილაძე, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, II, თბილისი, 1986.
19. ჯავ. - მ. ჯავახიშვილი, ქართული საბჭოთა რომანი, თბილისი, 1985.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი 1970 – ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი.
2. ბასილაია 1955 – ნ. ბასილაია, მისამართი სიტყვები (კორელატები) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, ა. მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VII, სოხუმი.
3. ბასილაია 1956 – ნ. ბასილაია, შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ახალ ქართულში, კრ.-ში: კომუნისტური აღზრდისათვის, №1, თბილისი.
4. ბასილაია 1991 – ნ. ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი.
5. ბურჭულაძე 2003 – გ. ბურჭულაძე, რ. ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VIII, თბილისი.
6. ბურჭულაძე 2006 – თ. ბურჭულაძე, ერთი სახის სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართულში, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.
7. ბურჭულაძე 2007 -- თ. ბურჭულაძე, დამოკიდებული წინადადების ადგილი საშუალ ქართულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბილისი.
8. ბურჭულაძე 2007 -- თ. ბურჭულაძე ერთი ტიპის ჰიპოტაქსური წყობისათვის საშუალ ქართულში, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 66-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.
9. ბურჭულაძე 2013 -- თ. ბურჭულაძე, უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XII, თბილისი.
10. გაიოზ რექტორი 1970 -- გაიოზ რექტორი, ქართული დრამმატიკა, თბილისი.
11. გეგუჩაძე 1983 - ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, თბილისი.

12. გეგუჩაძე 2005 - ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, თბილისი.
13. დავითიანი 1973 - ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
14. დონდუა 1940 - ვ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი.
15. ერთელიშვილი 1962 - ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, 1, ჰიპოტაქსის საკითხები, თბილისი.
16. თოფურია 2005 - ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.
17. იმნაიშვილი 2001 - ვ. იმნაიშვილი, ქვეწყობილი წინადადების ერთი განსაკუთრებული სახეობის შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები, 4, 2001, თბილისი.
18. კვანტალიანი 1974 - ლ. კვანტალიანი, რთული ქვეწყობილი წინადადების ერთი თავისებურება ქართულში, ქელს, №4, თბილისი.
19. კვანტალიანი 1983 - ლ. კვანტალიანი, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში, თბილისი.
20. კვანტალიანი 1985 - ლ. კვანტალიანი, ერთი სახის პირობითი დამოკიდებული წინადადებისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIII, თბილისი.
21. კვანტალიანი 1986 - ლ. კვანტალიანი, ზოგი ცვლილებისათვის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXV, თბილისი.
22. კვანტალიანი 1990 - ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი.
23. კვანტალიანი 1990 - ლ. კვანტალიანი, რთული წინადადების შესწავლის ისტორიიდან, იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება, XXIX, თბილისი.
24. კვანტალიანი 1993 - ლ. კვანტალიანი, ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია (XVII-XX სს. 30-40 იანი წლები),

- იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXII, თბილისი.
25. კვარაცხელია 2007 -- გ. კვარაცხელია, ქართული ენის ექსპრესიული სინტაქსისათვის, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბილისი.
 26. კვაჭაძე 1996 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
 27. კიზირია 1969 – ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი.
 28. კიზირია 1984 – ა. კიზირია, ქართული ენა (პრაქტიკუმი), თბილისი.
 29. კიზირია 1997 -- ა. კიზირია, ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან, თბილისი.
 30. ლეჟავა 1981 - ლ. ლეჟავა, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის შესახებ, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი.
 31. ნიკოლაიშვილი 12970 - ე. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა, წიგნში: ქართული ღრამმატიკა, თბილისი.
 32. როგავა 1948 – გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, ქუთაისი.
 33. სერგია 1997 – ვ. სერგია, ქართული ენის ტექსტის ლონგვისტიკა, თბილისი.
 34. სუხიშვილი 1986 -- მ. სუხიშვილი, გარდამავალი ზმნები ქართულში, თბილისი.
 35. სუხიშვილი 1991 -- მ. სუხიშვილი, „მეტყველების სემანტიკის“ გარდამავალ ზმნათა სინტაქსისათვის, კრ. ში: ენათმეცნიერების საკითხები, I, თბილისი.
 36. ფეიქრიშვილი 1996 -- ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი.
 37. ქეგლი 1951 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.
 38. ქეგლი 2010 -- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.
 39. ქუთათელაძე 1888 -- არ. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი

- ქართული გრამატიკა, ტფილისი.
40. ყორღანაშვილი 1985 – უ. ყორღანაშვილი, ერთი ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადების გაგებისათვის, ქელს, №1-2, თბილისი.
 41. ყორღანაშვილი 1987 – უ. ყორღანაშვილი, კვლავ ერთი ტიპის ქვეწყობილი წინადადების გაგებისათვის, ქელს, №1-4, თბილისი.
 42. შანიძე 1948 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი.
 43. ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა, შრომები, I, თბილისი.
 44. ჩხუბიანიშვილი 1966 – დ. ჩხუბიანიშვილი, „მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის“ (გამოქვეყნებულია ქ. მონთობანს 1877 წ.), კრ.-ში: იბერული-კავკასიური ენათმეცნიერება, XV, თბილისი.
 45. ძიძიგური 1942 – შ. ძიძიგური, პირობითი და დამატებითი დამოკიდებული წინადადებების ჩამოყალიბების საკითხისათვის ძველსა და ახალ ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VI სამეცნიერო სესია, თბილისი.
 46. ძიძიგური 1973 – შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი.
 47. ძიძიგური 1989 – შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, თბილისი.
 48. ჭიკაძე 2014 – რ. ჭიკაძე, ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, თბილისი.
 49. Мейе 1938 – А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва.
 50. Мейе 1951 – А. Мейе, Общесловянский язык, Москва.
 51. Петерсон 1923 – М. Н. Петерсон, Очерк синтаксиса русского языка, Москва.
 52. Пешковский 1956 – А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, Москва.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1.წინასიტყვაობა	5
2. რთული ქვეწყობილი წინადადების რაობის საკითხები	7
3. რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზისისა და შესწავლის ისტორიისათვის	12
4. რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელი ნაწილები	22
5. დამოკიდებული წინადადების ადგილი ჰიპოტაქსში	55
6. რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტთა დაქვემდებარების საშუალებები	64
7. დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის საკითხები	89
8. დამოკიდებულ წინადადებათა სახეები (ზოგადი მიმოხილვა)	106
1. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება	106
2. დამატებითი დამოკიდებული წინადადება	108
3. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება	112
4. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება	117
5. მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადება	125
6. ნარევი სახის რთული ქვეწყობილი წინადადება	127
9.რეზიუმე(ინგლისურ ენაზე)	130
10. წყაროები	135
11. გამოყენებული ლიტერატურა	136

